

ფასი: 7 ლარი #3 ზაფხული 2015

# NARGIS
საქართველო

ISSN 1512-2522

## Tbilisi Fashion Week

## ქსენია სობჩაკი

## Sporty Fashion

## რჩევები ზაფხულისთვის



Mr Pascal Raffy,
Bovet owner,
with his son
and inspiration,
Amadeo Raffy.
All Amadeo models
are convertible
into a wristwatch,
a pocket watch
and a table clock.
(patented)
www.bovet.com
Founding member of the Quality Fleurier Certification
Partner of the Fondation de la Haute Horlogerie
BOVET
1822
PRIDE AND PROWESS®
BRAVEHEART®
Mechanical Prowess & Artistic Density
AMADEO® FLEURIER
6 TIMES PATENTED
22-DAY FLYING TOURBILLON WITH RETROGRADE MINUTES
AND REVERSED HAND-FITTING
FULLY INTEGRATED CONVERTIBLE CASE
LIMITED EDITION
Chronograph
watches & jewellery
თავისუფლების მოედანი 2,
0105, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 250 50 00
www.chronograph.ge



FREDERIQUE CONSTANT
GENEVE
LIVE YOUR PASSION
LADIES WORLD
HEART FEDERATION
Support Hearts of Children Charity campaign
with Inès Sastre and the World Heart Federation.
We donate US$ 50 for each Double Heart Beat
watch sold.
More information on
http://foundation.frederique-constant.com
ARTTIME
შენი შვეიცარიული საათი
www.arttime.ge



TODS.COM

TOD'S

MADE IN ITALY



სარჩევი




52 გვ.

WORLD TRENDS
24 გვ.

რედაქტორის წერილი
14 გვ.

გოლფისთვის დაბადებული რიკ ბარილი
112 გვ.

Style Icon
ოქსანა ონ
72 გვ.

რედაქტორის არჩევანი
18 გვ.

პირველი ქართული ოლიმპიადა
108 გვ.

CDs REVIEW
163 გვ.

დარია შაპოვალოვა

64 გვ.

SOCAR SPORT

84 გვ.

ქსენია სობჩაკი:
„მიყვარს გულდია ადამიანები იუმორის გრძნობით“
80 გვ.





ZO® SKIN HEALTH
BY ZEIN OBAGI, MD
კანის მოვლის ხელოვნება



NEW THERAPEUTIC SOLUTIONS FROM DR. ZEIN OBAGI

ფარმადეპოს აფთიაქი; ესთეტიკური კაბინეტი
მის: აბაშიძის №41; ტელ: 2 145 000
ZO Skin Health Georgia
www. zoskinhealth.com




წიგნები
154 გვ.

გამოფენები
161 გვ.

JO MALONE
სტუმრად
კარგია...
116 გვ.




შარმი ქართულად
132 გვ.

TBILISI
FASHION
WEEK
by HONDA
16-19 APRIL F/W 2015/16



34 გვ.

ვარსკვლავების
ვიზაჟისტი
EVE•PEARL
134 გვ.

ჰოროსკოპი
188 გვ.



გრძნობების
შემნახველი საკანი
მურთაზ შველიძის
მხატვრობა
156 გვ.




136 გვ.







# NARGIS Georgia

გუნდი

მთავარი რედაქტორი თაკო ჩხეიძე | **Editor-in-Chief** TAKO CHKHEIDZE
არტ დირექტორი ლიკა კვარაცხელია | **Art Director** LIKA KVARATSKHELIA
აღმასრულებელი დირექტორი მაკა ყუბუსიძე | **Executive Director** MAKA KUBUSIDZE
აღმასრულებელი რედაქტორი ბიძინა მაყაშვილი | **Executive Editor** BIDZINA MAKASHVILI
მოდის რედაქტორი ანანო დოლაბერიძე | **Fashion Editor** ANANO DOLABERIDZE
ფოტო რედაქტორი გურამ წიბახაშვილი | **Photo Editor** GURAM TSIBAKHASHVILI

დიზაინი

2you.ge Design & Computer Layout

ავტორები

**ნომერზე მუშაობდნენ**
ია ვეკუა/IA VEKUA, ნანა კობაიძე/NANA KOBAIDZE,
თეონა ჯაფარიძე/TEONA JAPARIDZE, ანანო ბაკურაძე/ANANO BAKURADZE,
რამაზ გიგაური/RAMAZ GIGAURI, ირმა კახურაშვილი/IRMA KAKHURASHVILI,
ნანა ჯოხარიძე/NANA JOKHARIDZE, ეკა შავოშვილი/EKA SHAVOSHVILI

ფოტო

ადამ კაც სინდინგ/ADAM KATZ SINDING, ნია გვათუა/NIA GVATUA,
იკა ხარგელია/IKA KHARGELIA, თაკო სკრიიპ/TAKO SKRIIP,
ლიგ სტუდიო/LIG STUDIO, ლიუ/LIU, ლუიზა/LOUISA,
ანა კოსტამაროვა/ANA KOSTAMAROVA,
თინათინ კიღურაძე/TINATIN KIGURADZE
დიმიტრი იაროვოი/DIMITRY YAROVOY





ყდაზე იარა უკრაინა
ფოტო ადამ კაც სინდინგ
ტანსაცმელი ATELIER KIKALA


FFG FIRST FLOOR GROUP

გამომცემელი / Publisher
FIRST FLOOR GROUP (FFG)
მის: მცხეთის ქ. #19/21 თბილისი, 0179, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 38 19 08

კომერციული დირექტორი ნაზი გოშაძე | **Commercial Director** NAZI GOSHADZE
გაყიდვები და მარკეტინგი ქეთევან დონდუა, თინათინ ჯანუაშვილი, ეკატერინე სკოროხოდოვა, თეა ჭელიძე | **Sales & Marketing** KETEVAN DONDUA, TINATIN JANUASHVILI, EKATERINE SKOROKHODOVA , TEA CHELIDZE
რუსული ენის თარგმანი ნატა გვენცაძე | **Translation from Russian** NATA GVENTSADZE
ინგლისური ენის თარგმანი ნინო შუბითიძე | **Translation from English** NINO SHUBITIDZE
ბეჭდვა შპს „კონტროლ პე“ | **Printing** LTD CTRL P



ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს “NARGIS“-ის საკუთრებას.
ჟურნალში წარმოდგენილი ნებისმიერი მასალის გამოყენება რედაქციის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

გამოცემის სტატიებში გამოქვეყნებული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ჟურნალი „NARGIS“-ი არ იღებს პასუხისმგებლობას სარეკლამო ტექსტების შინაარსზე.


facebook.com/NargisGeorgia    instagram.com/nargis_georgia








ტანსაცმელი WEEKEND MaxMara
ფოტო ანა კოსტამაროვა

*Nargis საქართველოს მესამე ნომრის ყდა თავად ამბობს ყველაფერს - წინ მოდისა და სპორტის თემებით შეკრული ჟურნალი გელით. პირველი თემა თბილისის მოდის გაზაფხულის კვირეულის გარშემო იშლება, მეორე კი იმ სპორტულ დღესასწაულებს ეხმიანება, რომლებიც ამ ზაფხულს ჩვენს ქალაქს ელის.*

*ასეთი მასშტაბური სპორტული ღონისძიებებით განებივრებული ნაკლებად ვართ, ამიტომ ვარჩიეთ, სტანდარტული ზაფხულის ნაცვლად კონცეპტუალურად დაგეგმილი სპორტული ნომერი გამოგვეშვა. თუმცა ზაფხულის თემა მაინც ინარჩუნებს აქტუალობას.*

*ვიდრე მესამე ნომრის თემებს გაგაცნობდეთ, სიხარულით გაცნობებთ, რომ Nargis საქართველოს უკვე ჰყავს ერთგული მკითხველი, რომლის რაოდენობა ნომრიდან ნომრამდე იზრდება. ეს კი ჩვენთვის მთავარი მოტივაციაა – ვცდილობთ, Nargis-ი კიდევ უფრო საინტერესო გახდეს, დაიხვეწოს და მეტი ადამიანის სამაგიდო ჟურნალად იქცეს.*

*ისევ ყდას მივუბრუნდები.*

*ამ ფოტოს ავტორი მოდის ცნობილი ფოტოგრაფი ადამ კაც სინდინგია, რომელმაც Nargis-ისთვის არაჩვეულებრივი სპორტული ფოტოსესია გადაიღო. ამ პროექტზე მხოლოდ ერთი უცხოელი, თავად ფოტოგრაფი მუშაობდა, ყველა დანარჩენი – მოდელები და დიზაინერები – ქართველები იყვნენ, სწორედ ისინი, ვინც ამ ფოტოსესიაზე მუშაობის პერიოდში თბილისის მოდის კვირეულისთვის ემზადებოდნენ.*

*რა გასაკვირია, რომ მოდის კვირეულს ჟურნალის საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობა – Nargis იყო და მუდამ დარჩება ქართული მოდის მთავარ და ქვეყანაში  ერთადერთ მხარდამჭერ გამოცემად. თუ კვირეულს არ ესწრებოდით, დანაკლისს სწორედ ამ გვერდების ფურცვლისას აინაზღაურებთ, გაეცნობით ყველა დიზაინერის კოლექციას, ახალბედებს, შეიხედავთ კულისებში და ნახავთ, როგორ მუშაობენ უცხოელი ჟურნალისტები, რათა შემდგომში საკუთარ ჟურნალებსა თუ ბლოგებში აღწერონ აქ ნანახი, მოსმენილი, შეგრძნობილი და სამუდამოდ დამახსოვრებული ემოციები. მათი გამოხმაურება არა მხოლოდ ქართული მოდის, არამედ მთელი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს საქართველოს პოპულარიზაციისთვის გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.*

*ზემოთ ზაფხული ვახსენე და შეგახსენებთ, რომ ჟურნალში წელიწადის ამ დროისთვის შესაფერის არაერთი რჩევასა და რეკომენდაციას ამოიკითხავთ,  გაეცნობით საზაფხულო ტრენდებს, მაკიაჟის სიახლეებსა და კანის მოვლის უახლეს საშუალებებს.*

*ამის შემდეგ კი სამოთხეში მოგზაურობა გელით – კუნძულ სანტორინიზე გატარებულ ერთ ზღაპრულ კვირაზე, საოცარ მზის ჩასვლასა და წარმოუდგენელი ფერის ლურჯ ზღვაზე ლიკა კვარაცხელია მოგიყვებათ, მწვანე მინდვრებს კი მხატვარ მურთაზ შველიძის „პორტფოლიოში" დაათვალიერებთ – მხატვარი ჩიტის სიმაღლიდან სპორტულ მოედნებს ხატავს...*

*ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით ფოტოპროექტებს და სიამაყით წარმოგიდგენთ არაჩვეულებრივი ფოტოგრაფის, პიტერ ლინდბერგის ფოტოსესიას კაროლინა კურკოვასა და ადრიანა ლიმას მონაწილეობით.*

*დანარჩენს თავად ნახავთ.*

*დამშვიდობებამდე კი შემდეგი ნომრის ერთ თემას გაგაცნობთ –  ეს იქნება რეპორტაჟი პარიზის მოდის კვირეულიდან, სადაც Nargis საქართველო თავის მეორე საერთაშორისო გასვლას განახორციელებს.*

*Au Revoir, შევხვდებით შემოდგომაზე!*

*თაკო ჩხეიძე*






WEEKEND
MaxMara
ვიქენდ მაქს მარა: ი. ჭავჭავაძის გამზ. №50 **თბილისი**, 0179, საქართველო



# სახლი ირჩევს მომხმარებელს

*– რას ნიშნავს თქვენთვის კომფორტული სახლი? – ალბათ სივრცეს, სიმყუდროვეს, კარგ ადგილმდებარეობასა და ბევრ სხვა ისეთ კრიტერიუმს, რომლის დაკმაყოფილებაც თბილისურ სამშენებლო ბიზნესს ნამდვილად შეუძლია. თუმცა როდესაც გაიგებთ, რომ თბილისში არსებობს სახლი – ჰილტოპ გრინი, თქვენი წარმოდგენები „იდიალურ სახლზე“ ერთბაშად დაინგრევა. ვინაიდან, მერწმუნეთ, თბილისში ჯერ მსგავსი საცხოვრებელი პალასი არასდროს ყოფილა.*

### სახელწოდება და ადგილმდებარეობა:

### ვაკე, ჟვანიასა და კეკელიძის მიმდებარე ტერიტორია.

არაფერი სჯობს ქალაქის ცენტრალურ უბანში ცხოვრებას, როდესაც ყველა საჭირო ინფრასტრუქტურული ობიექტი სახლთან ახლოსაა და სასურველ ობიექტამდე გადაადგილებაში ბევრ დროს არ კარგავ. თუმცა, ურბანიზაციის აჩქარებულმა ტემპმა დედაქალის ცენტრალურ ნაწილში ცხოვრება აუტანელი გახადა. მუდმივი საცობი, გამონაბოლქვი, ხმაური... სწორედ ამიტომ **ჰილტოპ გრინის** ასაშენებლად ტერიტორია დიდი სიფრთხილითა და დაკვირვებით შეირჩა. სახლი უნდა აშენებულიყო თბილისის ცენტრში, ადვილად მისასვლელ და ამავდროულად ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ადგილას. სწორედ ამიტომ, ჰილტოპ გრინი კეკელიძისა და ჟვანიას ქუჩების მიმდებარედ არსებულ, ყველაზე მწვანე და მაღალი მთის ძირას აშენდა. საცხოვრებელი პალასის სახელწოდებაც სწორედ მის ადგილმდებარეობას უკავშირდება.

### სისუფთავე და კომფორტი

**ჰილტოპ გრინი** ბიზნესკლასზეა გათვლილი, აქედან გამომდინარე კი, მის მაცხოვრებელს სახლის მოსაწესრიგებლად ბევრი დრო არ უნდა ჰქონდეთ. სწორედ ამიტომ, პალასის მობინადრეები უზრუნველყოფილნი იქნებიან - სახლის დალაგების, მშრალი ქიმწმენდისა და სახლიდან ნაგვის გატანის სერვისებით. აღსანიშნი კი ის გარემოებაა, რომ ამ სერვისებს სახლის ადმინისტრაცია განახორციელებს და თქვენ სხვა, დასასუფთავებელი კომპანიის დაქირავება აღარ მოგიწევთ.



### უსაფრთხოება და სიმშვიდე

**ჰილტოპ გრინი** თბილისში ერთადერთი სახლია სადაც 24 საათის განმავლობაში მიმდინარეობს ვიდეოკონტროლი. დაცვა დღე-ღამის განმავლობაში აკონტროლებს პალასში შემსვლელ და გამომსვლელ ადამიანებს. მობინადრის მხრიდან კონტროლის გამკაცრების სურვილის შემთხვევაში კი, ჰილტოპ გრინის დაცვის სამსახურს შეუძლია აწარმოოს აუდიო და ვიდეოჩაწერა.



### დასვენება და გართობა

თუკი ზაფხულში ქალაქიდან ვერ გადიხართ, ანდაც სამსახურიდან მოსულს დასვენება და გართობა გჭირდებათ, შეგიძლიათ პალასიდან გაუსვლელადვე დაიტვირთოთ დადებითი შთაბეჭდილებებით. **ჰილტოპ გრინის** ტერასის ბაღში მუდმივად საინტერესო ღონისძიებები იმართება, ბარში კი, უგემრიელესი თურქული ყავის დაგემოვნება შეგიძლიათ. იქიდან გამომდინარე, რომ ჰილტოპ გრინის მაცხოვრებელთა უმრავლესობა საქმიანი, დაკავებული ადამინია და ოჯახთან დროის გატარების სიმცირეს თითქმის ყველა მათგანი განიცდის - პალასში სპეციალურად გაკეთდა ბავშვთა პარკი და გასართობი ცენტრი. სწორედ ამიტომ, ჰილტოპ გრინის მობინადრეებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი იმისათვის, რომ დრო შვილებთან და მშობლებთან ერთად უფრო სასიამოვნოდ გაატარონ.



### სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი

მოგეხსენებათ, იმისათვის, რომ რთული ცხოვრების ტემპს ფეხი აქტიურად აუწყოთ და თან სასურველი ფიზიკური ფორმა შეინარჩუნოთ, აქტიურად უნდა დაკავდეთ სპორტული ცხოვრებით. **ჰილტოპ გრინის** მაცხოვრებლებს შეუძლიათ სპორტული დარბაზები, მასობრივი მოხმარების საუნა და აუზები დაივიწყონ. ვინაიდან, პალასს საკუთარი სპორტდარბაზი, საუნა და დახურული აუზი აქვს. ფიტნესცენტრი აღჭურვილია უახლესი მოდელების კარდიო და ძალისმიერი ტრენაჟორებით. თანამედროვე ტექნიკის მიხედვით დაპროექტებული ნატურალური ხის საუნა და აუზი კი, სპორტდარბაზში ვარჯიშის შემდეგ რელაქსის საუკეთესო საშუალებაა.



და ბოლოს...

ეს არ არის სახლი ყველასთვის. უმაღლესი კლასის კომფორტისა და საცოხვრებელი პირობებიდან გამომდინარე, **ჰილტოპ გრინი** თავად ირჩევს მის მობინადრეს: სახლის მომავალი მაცხოვრებელი შემდეგ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს - ზუსტად იცოდეს კომფორტის ფასი; ჰქონდეს ყველაზე კაპრიზული სურვილები და რაც მთავარია შეეძლოს გადაწყვეტილების დროულად მიღება - ვინაიდან ჰილტოპ გრინში ბინების რაოდენობა შეზღუდულია.

კეკელიძისა და ნინო ჟვანიას ქუჩების მიმდებარე ტერიტორია.
Tel.: +995 577 969 003; +995 577 151 903; +995 577 500 921 | E-mail: info@htg.ge
**web-site: htg.ge**



Hat Attack



Linda Farrow

# Beachwear




Avene



Fendi



Norma Kamali




La Praire




Orly



Marni



Swatch



Rochas





# Georgian Designers



Matériel by Atelier Kikala
Shop at www.moreislove.com



Ria Keburia
Shop at www.net-a-porter.com




George Keburia
Shop at www.n-duo-concept.com



Dalood
Shop at www.moreislove.com



TEYO
Shop at www.moreislove.com



Chubika
Shop at www.moreislove.com



ANOUKI
Shop at www.anouki.com







- Modern communication
- 24 hours security
- Gym
- Spa salon and sauna
- Wide underground parking
- Children playground







TBILISIA eco-complex
Vake, Nino Zhvania 28, Tbilisi
Tel.: +995 591 92 77 72 | +995 592 10 75 15 | +995 597 29 14 19
e-mail: prtbilisia@yahoo.com | tbilisia@yahoo.com | www.tbilisia.ge

# TBILISIA eco-complex

## Comfortable Life For Successful People

TBILISIA COMPLEX





M2malletier

Nino Eliava
Photo Acielle



Salome Ghviniashvili
Photo Adam Katz Sinding

Adidas Originals
by Pharrell Williams

# Season's Must-Haves



Natuka Karkashadze
Photo Adam Katz Sinding

Olympia Le-tan




Anouki Areshidze
Photo Adam Katz Sinding



Ria Keburia Spring/Summer 2015

Ria Keburia



Jimmy Choo





# Lace Addiction



Erdem

Erdem



Valentino

მაქმანი განსაკუთრებით უხდება ზაფხულს. ფერადი ყვავილებითა თუ ორნამენტებით გაწყობილი სამოსი ნამდვილად ამ სეზონის ჰიტია. ეცადეთ აქცენტი როგორც პასტელურ, ისე მკვეთრ ფერებზე გააკეთოთ.



Stella McCartney

House of Holland

DKNY



Christian Dior Spring 2015

Valentino Spring 2015

Erdem Spring 2015

Chloe Spring 2015

Alberta Ferreti Spring 2015





# Swimwear

ზაფხულის ცხელი და მზიანი ამინდებისთვის, ეცადეთ მაქსიმალურად ფერად საცურაო კოსტიუმსა და აქსესუარებზე გააკეთოთ არჩევანი.



Missoni Mare



Agent Provocateur



Agent Provocateur



Marysia



Duskii





Altuzarra Spring 2015







Lisa Marie Fernandez



Stella McCartney



Missoni



Michael Kors Spring 2015



Mara Hoffman



Emilio Pucci



Proenza Schouler

# Bright COLORS




მკვეთრი და ნათელი – ციტრუსის ფერები საუკეთესო არჩევანია ამ სეზონზე. განსაკუთრებით თუ რუჯი გიყვართ, ეს ფერები სწორედ თქვენთვის არის.




# BLACK

WELCOME TO THE WORLD OF STUNNING SCENERY OF A NEW GENRE THAT MIXES DELICACY, REFINEMENT AND MODERNITY: BLACK


Jacket: RENE LEZARD
Watch: Versace
Jeans: Dolce&Gabbana


Accessories: QABZO


Dress: Versace
Bad: Furla



## Description:

This concept store that looks like a boudoir welcomes fashion aficionados in a cozy space. The boutique mixesprêt-à-porter and lingerie where finest materials compete for sweetness. One can also find jewelry, shoes and other accessories for bohemian chic allures. In this warm ambiance, one can find a wide selection of creative brands coming to integrate with the concept of the store. BLACK is an inescapable address for all fashionistas and other curious looking for originality.


Jacket: Super Trash;
Accessories :Regina Andrianova


Bag Furla,
Dress: Dolce&Gabbana
Accessories: Qabzo


Dress: Red Valentino.


T-shirt : Scotch&Coda



Mon - Sun: 12:00pm - 8:00pm; Facebook: FB.com/BBLACKMEE;Twitter: @BLACK_Tbilisi Instagram: bblackmee;Telephone: 574 17 50 04
E-mail: bblackmee@gmail.com; Kostava Street 37-39, Grato Passage, 2nd Floor (ask BLACK); 0179 Tbilisi, Georgia


Chloe Spring 2015

ეს არის სეზონი, როდესაც ყველანაირი სტილის სანდლები შეგიძლიათ მოირგოთ. მოდაშია როგორც კლასიკური, ისე ყოველდღიური სტილის. ფერადი, პრინტიანი, ყველანაირი ტყავისა და ფაქტურის სანდლები.

# SANDALS for SUMMER


Miu Miu


Valentino


Valentino


Fendi Spring 2015


Chanel Spring 2015


Aquazzura


Balenciaga


Jimmy Choo


3.1 Phillip Lim Spring 2015


Roland Mouret


Balenciaga


Chloe


Paul Andrew






Dres Van Noten Spring 2015


Pierre Hardy


Alaia


Balmain Spring 2015


Christian Louboutin


Vcitoria Beckham Spring 2015 Backstage


Fendi


Stella McCartney Spring 2015


Acne Studios


Givenchy


Lanvin Spring 2015


Nicholas Kirkwood


Marni


Kenzo Spring 2015



განათების საშუალებების ფართო არჩევანი მაღაზია სალონისგან ,,ბრენდ ერ‘‘ .

ჭაღები, კედლის ბრები, ჭერის სანათები, LED ტექნოლოგიები, ბაღის სანათები ცნობილი ევროპელი დიზაინერებისაგან. მუდმივად განახლებადი კოლექცია გამორჩეული გემოვნების მყიდველისათვის. ბრენდ ერში პროფესიონალი დიზაინერების დახმარებით განათებისთვის საჭირო ნებისმიერ ნივთს სასურველ და მისაღებ ფასში შეიძენთ.

**BrandR**
თბილისი, ა.წერეთლის გამზირი # 101
ტელ.: 032 2 30 74 90 / 551 94 81 89
- www.facebook.com/brandr.ge
brand-r@mail.ru

# TBILISI FASHION WEEK

by HONDA

16-19 APRIL F/W 2015/16



Illustration by TEONA GAGLOEVA




**ქეთი ბოჭორიშვილი:**
მინისტრის მოადგილე
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

« თბილისის მოდის კვირეული ერთ-ერთ პლატფორმაა ადგილობრივი საწარმოების პროდუქციის წარმოჩენის კუთხით და ქართველი დიზაინერებისთვის კარგი შესაძლებლობაა მოდის ინდუსტრიაში მოღვაწე მსხვილი კომპანიებისთვის საკუთარი ნაწარმის გასაცნობად. ყველაფერთან ერთად, მოდის კვირეულის მასშტაბურობა და უცხოელი სტუმრების სიმრავლე, დაინტერესებულ ჯგუფებთან შეხვედრა-კონსულტაციები საშუალებას იძლევა დაიგეგმოს ადგილობრივ და უცხოელ ე.წ. ბაიერებს შორის სამომავლო თანამშრომლობა, რაც, ცხადია, საერთაშორისო ბაზარზე წვდომისა და მსოფლიოს მასშტაბით სახელგანთქმულ ბრენდებთან კოორდინირებული მუშაობის ახალ პერსპექტივებს აჩენს.

მსგავსი ტიპის მსხვილმასშტაბიანი ღონისძიებები ქართული მოდის სფეროს სწრაფი ტემპით განვითარებას, ქართული ბრენდების საერთაშორისო წარმატებასა და მოდის ინდუსტრიაში სათანადო ადგილის დაკავებას უწყობს ხელს.

საერთო ჯამში, საერთაშორისო პრესის მხრიდან გამოხატული ინტერესი, დადებითი უკუკავშირი და გააქტიურებული თანამშრომლობა მოდის ინდუსტრიის სხვადასხვა გავლენიან წარმომადგენელთან ცხადყოფს ღონისძიების წარმატებასა და მეწარმეობის გამოცოცხლებას, ამავდროულად, ქვეყნის სახელის საზღვარგარეთ გატანის ახალ საშუალებებს წარმოქმნის და სამომავლო წარმატებების გარანტს წარმოადგენს. »

**კახი კანდელაკი**
მინისტრის პირველი მოადგილე
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

« თბილისმა მოდის კვირეულს მეთერთმეტედ უმასპინძლა და კულტურის სამინისტრომ საჭიროდ მიიჩნია ამ პროექტისთვის კვლავაც დაეჭირა მხარი. საქართველოში მოდის ინდუსტრია აქტიურად ცდილობს განვითარებას. თბილისში გაჩნდა მსოფლიოს წამყვანი ბრენდების მაღაზიები, რაც თავისთავად მიუთითებს ამ სფეროსადმი საზოგადოების მაღალ ინტერესზე. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ქართველი დიზაინერები ცდილობენ საკუთარი პროდუქციის პრომოუტირებას. ამ პროცესში კი, ვფიქრობ, სახელმწიფოს დიდი როლი აკისრია. მოდის კვირეული არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული დიზაინერის ბენეფისი, ეს არის საქართველოს, როგორც ქვეყნის იმიჯის წარმოჩენა. ის, რომ ქვეყანაში მსგავსი დონის კულტურული ღონისძიება იმართება, რეგიონში საქართველოს მნიშვნელობას უსვამს ხაზს. »

« უკვე 6 წელია თბილისის მოდის კვირეული ტარდება და მნიშვნელოვანია მისი სტაბილურობა, ხარისხი, განვითარება და ის შედეგი, რაც გამოიღო ორგანიზატორების უდიდესმა ძალისხმევამ. გაჩნდა ახალი ბრენდები, მოდის სახლები, ახალი სახელები, მოდის ჟურნალები, სამოდელო სააგენტოები და ფოტოსტუდიები.

თბილისის მოდის კვირეულის ჩატარებამ და საერთაშორისო გამოხმაურებამ ჩვენი დედაქალაქი დაამკვიდრა მსოფლიო რუკაზე, როგორც მოდის სფეროს ამიერკავკასიის ცენტრი.

მიმაჩნია, რომ ქართული მოდა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც ღირსეულად წარმოადგენს ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო არეალზე და მისი ხელშეწყობა აუცილებელია ამ სფეროს კიდევ უფრო მეტად განვითარებისთვის. »

**დავით ნარმანია**
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

« ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია უკვე მეორე სეზონია თანამშრომლობს თბილისის მოდის კვირეულთან. ჩვენი ორგანიზებით საქართველოში ჩამოვიდნენ ჟურნალისტები, რომლებიც სტატიებს სწორედ მოდასა და ტურიზმზე წერენ, მათ შორის ისეთი პოპულარული გამოცემებიდან როგორიცაა Vogue, Harper's Bazaar, L'officiel და სხვა. მსგავს ჟურნალებში საქართველოს შესახებ პოზიტიური სტატიის გამოქვეყნება, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციას, იმიჯის ამაღლებას, ცნობადობის გაზრდას.

მოდის კვირეული, ისევე როგორც სხვა დიდი დედაქალაქების შემთხვევაში, არის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პროექტი თბილისისთვის, რომელიც ჩვენს დედაქალაქს საერთაშორისო საზოგადოებისთვის საინტერესო, მიმზიდველ, განსაკუთრებული შარმის მქონე ტურისტულ მიმართულებად აქცევს. »

**გიორგი ჩოგოვაძე**
ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი



**დარია შაპოვალოვა**
მოდის ჟურნალისტი

თბილისში პირველად ვარ. ეს პირველი შოუა, რომელიც ვნახე. დღეს ჩემი თბილისში ყოფნის პირველი დღეა. მოხიბლული ვარ, ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. კოლექცია მართლაც მშვენიერია. ის, ერთი მხრივ, უბრალოების ნათელი მაგალითია და, ამავე დროს, ნამდვილი შარმია. აღფრთოვანებული ვარ მასალითა და ხარისხით.



## Matériel by ALEKSANDRE AKHALKATSISHVILI





**ეკატერინა პოლოდიან**
ბაიერი Sarafan Concept store

რუსეთში გახსნილი მაქვს მაღაზია, რომელშიც დიზაინერების მიერ შექმნილი სამოსი იყიდება. ვიცი, რომ მომავალ წელს კლასიკური სამოსი, ისეთი, როგორიცაა ფრანგი დიზაინერების მიერ შექმნილი ფრანგული კლასიკა, ან ლონდონური კლასიკა, ტენდენციური იქნება. ამიტომ მისი კოლექცია, ვფიქრობ, ტრენდებში იქნება. მომეწონა, როგორ შეუთავსა ერთმანეთს კლასიკური და ფერადი, პრინტიანი ქსოვილები დიზაინერმა ერთმანეთს.

## ELOSHI





## TAKO MEKVABIDZE



**ჯანი პუჩი**
ვიდეო კორესპოდენტი
Vogue Italia

*როგორც გავიგე, ეს ამ დიზაინერის პირველი კოლექციაა. სასიამოვნოდ გაოგნებული ვარ, თბილისში ძალიან ნიჭიერი დიზაინერები არიან. ვულოცავ დიზაინერს წარმატებულ დებიუტს.*





## Matériel by LIKA CHITAIA



**ადამ კაც სინდინგ**
ფოტოგრაფი
W Magazine / Le21ième

*შავი ჩემი საყვარელი ფერია, შესაბამისად, ძალიან მომეწონა კოლექცია. არ ველოდი, რომ თბილისში ასეთი ნიჭიერი დიზაინერები იქნებოდნენ. მიყვარს სადა, მინიმალისტური სტილი.*



# ANOUKI

**ოქსანა ონ**
მოდის რედაქტორი SNC
Russia / ბლოგერი

*ეს ერთ-ერთი საუკეთესო კოლექციაა, რაც მინახავს, რადგან ყველაფრის კომპლექსი, ჰარმონია და ბალანსი 100%-ით დაცულია. მუსიკა და ადგილმდებარეობა, მაკიაჟი, სტილი, ფეხსაცმელი, რომელიც მნიშვნელოვანია თავისი დეტალებით – ყველაფერი ეს ორგანულად შეერწყა ერთმანეთს და მთლიანობაში მაღალი დონის ჩვენება გამოვიდა, რაც, ჩემი აზრით, ძალიან ჰგავდა ნიუ იორკის სტილს. მომეწონა ფერებისა და პრინტის ნაზავი. ვფიქრობ, საქართველო უნდა ამაყობდეს ამ დიზაინერით იმიტომ რომ ის მართლა მაგარია.*





# DALOOD

**ასიელ ტანბეტოვა**
ფოტოგრაფი Style du Monde/ Style.com

*კოლექცია ძალიან მომეწონა. მომეწონა ფეხსაცმელი. კოლექცია კარგად არის გააზრებული. გამოყენებულია ყველაფერი, ქვედატანები და ტოპები. ამ ტანსაცმლის ტარება თავისუფლად შეიძლება. ადვილი წარმოსადგენია ქუჩაში ვინმე ამ ტანსაცმლით. ეს კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ამ ბიზნესის.*







## ანასტასია ლონშაკოვა

Sait Petersbourg Fashion Week

ძალიან მომეწონა ჩვენება. ნათელი და ტენდენციურია. ჩვენების დროს ყოველთვის ყველაფერს ვაკვირდები და ვაფასებ პროფესიონალის ხედვით. ამ კოლექციაში ყველაფერი შეესაბამებოდა ერთმანეთს და ეს მომეწონა. ტანსაცმელი კარგი ხარისხისაა და კარგად არის შეკერილი. მომეწონა ქსოვილიც და პრინტებიც.

## DIANA KVARIANI



## ნათელა ფოცხვერია

რედაქტორი Interview Russia

მომეწონა ჩვენება. ეს იყო ინტელექტუალური და კონცეპტუალური მოდა. ყველა ის მიმართულება, რაც სხვა ქვეყნებშია გამოყენებული, აქაც შეგვეძლოთ გვენახათ. ვფიქრობ, ამ ბრენდს მსოფლიო წარმატება ელის.

## GEORGE SHAGHASHVILI

## ადამ კაც სინდინგ

ფოტოგრაფი
W Magazine / le21ième

*ძალიან მაგარია, თავი ნიუ იორკში მეგონა. რისკიანი, თავისუფალი, ახალგაზრდული სტილის სამოსი წარმოადგინა ამ დიზაინერმა. მაგარია.*





## GEORGE KEBURIA







## ქსენია კრაჩკოვა

ბაიერი - concept store

*კოლექციის ნახვისას პირველი შთაბეჭდილებაა  ის, რომ ეს ძალიან ახალი და ქალურია. დიახ, ეს ქართულია, ორიგინალური და კომერციული. მე მყიდველი ვარ და მომწონს ეს კოლექცია. ვგეგმავ ქართველ დიზაინერებთან თანამშრომლობას.*



## MARIAM GVASALIA







## პაოლო პუჩი

ფოტოგრაფი Vogue Italia

*მომეწონა ამ დიზაინერის კოლექცია, რაც მთავარია, მას ჰქონდა იდეა და შეძლო ეს იდეა სწორად და საინტერესოდ გადმოეცა ტანსაცმლით.*

## SALI PANGANI







## ATÉLIER KIKALA



## რებეკა გრეი

*ბაიერი Boody Gray PR London*

*ასეთი დიზაინერები, ვფიქრობ, მსოფლიოს სჭირდება. ძალიან ემოციური შოუ იყო და, ვფიქრობ, სწორედ ეს არის ნიჭიერება. აღფრთოვანებული ვარ კოლექციით.*







# RIA KEBURIA













## მარია კოლოსოვა

მოდის რედაქტორი
Harper’s Bazaar Russia

*ორი წლის წინ, როდესაც ვწერდი Harpers Bazaar-ისთვის, ურთიერთობა მქონდა რიასთან. ნანახი მაქვს მისი მეორე ჩვენება მოსკოვში. რა თქმა უნდა, ვხედავ პროგრესს. ის ავანგარდული დიზაინერია, რომელიც თავის მიერ შექმნილ შემოქმედებით ჩარჩოებსა და სამყაროში ცხოვრობს და, ვფიქრობ, ეს მშვენიერია. ჩემი აზრით, ამ ტანსაცმლის ტარება შეიძლება. იმედი მაქვს, გაიზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც კომერციული თვალსაზრისით შეაფასებს ამ კოლექციას.*





# BACKSTAGE
## TBILSI FASHION WEEK






მოდელების მაკიაჟზე ზრუნავდა კომპანია "ორიფლეიმი", რომელმაც სტუმრებს არაჩვეულებრივი საჩუქრები დაახვედრა.







სილამაზის სალონ-სტუდია **KEUNE**-ის პროფესიონალი სტილისტები ამ სეზონზე მოდელების ვარცხნილობაზე ზრუნავდნენ.






"ჰონდას ცენტრი თბილისი" – თბილისის მოდის კვირეულის მე-11 სეზონის ოფიციალური წარმდგენი.


ფორუმი
BY
ახალი ნათება
ავეჯი | განათება | აქსესუარები
VONDOM
აღმაშენებლის ხეივანი 12კმ
ბათუმი, ხიმშიაშვილის N 1
2 20 24 24 | ForumNL | www.newlight.ge



# YOUNG TALENTS

ტექსტი: ია ვეკუა ფოტო: გურამ წიბახაშვილი, თინათინ კილურაძე იდეა: ანანო დოლაბერიძე
















თბილისის მოდის კვირეულის განმავლობაში მათ ყველაგან ნახავდით: ქუჩის მოდის კადრებში, სტუმრებს შორის, კულისებსა და ზოგჯერ პოდიუმზეც. უფრო კი კულისებში, საკიდებისა და მოდელების გარემოცვაში, სწორედ მაშინ, როდესაც კვირეულის მონაწილე მეგობარ დიზაინერებს ეხმარებოდნენ, ამხნევებდნენ და წარმატებას ულოცავდნენ. ისინი ხუთნი არიან: ალექსანდრე ახალკაციშვილი, ლიკა ჩიტაია, გიორგი ქებურია, თიკო პაქსაშვილი და ლადო ბოკუჩავა.

ახალგაზრდები არიან, მაგრამ არა ახალბედები. ხუთივე მოქმედი, დასაქმებული და უკვე ცნობილი დიზაინერია, იდეებითა და ამბიციით სავსე, ზუსტად იციან, რა სურთ და ამისთვის ყველაფერს აკეთებენ – შრომობენ, გამუდმებით სწავლობენ, ექსპერიმენტებს არ ერიდებიან და ნელ-ნელა იარლიყებზე თავიანთი სახელების ამოქარგვასაც იწყებენ.

თბილისის მოდის კვირეულის ახალბედა დიზაინერთა რიგებიდან უკვე გამოვიდნენ და მის მთავარ პოდიუმზე გადაინაცვლეს. გიორგი ქებურია დამოუკიდებელი დიზაინერია, ლადო ბოკუჩავა „ატელიე კიკალასთან“, დანარჩენები კი „მატერიასთან“ თანამშრომლობენ. ეს მოდის სახლები სწორედ მათზე დებენ ფსონს და მათი ფანტაზიით შექმნილი კოლექციებით ამაყობენ.

პირველი წარმატების გემო ყველამ იცის, მთავარი ნაბიჯი ყველა მათგანს გადაუდგამს და ისიც გაუცნობიერებია, რომ ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი ეტაპი სწორედ ამის მერე იწყება. წელიწადში ორჯერ თბილისის მოდის კვირეულის მოსამზადებელი ეტაპი კი განსაკუთრებულია – დღეს ეს მათი ყველაზე სერიოზული არენაა.

**თიკო პაქსაშვილი**: „კვირეულისთვის მზადება ურთულესი და სერიოზული პროცესია. გამუდმებით კოლექციაზე ფიქრობ. იცი, რომ აუცილებლად უნდა იმუშაო და რაღაც განსაკუთრებული შექმნა“.

ახალგაზრდები არიან, ამიტომ მათთვის სიტყვა „განსაკუთრებული“ ზოგჯერ წარმოუდგენელ სიგიჟესთან ასოცირდება. ასეთ დროს წინა პლანზე მოდის ეპატაჟის მოთხოვნილება.

**გიორგი ქებურია**: „სიგიჟის აუცილებლობა და მოთხოვნილება მაშინ უფრო ჩნდება, როდესაც კონკურსში მონაწილეობ და გინდა, ყველას დაამახსოვრო თავი. ასეთ დროს რისკზეც მიდიხარ. მე ეს ეტაპი უკვე გავიარე და შედარებით მშვიდი და თავდაჯერებული პერიოდი მაქვს“.

**ალექსანდრე ახალკაციშვილი**: „გამოცდილების მატებასთან ერთად, შინაგანი სტაბილურობის განცდაც გემატება, ხმაურიანი განაცხადის აუცილებლობას აღარ გრძნობ და გარკვეულ სტანდარტებშიც ჯდები“.

**ლიკა ჩიტაია**: „სტანდარტებში ჩაჯდომა კი არ ნიშნავს შემოქმედებითად დამუხრუჭებას. თუ სტანდარტი ფერს, ფორმასა და სილუეტს გთავაზობს, არც ჩარჩოში ექცევი და არც ორიგინალობას კარგავ – პირიქით, ერთი ფორმის მრავალმხრივად გადმოცემის შესაძლებლობა გეძლევა“.

**ლადო ბოკუჩავა**: „ტენდენციას თანამედროვე ხელოვნება, ყოველდღიური ცხოვრება, კინო, ფოტოგრაფია, მუსიკა აჩენს. ამრიგად, ტენდენციის მიყოლა პროცესის ნაწილია. ეს ნიშნავს, რომ მუდმივ დინამიკაში ხარ. მთავარია როგორ მომწიფდება ეს ყველაფერი შენს გონებაში და რა შედეგს მიიღებ“.

ინსპირაცია მიღებულია, ინფორმაცია გადახარშულია და შედეგიც თითქმის მზადაა. სწორედ ამ დროს იწყებ ფიქრს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ შენი



ფანტაზიის ნაყოფს – ეს კი პასუხისმგებლობის გრძნობის, პოტენციური მომხმარებლის მიმართ პატივისცემის მთავარი ნიშანია.

**ალექსანდრე ახალკაციშვილი**: „როდესაც ჩარჩოებიდან გადიხარ, რისკი იზრდება. რაც უნდა გამოცდილი დიზაინერი იყო, არასდროს არ გტოვებს ეჭვი და გამუდმებით ეკითხები საკუთარ თავს – როგორ მიიღებს ამას საზოგადოება“.

როგორც გითხარით, სულ ერთად არიან, მეგობრობენ, ერთმანეთს ეხმარებიან. შორიდან ეს ყველაფერი სასიამოვნოდ მოჩანს და, როგორც ირკვევა, შიგნითაც ყველაფერი კარგადაა – ერთი თაობისა და თითქმის თანაბარი გაქანების დიზაინერები არიან, მაგრამ ერთმანეთს კონკურენტებად არ თვლიან. არა იმიტომ, რომ მეგობრობენ, არამედ იმიტომ, რომ ყველა მათგანი ინდივიდუალიზმით გამოირჩევა, ყველას თავისი მომხმარებელი ჰყავს. ასე რომ, კონკურენციისთვის აქ ადგილი აღარ რჩება.

ერთმანეთზე საუბრისას ხშირად ახსენებენ სიტყვებს „ნიჭიერი“, „მშრომელი“, „ორიგინალური“, „ინდივიდუალური“. არ მალავენ, რომ ერთმანეთის მხარდაჭერის გარეშე გაუჭირდებოდათ, ბოლოს კი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ქართველი დიზაინერების საუკეთესო და ყველაზე საინტერესო თაობას წარმოადგენენ, სწორედ იმ თაობას, რომლისთვისაც აღარ არსებობს საზღვრები, დახშული სივრცის კომპლექსი, რომ ეს არის თაობა, რომელსაც თავაწეულს შეუძლია თბილისიდან ევროპის ნებისმიერ ქალაქამდე გაჭიმულ პოდიუმზე გასვლა.



კლიმატის მართვა?
Paradiso
ZANUSSI
ZANUSSI მარტივია!
alta OKAY
Buying Group

# BLACK & WHITE

შავი და თეთრი ყველა სეზონზე აქტუალურია, მაგრამ ეცადეთ, ერთად მოირგოთ ეს ფერები.














სათვალე ერთ-ერთი აუცილებელი აქსესუარია, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ და მზიან დღეებში. აქტუალურია ყველანაირი ფორმისა და ფერის სათვალე. ეცადეთ, თქვენი სახის ფორმის მიხედვით შეარჩიოთ სათვალე, დანარჩენში კი არ ხართ შეზღუდული.




# Sunnies for Sunny Day




გუდვილი
GOODWILL ®




გუდვილ ქეითერინგი გთავაზობთ შემდეგ მომსახურებებს:

- ბიზნეს ლანჩი
- კორპორატიული წვეულებები
- საუზმე, სადილი, ვახშამი
- კოქტეილ ფართი
- სპეც მენიუ (მოთხოვნის შესაბამისად)
- დესერტები და ტორტები ნებისმიერი დიზაინით (საბავშვო, კორპორატიული, სადღესასწაულო)
- სასმელები
- ღონისძიების ინვენტარი, დეკორაცია და დიზაინი
- ფოტო მომსახურება

2 18 12 12 / catering@goodwill.ge

# დარია შაპოვალოვა

ინტერვიუ: ანანო დოლაბერიძე ფოტო: ნია გვათუა



ნიჭის გარეშე წარმოუდგენელია გადარჩე

პერანგი Matériel by Aleksandre Akhalkatsishvili
შარვალი Matériel by Lika Chitaia

**როდის დაინტერესდით მოდის სფეროთი?**

როგორც ყველამ, ვინც დღეს მოდის სფეროშია, მეც თავიდანვე ვიცოდი, რომ ამ ბიზნესში ვიქნებოდი. ეს სურვილი ადრეულ ასაკში გამიჩნდა. როგორც იტყვიან ხოლმე, მოდა სისხლში მაქვს. როდესაც ზუსტად მივხვდი, რომ მოდა სერიოზულად მაინტერესებდა, უკრაინაში მოდა არც არსებობდა. 19 წლის ვიყავი, როცა დავიწყე ჩემი სატელევიზიო გადაცემა, სახელწოდებით „მოდის კვირეულები“. ბევრს ვმოგზაურობდი, ვესწრებოდი ყველა მოდის კვირეულს, ვათვალიერებდი მოდის ჟურნალებს, წიგნებს, მოდურ საიტებს, მაგრამ სულ სხვა შეგრძნებაა, როდესაც ყველაფერს ცოცხლად უყურებ. ათი წლის წინათ, როდესაც დავიწყე მოდის კვირეულებზე სიარული, ეს ბიზნესი არც იქ იყო ისეთი მასშტაბური, როგორიც დღეს არის. იყო პატარა შოუები, მხოლოდ მნიშვნელოვანი ხალხით – როგორც დღეს იმართება Comme des Garçones-ის ჩვენებები. ხუთი წლის განმავლობაში მიმყავდა ეს გადაცემა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ბევრი გამეგო ამ სფეროზე, მიმეღო გამოცდილება. მივხვდი, რომ უკრაინას ჰქონდა შანსი შეერთებოდა მსოფლიო მოდის ასპარეზს. აქედან გაჩნდა მერსედეს-ბენც მოდის დღეების დანერგვის იდეა კიევში. ეს არ არის მოდის კვირეული. ესაა პლატფორმა, რომელიც დაეხმარება უკრაინაში მოღვაწე ყველა დიზაინერს, აკეთოს საქმე და ჰქონდეს წარმატება საერთაშორისო ბაზარზე.

ასევე დავიწყე More Dash შოურუმის მოწყობა პარიზში, რომელიც უკვე მეორე სეზონია წარმატებით ტარდება. უკრაინელ და ყაზახ დიზაინერებთან ერთად, ჩემთვის საამაყოა ქართველი დიზაინერების წარმოდგენა ამ შოურუმში.

**უკვე მეორედ ესწრებით თბილისის მოდის კვირეულს. როგორ ფიქრობთ, რამდენად განვითარდნენ ქართველი დიზაინერები და როგორ შეაფასებთ მათ კოლექციებს?**

ვფიქრობ, ძალიან განვითარდნენ. და განვითარდნენ პირველ რიგში იმიტომ, რომ სურთ გავიდნენ საერთაშორისო ბაზარზე. შეხედეთ ANOUKI-ს. ის ძალიან ახალგაზრდაა და უკვე კარგ კოლექციებს ქმნის. ასევე Atelier Kikala, მისი დიზაინერი უდავოდ ნიჭიერია. პროგრესი, რაც აერთიანებს ქართველ დიზაინერებს, ეს არის ზრუნვა გაყიდვებზე, ხარისხის გაუმჯობესებაზე და დიდი სურვილი, გახდნენ საერთაშორისო დონის დიზაინერები.

*ჩვენ, ყველანი, საბოლოოდ ჩვენი თავისგან ვქმნით ბრენდს.*



ჟილეტი Dalood

**მოდის სფერო მთლიანად ბიზნესად იქცა და ხელოვნება მინიმუმამდე შემცირდა. რას ფიქრობთ ამ თემაზე?**

დღევანდელი მოდა მთლიანად მორგებულია მომხმარებლის სურვილზე. თუ ეს სფერო უფრო კომერციულია, მხოლოდ იმიტომ, რომ მომხმარებელს სურს ასე. მას აღარ უნდა ექსტრაორდინარული, განსაკუთრებული ტანსაცმელი ყოველდღიურ ცხოვრებაში. დრო სეზონიდან სეზონამდე ძალიან სწრაფად გადის, უამრავი დიზაინერია და რაიმე განსაკუთრებულის შექმნა აღარ არის საჭირო. მოდის განსაკუთრებულობა იზომება იმით, რომ შექმნა ყოველდღიური, მაგრამ ამავდროულად საინტერესო სამოსი. ვფიქრობ, დიზაინერებისთვის დიდი გამოწვევაა, შექმნან ტანსაცმელი ნამდვილი ადამიანებისთვის, რომლებიც რეალურ ცხოვრებაში გამოიყენებენ მას. ხელოვნება კარგია, მაგრამ ამ სტილის სამოსი მოხვდება მუზეუმში და არა გარდერობში. Nicola Ghesquière არაჩვეულებრივ კოლექციებს ქმნის Louis Vuitton-ისთვის. ეს ხელოვნებაა, მაგრამ რეალური ადამიანებისთვის რეალურ ცხოვრებაში. ეს არის ის, რაც მომწონს დღევანდელ მოდის სფეროში. ნიჭი აუცილებელია. ნიჭის გარეშე წარმოუდგენელია გადარჩე. შეხედეთ Raf Simons, Christopher Kane – ისინი ნიჭიერი და კრეატიული დიზაინერები არიან, მაგრამ ითვალისწინებენ მომხმარებლის მოთხოვნებს.

**ბევრს მოგზაურობთ და ესწრებით ყველა დიდ მოდის კვირეულს. თითოეული ქალაქი გამოირჩევა თავისი სტილითა და ხასიათით. თქვენთვის რომელი მოდის კვირეულია ყველაზე საინტერესო?**

ლონდონი – არასდროს არ ვტოვებ ლონდონის მოდის კვირეულს. ეს საოცრებაა. აქ იმდენი ახალგაზრდა ნიჭიერი



ჟილეტი და შარვალი Atelier Kikala

« ეს არის სფერო, სადაც დიდი შრომის შედეგად დიდ წარმატებას მიაღწევ. »

დიზაინერია... და ეს ტალღა ყოველწლიურად მატულობს. კარგად მახსოვს Christopher Kane-ის პირველი კოლექცია. ახლა ის ძალიან წარმატებული დიზაინერია საერთაშორისო ბაზარზე. მინდა ასეთ წარმატებას მიაღწიონ უკრაინელმა და ქართველმა დიზაინერებმაც. ვფიქრობ, ჩვენს რეგიონს აქვს ამის პოტენციალი.

**დიზაინერი, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონთ.**

არ შემიძლია გამოვყო რომელიმე. იყო მოდური, ნიშნავს შეგეძლოს სხვადასხვა დიზაინერების შეხამება და მათი ერთად მორგება. ყოველთვის ვცდილობ, ცნობილ ბრენდებთან ერთად ახალგაზრდა, დამწყები დიზაინერების სამოსი ჩავიცვა და ამით ხელი შევუწყო მათ პოპულარობას.

**დღეს ძალიან მნიშვნელოვანია პერსონალური სტილი – საკუთარი თავის სწორად წარმოჩენა. რას ფიქრობთ ამ თემაზე და რამდენად დიდ დროს უთმობთ იმაზე ფიქრს, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეთ?**

ჩვენ, ყველანი, საბოლოოდ ჩვენი თავისგან ვქმნით ბრენდს. ჩვენ ვართ მოდის სფეროში და ვალდებულიც ვართ მის წესებს მივყვეთ. უპირველეს ყოვლისა, ზუსტად უნდა ვიცოდეთ ჩვენი ფიგურა, ჩვენი ნაკლი, ჩვენი უპირატესობები. სახლში ყოფნისას ხშირად უნდა ვიდგეთ სარკესთან და ვუყუროთ, რა სიგრძის ქვედატანი გვიხდება, როგორი ფორმის შარვალი და ა.შ. როცა ზუსტად იცი, რა გიხდება, ადვილია მოირგო ისეთი ტანსაცმელი, რომელიც დაგამშვენებს. მიყვარს ფერები, მიყვარს პრინტები. არ მესმის, რატომ ეშინიათ მკვეთრი ფერების გამოყენების. მიყვარს აქსესუარები – საყურე, ქუდი, ჩანთა, ყელსაბამი. მიყვარს ასევე ვინტაჟი აქსესუარები, მაგრამ არა ტანსაცმელი. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ასეთი სამოსი აქტუალურია, მე არ მომწონს. მინდა ვიგრძნო მომავალი და არ ვაპირებ წარსულში დაბრუნებას.

**გყავთ Style icon?**

ბევრი ადამიანის სტილი მომწონს. დავიწყებ ოდრი ჰეპბერნით, რომლის სტილი მართლაც უნიკალურია. არ შემიძლია არ აღვნიშნო Carine Roitfield-ის სტილი, ოღონდ არა ჩაცმის თვალსაზრისით, არამედ იმით, რომ მან იცის, ვინ არის და როგორ წარმოაჩინოს საკუთარი თავი. არ შემიძლია არ გამოვყო Anna Dello Russo. არ ვამბობ, რომ უშუალოდ მისი ჩაცმულობა მომწონს, მაგრამ ის ერთ-ერთი პირველია, ვინც ამბავს გვიყვება თავისი ჩაცმულობით.

**რას ფიქრობთ Street Style-ზე, რომელიც დღეს ისეთივე მნიშვნელოვანი გახდა, როგორც ჩვენებები?**

არსებობს ადამიანთა ორი კატეგორია. ადამიანები, რომლებიც რეალურად შოუზე მიდიან და არ აინტერესებთ ქუჩის მოდა და ადამიანები, რომლებიც კონკრეტულად ამისთვის მოდიან შოუებზე. მაგრამ ქუჩის მოდა ბიზნესად იქცა – ქირაობენ სტილისტებს, არჩევენ ტანსაცმელს. ეს არის დიდი და მნიშვნელოვანი თამაში და ჩვენ, ყველანი, ამის მონაწილენი ვართ. მოდის ჟურნალებს სჭირდებათ მასალა, აჩვენონ მკითხველს, როგორ ჩაიცვას, ქუჩის მოდა კი არაჩვეულებრივი საშუალებაა იმისთვის, რომ ნახო, როგორ იცვამენ საინტერესოდ



პიჯაკი და შორტი Anouki

რეალური ადამიანები. ხშირად Street Style-ის დროს პატარ-პატარა ეშმაკობებსაც ვაწყდებით ხოლმე, რაც ჩემს სტატიაშიც აღვნიშნე, რომელიც www.style.com-ზე გამოქვეყნდა. ზოგიერთი სულ არ ესწრება შოუს და მოდის მხოლოდ ფოტოების გადასაღებად, ზოგს საერთოდ არ ეკუთვნის ის ტანსაცმელი, რომელიც აცვია, ზოგი საათობით საუბრობს ტელეფონზე და თან პოზირებს ფოტოგრაფებისთვის, მაგრამ იქმნის იმიჯს, რომ ეს საერთოდ არ აინტერესებს. ქუჩის მოდის აიკონების უკან დგას პროფესიონალთა ჯგუფი, რომლისთვისაც ეს პროცესი უაღრესად სერიოზულია. ეს ყველაფერი ძალიან მომწონს. ვფიქრობ, ამ საკითხს უნდა მივუდგეთ როგორც თამაშს, რომლის მონაწილეებიც თავად ვართ.

**გაქვთ თუ არა რაიმე დევიზი, რომელიც ყოველთვის გახსენდებათ და რომელსაც ყოველთვის ითვალისწინებთ?**

მომწონს ერთი გამოთქმა, რომელსაც სულ უფრო ხშირად ვუმეორებ ჩემს თავს, თუმცა ეს ჩემი სიტყვები არ არის. ის Estee Lauder-ისგან ავიღე: „არასდროს მიოცნებია წარმატებაზე, მე მხოლოდ ვმუშაობდი ამისთვის“.

**რას ურჩევთ ადამიანებს, რომლებსაც სურთ თავი დაიმკვიდრონ მოდის სფეროში?**

ეს არის სფერო, რომელიც ნამდვილად აღიარებს და წარმატების შანსს აძლევს ნიჭიერ ადამიანებს. არ შეიძლება პირველივე სეზონიდან გქონდეს იმის ამბიცია, რომ იყო წარმატებული. უნდა იყო ნიჭიერი, ჭკვიანი, გიყვარდეს შენი საქმე. მოდის სფერო არ სწყალობს მათ, ვისაც მხოლოდ სურს იყოს წარმატებული. ეს არის სფერო, სადაც დიდი შრომის შედეგად დიდ წარმატებას მიაღწევ.





ჟილეტი Atelier Kikala

თმა და მაკიაჟი - ეკატერინე ჩანჩიბაძე / სტილი - ანანო დოლაბერიძე

Isabel Marant

# STRIPES

ზოლიანი გაზაფხული/ზაფხული 2015-ის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ტენდენციაა. ეცადეთ მოირგოთ როგორც შავ-თეთრი, ისე ფერადი სამოსი და აქსესუარები.

Sonia Rykiel

Loewe

Dolce & Gabbana

Tory Burch

T by Alexander Wang

Jimmy Choo



Tibi

Dalood Spring 2015

Sonia Rykiel Spring 2015

Dries Van Noten Spring 2015

Oscar de la Renta Spring 2015

DKNY Spring 2015

Nicholas Kirkwood

Adidas

Stella McCartney


აღმოაჩინეთ გაზაფხულის ფერები და ყვავილები გადმოტანილი თაჩის ტექსტილზე!

გვეწვიეთ და გაეცანით სახლის ტექსტილის მოდურ ტენდენციებს!

TAC



ZORLU | TAC Georgia

თბილისი, საბურთალო, ვაჟა–ფშაველას გამზ. 15 ტელ.: 238 66 50

თბილისი, გლდანი, ხიზანიშვილის ქ. 15 ტელ.: 570 50 89 66

# OKSANA ON

ინტერვიუ: ლიკა კვარაცხელია ფოტო: იკა ხარბელია

... არა მხოლოდ არქიტექტურის, არამედ ბევრი სხვა რამის გამო ქართველ დიზაინერთა კოლექციები აბსოლუტურად ავთენტიკურია.

თბილისის მოდის კვირეულის ერთ-ერთი გამორჩეული სტუმარი ცნობილი ბლოგერი, სტილისტი, It-girl-ისა და ჟურნალ SNC-ის მოდის დირექტორი ოქსანა ონი გახლდათ. განათლებით იურისტი და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია, თუმცა ეს ყველაფერი ამჟამად მისთვის მეორეხარისხოვან სფეროს წარმოადგენს — რამდენიმე წლის წინ პირველ ადგილზე მოდა დააყენა, ოდესღაც ჰობი კი, დროთა განმავლობაში, პროფესიად ჩამოუყალიბდა.

21 წლის ასაკში ჟურნალ „გრაციას" მოდის განყოფილებაში ასისტენტად აიყვანეს, ორი წლის შემდეგ კი Glamour-ის მოდის რედაქტორი გახდა, რასაც პირველი სერიოზული წარმატებები, მოდის ვარსკვლავებთან თანამშრომლობა და აღიარება მოჰყვა. ამჟამად ოქსანა ონი მხოლოდ ცნობილ დიზაინერებთან თანამშრომლობს და კოლექციების შექმნაში ეხმარება, პარალელურად კი ქუჩის ფოტოგრაფების საყვარელი მოდელია, რადგან მკვეთრად გამოხატული სტილი, ორიგინალური აზროვნება და გამორჩეულად ყოფნისთვის აუცილებელი სითამამე აქვს.





კაბა Eloshi სათვალე Ria Keburia x Fakoshima

**ეს თქვენი პირველი ვიზიტია თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში. იმედია, ის არ იქნება უკანასკნელი.**

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მოდის კვირეული 2009 წლიდან იმართება, მხოლოდ ამ სეზონზე მივიღე ორგანიზატორთა მოწვევა. რადგან არასდროს არ ვყოფილვარ თბილისში, ამჯერად ჩემში მოგზაურის ცნობისმოყვარეობამ სძლია სწავლის დატვირთული გრაფიკით გამოწვეულ დაღლილობას. თუმცა, გაკვირვებული დავრჩი იმით, თუ როგორ ორგანულად შეერწყა თანამედროვე ქართული მოდის გაცნობისას მიღებული შთაბეჭდილებები ზოგადად საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებს.



სვიტერი და ქვედაბოლო Anouki



**გვიამბეთ საქართველოზე თქვენი შთაბეჭდილებების შესახებ – თუ მოასწარით ღირსშესანიშნაობების დათვალიერება და ქალაქგარეთ გასეირნება.**

როგორც უკვე ვთქვი ჩემს ბლოგში www.onoffnote.com თბილისის მოდის კვირეულის შესახებ განთავსებულ პოსტში, შეუძლებელია ქართველი დიზაინერების შემოქმედების აღქმა კულტურული მემკვიდრეობისა და, რასაკვირველია, ბუნებრივი თავისებურებების კონტექსტის გარეშე. რა თქმა უნდა, ცოტა დამღლელი იყო სისხამ დილიდან გამაოგნებელი, ყველაფრისგან გამორჩეული მრავალგვარი ღირსშესანიშნაობების აღქმა, ხოლო მერე, სულ რაღაც ერთი საათის განმავლობაში, მისვლა შენობაში, სადაც ერთიმეორის მიყოლებით ტარდებოდა ჩვენებები. მაგრამ, მეორე მხრივ, საბოლოოდ ზუსტად გავიგე, თუ რატომ შეადგინეს ორგანიზატორებმა ასეთი მჭიდრო და დატვირთული გრაფიკი, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი.

**ამ მოგზაურობიდან რომელი ეპიზოდი დაილექება თქვენს მეხსიერებაში სამუდამოდ?**

წინასწარ ბოდიშს გიხდით ბანალურობისთვის, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ჩემთვის ეს მოგზაურობა იყო არაჩვეულებრივი გამოცდილება, რომელიც ჩემი შეგნებული ცხოვრების ბოლომდე ჩემთან დარჩება.

**თქვენი აზრით, ახდენს თუ არა გავლენას ძველი თბილისის არქიტექტურა ქართველი დიზაინერების კოლექციებზე?**

თავს ნებას მივცემ ვივარაუდო, რომ არა მხოლოდ არქიტექტურის, არამედ ბევრი სხვა რამის გამო ქართველ დიზაინერთა კოლექციები აბსოლუტურად ავთენტიკურია.

## მოდის კვირეულის შესახებ

**დაემთხვა თუ არა გაგონილი ნანახს?**

ძალიან გულმავიწყი ვარ: იშვიათად ვიმახსოვრებ, რას ამბობენ ჩემთვის უცხო ადამიანები. გამომგზავრების წინ ჩემმა საუკეთესო მეგობარმა მაშა კოლოსკოვამ არაერთხელ გამიზიარა თავისი წინა მოგზაურობის შთაბეჭდილებები. ამიტომ დიდი მოლოდინი მქონდა და ის სრულიად გამართლდა.

**რამდენად მნიშვნელოვანი პროექტია თბილისის მოდის კვირეული?**

ამ ღონისძიების, უფრო ზუსტად, პროექტის მნიშვნელობის გაგების გასაღები თავად ამ იდეაშია. უეჭველია, რომ პირველადი მიზანია არა მარტო მოდის ინდუსტრიის განვითარება საქართველოში, არამედ ტურიზმში არსებული ვითარების გაუმჯობესებისკენ სწრაფვაც. თბილისის მოდის კვირეულის დამფუძნებლის, თაკო ჩხეიძის თქმით, ეს გარკვეული მიდგომაა მთლიანად ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

**შეგიძლიათ თუ არა მცირე კომენტარი გააკეთოთ თბილისის მოდის კვირეულის ყველა მონაწილეზე? რამდენად სხვადასხვანაირები არიან ქართველი დიზაინერები?**

დიზაინერებს, პირობითად, ორ ჯგუფად დავყოფდი. ერთნი მძაფრად რეაგირებენ იმაზე, რაც მსოფლიო მოდის ინდუსტრიაში ხდება, მეორენი კი ტანსაცმლის მოდელირებაში ტრადიციული ელემენტებისა და თარგების ერთგულნი რჩებიან.

**როგორია მათი პოტენციალი?**

ნებისმიერი შემოქმედის პოტენციალზე საუბარი ძალიან უმა-





დური და არაკეთილშობილური საქმეა.

**ვინ მოგეწონათ ყველაზე მეტად?**

George Keburia, Anouki, Ria Keburia, Atelier Kikala, Atelier Materiel

## ჩვენებების სტაილინგის შესახებ

**რამდენად მნიშვნელოვანია დიზაინერისთვის სტილისტის დახმარება? რატომ?**

ზემოთ ჩამოთვლილმა ყველა დიზაინერმა შესანიშნავად გაართვა თავი სტილიზების პროცესს. ყოველი ცალკე აღებული ბრენდისთვის სხვადასხვანაირია სტილისტის აუცილებლობის ხარისხი და მნიშვნელობა. ზოგიერთი დიზაინერი ადრე თავად იყო სტილისტი, ზოგს სტილისტის ნიჭი მეტად აქვს განვითარებული, ვიდრე ტანსაცმლის მოდელირების უნარი. ასე რომ, ყველაფერი კონკრეტულ შემთხვევაზეა დამოკიდებული.

**რას შეცვლიდით ქართველი დიზაინერების სტაილინგში?**

თავიდანვე გეტყვით, რომ უდიდეს პატივს ვცემ ნებისმიერ შემოქმედებით პროცესს. მაგრამ მომეჩვენა, რომ დიზაინერებმა უფრო გულმოდგინედ უნდა იმუშაონ აქსესუარებზე. არასწორად შერჩეული ფეხსაცმელი ხშირად აფუჭებს შთაბეჭდილებას. გარდა ამისა, კარგი იქნებოდა უფრო გააზრებული მიდგომა თავად შოუს რეჟისურისადმი: მოდელების კასტინგი, რომელიც კოლექციების სულისკვეთების შესაბამისი იქნებოდა, მუსიკის შერჩევა და მთლიანობაში მიწოდების კონცეფცია. ამ მხრივ კონკურენციის გარეშე არიან Ria Keburia და Atelier Kikala.

**ურჩევთ თუ არა დიზაინერს აქცენტი გააკეთოს კომერციულობაზე? რამდენად მნიშვნელოვანია ადვილად გასაყიდი კოლექციის შექმნა? ეუბნებით თუ არა, რას ჩაიცვამდით მათი კოლექციიდან?**

დიზაინერებთან მუშაობის დროს, იქნება ეს მთელი ბრენდის თუ ცალკეული კოლექციის კონსულტირების პროცესი, ასეთი კითხვები ერთ-ერთი ძირითადია, ბოლო კითხვის გარდა. ამ მხრივ ჩემი არჩევანი არ არის ამა თუ იმ ნივთის წარმატების მაჩვენებელი.





პალტო Matériel by Aleksandre Akhalkatsishvili

... ნამდვილად უკეთესი შედეგია, როდესაც მენდობიან და ჩემი ფანტაზიის ცხოვრებაში განხორციელების უფლებას მაძლევენ.

**თქვენ მრავალი დიზაინერისთვის აკეთებთ სტაილინგს. მუშაობის რა ნაწილს ასრულებს სტილისტი?**

კონცეფციას. უფრო დაწვრილებით კი ყველაფერი თავად დიზაინერის მოთხოვნილებებსა და სურვილებზეა დამოკიდებული. ზოგიერთი ასპროცენტიანი ინტეგრაციის უფლებას იძლევა, ზოგიც – მხოლოდ კონკრეტულ საკითხებში მონაწილეობის უფლებას. მაგრამ ნამდვილად უკეთესი შედეგია, როდესაც მენდობიან და ჩემი ფანტაზიის ცხოვრებაში განხორციელების უფლებას მაძლევენ.

**შესრულებული სამუშაოებიდან, რომელი გიყვართ ყველაზე მეტად? როგორ ადამიანებთან მუშაობაა თქვენთვის კომფორტული?**

არ ვკიდებ ხელს სამუშაოს, თუ არის რისკი, რომ ის ნამდვილად არ მომეწონება. ვამაყობ დიზაინერ ვიქტორია ანდრეიანოვასთან მეგობრობით, რომელშიც გადაიზარდა ჩვენი ხანგრძლივი თანამშრომლობა, Ester Abner-ის და სხვათა ნდობით. კომფორტულია მუშაობა ნიჭიერ ხალხთან, მათი ხასიათისა და ფინანსური საშუალებების მიუხედავად.

**თქვენი სამომავლო გეგმები?**

გეგმები ოცნებასთან არის დაკავშირებული, ისინი კი, ჩემი აზრით, მხოლოდ ჩემია.

# Embellished FLOWERS

ყვავილებიანი პრინტი უკვე რამდენიმე სეზონია ძალიან აქტუალურია. მოირგეთ. ეცადეთ, მთლიანი ლუქი ააწყოთ ყვავილებიანი პრინტებით. ნუ დაივიწყებთ აქსესუარებს.








Agromax Décor
აგრომაქს დეკორი











# პოლონურ-ქართული კომპანია აგრომაქს დეკორი

პოლონურ-ქართული კომპანია, აგრომაქს დეკორი, პოლონური კომპანიის, „გრაბჩევსკი"-ს (რომელსაც არსებობის 80 წლიანი ისტორია აქვს), მიერ საქართველოში, 2014 წლის დასაწყისში დაარსდა. უნიკალური ჯიშის დეკორატიული მცენარეებისა და ნერგების კომპანიის სანერგე მეურნეობა, თბილისთან ახლოს, სოფელ სართიჭალაში მდებარეობს. აგრომაქს დეკორის საქმიანობის მიზანს, მაღალი ხარისხის, თანამედროვე, ყველა სახის სანერგე მეურნეობის მასალის წარმოება და დისტრიბუცია წარმოადგენს. კომპანია, მჭიდროდ თანამშრომლობს, პოლონურ თანადამფუძნებელთან, რომლებსაც ქართულ ბაზარზე, სანერგე მასალის მოწოდების 10 წლიანი გამოცდილება აქვთ. საქართველოში არსებული გარემო და კლიმატური პირობები, კომპანიას საშუალებას აძლევს, აწარმოოს უნიკალური ჯიშის დეკორატიული მცენარეების არა მარტო იმპორტი, არამედ, ადგილზე მოახსენოს, მათი განაშენიანება, სკვერების, ბაღების და სარეკრეაციო ზონებისთვის. კომპანია განუწყვეტლივ ზრუნავს მომხამრებელს შეუქმნას და შესთავაზოს, ობიექტის გამწვანების ახლი ინოვაციური იდეები და პროექტები.

აგრომაქს დეკორის 1წლიანი არსებობის მიუხედავად, კომპანია აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ თუ სხვადასხვა სახის საქველმოქმედო აქციებსა და პროექტებში. ის, მჭირდოდ თანამშრომლობს, როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სტრუქტურებთან.

მის: სანერგე სართიჭალაში.

უფრო ვრცლად ჩვენს შესახებ იხილეთ გვერდზე-https://www.facebook.com/agromaxdecor

დამატებითი ნფორმაციისთვის საკონტაქტო პირი ანა ჩანგიანი-555 934 934



# ქსენია სობჩაკი:

## „მიყვარს გულღია ადამიანები იუმორის გრძნობით“

ტექსტი: ირმა კახურაშვილი / ფოტო: კიკალა სტუდიო

ის მიზანდასახული, კომუნიკაბელური, დამოუკიდებელი, არაორდინარული, განათლებული, საკუთარი აზრისა და პოზიციის მქონე ადამიანია. მისი მკაფიო ინდივიდუალიზმი ზოგჯერ ეპატაჟის ფორმას იღებს. დღესაც მედიაქრონიკების ეპიცენტრში ტრიალებს. სანქტ-პეტერბურგის პირველი მერის, ანატოლი სობჩაკის ქალიშვილი – ქსენია 16 წლის ასაკიდან რუსული ტაბლოიდების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია. მისი არც ერთი კომენტარი და საზოგადოებაში გამოჩენა შეუმჩნეველი არ რჩება. სკანდალური შოუებისა და სერიოზული გადაცემის წამყვანი, პროფესიონალი ჟურნალისტი, რომლის დამსახურებითაც გადაცემების რეიტინგი სულ უფრო იზრდება, ყველაფერს უშრეტი ენერგიის წყალობით ასწრებს. ქსენიას იღებენ ფილმებსა და კლიპებში, ის წერს წიგნებს და თამაშობს სპექტაკლებში, არის დაჯილდოებების ცერემონიალთა უცვლელი წამყვანი და პოლიტიკური დებატების აქტიური მონაწილე, მისი პირადი ცხოვრება კი მუდმივად გასაჯაროების საფრთხის ქვეშაა.

დღეს მოდის სამყაროში ერთ-ერთი ავტორიტეტული ჟურნალის, **L'Officiel**-ის რუსული ვერსიის მთავარი რედაქტორია (მიეკუთვნება საგამომცემლო სახლ **Artcom Media**-ს და ასევე მოიცავს ბრენდებს **SNC, Port и Numero**). ეს მისი ძირითადი სამუშაო ადგილია. უყვარს მოდა, ექსპერიმენტები. ჩაცმულობაში სხვადასხვა კომბინაციებისა და იდეების შეხამების მომხრეა.

უკვე მესამე წელია ტელეარხ „დოჟდზე“ მიჰყავს ყოველკვირეული საავტორო პროგრამა „Собчак живьем“, რომელშიც ცნობილ ადამიანებს იწვევს.

ქსენია სობჩაკი საქართველოს დედაქალაქში თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში მხოლოდ ერთი დღით ჩამოფრინდა და



Total look from More Is Love



ვიდრე მოდის სახლ Anouki-ს და Dalood-ის შთამბეჭდავი კოლექციის ჩვენებაზე ეროვნულ გალერეაში გადაინაცვლებდა, მცირე დრო ნინო ელიავას More is Love-ის შოურუმის ეკლექტიკური სტილის ტერიტორიაზე დაგვითმო. აქ, მეგობრულ ატმოსფეროში, ქსენიას ყურადღება ახალგაზრდა ქართველ დიზაინერთა სამოსმა და აქსესუარებმა მიიპყრო. „უდავოდ თვითმყოფადი ხელწერა და გემოვნება აქვთ“, – შეაფასა ნანახი სობჩაკმა.

**ის დღე თუ გახსოვთ, როდესაც თბილისში ანატოლი სობჩაკის ძეგლი გაიხსნა?**

ეს რამდენიმე წლის წინანდელი ამბავია, მაგრამ ის დღე კარგად მახსოვს. თბილისში დედასთან ერთად ჩამოვედი. ჩემთვის ეს დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მამაჩემის ძეგლი თქვენი პარლამენტის მოპირდაპირე მხარეს დგას. იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მამა იყო პირველი, ვინც მაშინდელი ტრაგიკული მოვლენების შესახებ ხმამაღლა განაცხადა. სასიამოვნოა, რომ ქართველმა ხალხმა პატივი მიაგო. ვიცი, ძეგლთან ყოველთვის მიაქვთ ცოცხალი ყვავილები. ამის გამო ქართველებს გულწრფელად ვემადლიერები.

> საქართველოში იმიტომ ჩამოვედი, რომ ახალი სახელებს გავეცნო

**ამჯერად თბილისის მოდის კვირეულზე ჩამობრძანდით. როგორ შეაფასებდით? რომელი ქართველი დიზაინერის ნახელავი მოგწონთ?**

გამოვყოფდი ჯაბა დიასამიძეს. ძალიან მომწონს ის, რასაც ჯაბა აკეთებს, ნამდვილად საინტერესოა. ვფიქრობ, მისი შემოქმედებითობა ნიჭია. საქართველოში იმიტომ ჩამოვედი, რომ ახალ სახელებს გავეცნო. ასეთ კვირეულებზე კარგად ჩანს, როგორ ვითარდება მოდის ინდუსტრია. ქართველმა დიზაინერებმა დამაინტერესეს და სიამოვნებით გესტუმრეთ.

**რუსულ მოდაზე რას იტყვით? ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებიდან ვის აღნიშნავდით?**

ძალიან მომწონს ულიანა სერგეენკო და ვიქტორია გაზინსკაია. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათთან ვმეგობრობ. ისინი მართლაც ნიჭიერი დიზაინერები არიან.

**ადამიანური თვალსაზრისით ვინ იწვევს თქვენს სიმპათიას?**

გულღია, ბუნებრივი, კარგი







იუმორის გრძნობის მქონე ადამიანი. ამ თვისებებს ვაფასებ.

**საქართველოში ბევრს მოსწონს შავი ფერი. თქვენ რომელი ფერი გიყვართ?**

შავი მეც მიყვარს, თუმცა, რასაკვირველია, მხოლოდ ამ ფერის სამოსს არ ვატარებ. ის ბაზისური ფერია, ელეგანტური, უბრალო.

**ბევრს მოგზაურობთ, რამ შეიძლება შეგიქმნათ ფსიქოლოგიური დისკომფორტი?**

სისულელემ. მისი გამოვლინების სხვადასხვა ფორმა არსებობს და სწორედ ეს შეიძლება იქცეს დისკომფორტის მთავარ მიზეზად.

**არსებობს თუ არა ცდუნება, რომლის წინაშეც უძლური ხართ?**

ნაყინი „ლაკომკა“. ძალიან მიყვარს.

**არც ისე დიდი ხნის წინ გათხოვდით. შეგცვალათ ქორწინებამ?**

ვერ გეტყვით... ამ კითხვაზე ისინი გიპასუხებენ, ვისაც ჩემთან აქვთ ურთიერთობა. საერთოდ, რადიკალურად არაფერს არ ვცვლი. ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი ევოლუციურად ვითარდება.

**რამდენიმე წლის წინ პოლიტიკურ სცენაზე გამოჩნდით. თითქოს თქვენი ცხოვრების წესიც შეიცვალა...**

მე ჟურნალისტი ვარ. ზოგჯერ ადამიანები სხვანაირად აღმიქვამენ, სინამდვილეში კი ამ ყველაფერს ჩემთან არავითარი კავშირი არა აქვს. უკვე დიდი ხანია ჟურნალისტიკით ვარ დაკავებული, მაგრამ, როგორც ჩანს, პრობლემა ის არის, რომ რაღაცა უფრო მეტად აინტერესებთ და ამახსოვრდებათ, რაღაცა – ნაკლებად.

**დაბოლოს, არ შემიძლია არ გკითხოთ: როგორია თქვენი პროგნოზი რუსეთის წინსვლასთან დაკავშირებით?**

მეჩვენება, რომ უახლოესი ათი წელიწადი რუსეთისთვის იოლი არ იქნება. ქვეყანა ხანგრძლივ ეკონომიკურ კრიზისშია ჩაძირული. სიტუაცია უფრო გართულდება. სავარაუდოდ, მძიმე შედეგებს მივიღებთ. ყველაზე მეტად ჩემს ქვეყანას სამართლიან არჩევნებს ვუსურვებ, ამ ცნების სრული მნიშვნელობით. ვგულისხმობ მედიის თავისუფლებას, თავისუფალ კონკურენციას, დებატებს. არჩევნები მარტო ბიულეტენის ყუთში ჩაგდება არ არის.

> მამა იყო პირველი, ვინც მაშინდელი ტრაგიკული მოვლენების შესახებ ხმამაღლა განაცხადა







# SOCAR SPORT



ტექსტი: ია ვეკუა

თავდაუზოგავი შრომა, მიზნისკენ სწრაფვა და სასურველი შედეგი – ეს ყველაფერი სპორტთან, სპორტსმენებთან, სპორტულ აქტივობასთან ასოცირდება. ასოცირდება მძლავრ, წარმატებულ და დინამიკურად მზარდ კომპანიებთანაც და სწორედ ამიტომ, უკვე მრავალი წელია, **SOCAR**-ის სპორტთან თანამშრომლობა სულ უფრო მასშტაბური და, რაც მთავარია, გამარჯვებების მომტანი ხდება. **SOCAR**-ის ლოგოს ქართული სპორტის რუკაზე ბევრგან შეხვდებით, უმეტესად იქ, სადაც სხვადასხვა სინჯის მედლები ბრწყინავს. მათ შორისაა ქვეყნის მთავარი სპორტული ორგანიზაცია – საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი და ინტელექტუალური სპორტის კლუბი „რა? სად? როდის?“ რომლის წარმომადგენლებიც არასდროს თმობენ ლიდერის პოზიციას.




ქართული სპორტის თანადგომა – ეს SOCAR-ის საქველმოქმედო საქმიანობის ნაწილია. ამ უკანასკნელს კი კომპანია საქართველოში დაფუძნების პირველივე დღიდან ახორციელებს, რადგან სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც მმართველობის პრინციპი, ნებისმიერი ორგანიზაციის საქმიანობისა და განვითარებისთვის აუცილებელი სეგმენტია. დღეისთვის SOCAR-მა უკვე საკმაოდ მასშტაბური საქველმოქმედო ბადე შექმნა, რომელშიც ჯანდაცვის, მეცნიერების, ხელოვნების, განათლების, სპორტისა და სხვა სფეროებია განთავსებული.

> სპორტი ყველაზე სახალხო სფეროა, ის ყველასთვისაა ხელმისაწვდომი და ის სამყაროა, რომელსაც წამიერად შეუძლია უამრავი ადამიანის გაერთიანება.

თქვენ უკვე იცით, რომ „Nargis საქართველოს“ ზაფხულის ნომერი სპორტს უკავშირდება, ამიტომ ამჯერად SOCAR-ისა და ქართული სპორტის თანამშრომლობასა და ერთობლივ წარმატებებზე მოგითხრობთ. როგორც SOCAR-ში აღნიშნავენ, დასაფინანსებელი სფეროს არჩევისას კონკრეტული კრიტერიუმი არსებობს: პროექტი სიცოცხლისუნარიანი, სახალხო და, რაც მთავარია, ქვეყნის განვითარებაში გარკვეული როლის შემსრულებელი უნდა იყოს.

სპორტი ყველაზე სახალხო



სფეროა, ის ყველასთვისაა ხელმისაწვდომი და ის სამყაროა, რომელსაც წამიერად შეუძლია უამრავი ადამიანის გაერთიანება. ეს კარგად იცის SOCAR-მა, გათვლას კი ყველაზე მნიშვნელოვან სეგმენტებზე აკეთებს: სწორედ ეს კომპანია გახლავთ საქართველოს ჭადრაკისა და ფეხბურთის ფედერაციებისა და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გენერალური სპონსორი. თუმცა, მისი საქველმოქმედო საქმიანობის ნუსხა კიდევ მრავალ პუნქტს მოიცავს: ბავშვთა სახლების კომუნალური და საქართველოს ყველა ეკლესია-მონასტრის გაზის გადასახადი, სოციალური დახმარება რეგიონულ სკოლებს, 200-ზე მეტი სტუდენტის სასტიპენდიო პროგრამა, 1500-ზე მეტი სტუდენტის სწავლის დაფინანსება როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში და სხვა. ამას ემატება აშენებული და რეაბილიტირებული სკოლის შენობები, საბავშვო ბაღები და მინისტადიონები, გზები, საავადმყოფოები, სკვერები, მუზეუმები, საგანმანათლებლო ცენტრები და ა.შ. 2007 წლიდან მოყოლებული, SOCAR-ის მიერ საქართველოში განხორციელებული საქველმოქმედო პროექტების












**მაჰირ მამედოვი** – *საქართველოში აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის წარმომადგენლობის დირექტორი*



**ლერი ხაბელოვი** – *საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი*

ღირებულება 35 მილიონ დოლარზე მეტს ითვლის.

ნავთობკომპანია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან 2010 წლიდან თანამშრომლობს და ამავე დროიდან ჩაერთო მის ინფრასტრუქტურულ პროექტებშიც. სწორედ SOCAR-ის მხარდაჭერით დააგეს მაღალი ხარისხის გაზონი საქართველოს ნაკრების „ბასას“ ტექნიკური ცენტრის მინდორზე, ასევე მიხეილ მესხისა და ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონებზე. სწორედ ამ უკანასკნელზე გაიმართება უმნიშვნელოვანესი სპორტული მოვლენა – 2015 წლის უეფას სუპერთასის მატჩი, რომელშიც მსოფლიოს ორი საუკეთესო საფეხბურთო კლუბი, „ბარსელონა” და „სევილია” დაუპირისპირდება ერთმანეთს. ამრიგად, შეიძლება

... დავუბრუნდეთ სპორტს და ამ სფეროს ნომერ პირველ სახეობა ფეხბურთს






საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრებმა პირველობა მოიპოვა და სამშობლოში გამარჯვებული დაბრუნდა

ითქვას, რომ ამ საფეხბურთო ზეიმის მასპინძელი, მთელ საქართველოსთან ერთად, SOCAR-იც იქნება.

მიმდინარე წლის აპრილში ქართულ სპორტს კიდევ ერთი საერთაშორისო წარმატება ჰქონდა: ჩინეთის ქალაქ ჩენგდუში გამართულ მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრებმა პირველობა მოიპოვა და სამშობლოში გამარჯვებული დაბრუნდა. ეს ჩვენი ნაკრების პირველი გამარჯვება გახლდათ, დაძაბულ ბრძოლაში კი ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა უძლიერეს ჩინეთის ნაკრებს სძლიეს. ის, რომ ამჟამად საქართველოს ნაკრები მსოფლიოში პირველია, SOCAR-ის დიდი გამარჯვებაცაა, რასაც კომპანიაში ყოველთვის სიამაყით აღნიშნავენ. „ვამაყობთ და მადლობას ვუხდით ქართველ მოჭადრაკეებს, რომლებმაც პროფესიონალიზმი გამოიჩინეს და ასეთ გამარჯვებას მიაღწიეს. გვიხარია, რომ ნაკრების მსოფლიო ასპარეზზე წარმატებაში ჩვენი წვლილი გვაქვს შეტანილი. საქართველო ყოველთვის იკავებდა ღირსეულ ადგილს ჭადრაკის სამყაროში, მას ჰყავდა უდიდესი მოჭადრაკეები, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები“ – გვიზიარებს თავის სიხარულს მაჰირ მამედოვი.

ჭადრაკის ფედერაციასთან SOCAR-ი 2008 წლიდან თანამშრომლობს და მუდამ მხარს უჭერს ფედერაციის მიერ წამოწყებულ




და განხორციელებულ პროექტებს. SOCAR-ი ამაყობს, რომ ამ წლების განმავლობაში ქართული ჭადრაკის აქტივში ოლიმპიადებსა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებები და მრავალი მედალი დაგროვდა.



ორ წელიწადში ერთხელ მთელი მსოფლიოს თავზე ოლიმპიური ცეცხლი ინთება. ვიდრე ცეცხლი გიზგიზებს, ოლიმპიური კომიტეტი ასმაგი დატვირთვით, დანარჩენ დროს კი დაუღალავად მუშაობს იმისთვის, რომ ამ სპორტულ დღესასწაულზე ღირსეულად წარვდგეთ. უკვე მესამე წელია, რაც კომიტეტი SOCAR-თან ერთად ვითარდება. 2013 წელს ნავთობკომპანიასა და კომიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ჩარჩოებში ფინანსდება სხვადასხვა სპორტული პროგრამები და პროექტები, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა




და ევროპული ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა, სპორტსმენებისა და მწვრთნელების სოციალური დახმარება, თავად კომიტეტის ფუნქციონირება, მათ შორის, გამომცემლობითი და საგანმანათლებლო საქმიანობა, კომიტეტის რეგიონული ორგანიზაციების პროგრამების განხორციელება, სპორტული მედიცინის ცენტრის მუშაობა და უამრავი სხვა.

მაჰირ მამედოვი: „ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი და მსხვილი სპორტული ორგანიზაციაა, რომელიც სპორტსმენებს ოცნებების განხორციელებასა და წარმატებების მიღწევაში ეხმარება. ამის გარეშე წარმოუდგენელია – დარწმუნებული ვარ, რომ მიმდინარე წელს ბაქოში დაგეგმილ პირველ ევროპულ თამაშებზე, რომლის დროსაც აზერბაიჯანი ევროპის სპორტული ცენტრი გახდება, ქართველი სპორტსმენები ღირსეულ შედეგებს მიაღწევენ და საკუთარ ქვეყანას მსგავსი ღონისძიების მასპინძლობის მოტივაციას გაუჩენენ. პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია: ბაქოს პირველი ევროპული თამაშების შემდეგ თბილისში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი გაიმართება".

„საღამო მშვიდობისა, ქალბატონებო და ბატონებო, მოგესალმებით ინტელექტკლუბიდან „რა? სად? როდის?" – მოგვმართავს ტელეეკრანიდან ბატონი წამყვანი და ყველა დროის საუკეთესო ინტელექტპაექრობაც იწყება. ოდესღაც საბჭოთა კავშირის წიაღში დაბადებული, შემდეგ კი მთელ მსოფლიოში გავრცელებული თამაში ალბათ არასდროს დაკარგავს აქტუალობას, ქართველი და აზერბაიჯანელი ინტელექტუალები კი ერთნაირი დოზით ინაწილებენ სხვადასხვა ტურნირებში მიღწეულ წარმატებებს. SOCAR-ი კლუბთან 2010 წლიდან თანამშრომლობს. „რა? სად? როდის?" ამავე ინტელექტის განვითარების, ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების გასავარჯიშებლად უნივერსალურ შესაძლებლობებს აერთიანებს. სპორტის ინტელექტუალური სახეობები ახალგაზრდა თაობისთვის ისევე აუცილებელია, როგორც ფიზიკური – პიროვნების ჩამოყალიბების საფუძველი ხომ მისი მრავალმხრივი განვითარებაა.

> ...უამრავი ინტელექტუალური თამაში არსებობს, მაგრამ „რა? სად? როდის?" ამავე ინტელექტის განვითარების, ანალიტიკური თვისებებისა და ლოგიკური აზროვნების გასავარჯიშებლად უნივერსალურ შესაძლებლობებს აერთიანებს.



Some Ideas Can Groove You

FIRST FLOOR GROUP

## FIRST FLOOR GROUP (FFG)

FFG offers management of companies' corporate magazines and different kinds of publications, design and polygraph services of all types.
FFG has official partners – Printing Houses in Austria, Turkey and Georgia.

Georgian - Austrian Publishing Holding



# 19/21 Mtskheta str., Tbilisi, 0179, Georgia, Tel: +995 32 238 19 08, Cell: +995 568 36 99 11
E-mail: info@ffg.com.ge, www.ffg.com.ge, **Join Us on Facebook:** FIRST FLOOR GROUP Media Holding



# When Sport Meets Fashion

Photo Adam Katz Sinding
Style Anano Dolaberidze

*From Left*

Short George Keburia
Jacket Adidas
Top Nike
Flip-flops Adidas
Bag Adidas

Sweatshirt George Keburia
Head Accessories Adidas
Leggings Nike
Socks Adidas
Flip-flops Adidas



Bomber Jacket Atelier Kikala
Short Adidas



Short George Keburia
Jacket Adidas
Flip-flops Adidas
Sweatshirt George Keburia
Head Accessories Adidas
Leggings Nike
Socks Adidas
Flip-flops Adidas





Top Adidas by Stella McCartney
Leggings Adidas by Stella McCartney



Bomber Jacket Diana Kvariani
Top Adidas by Stella McCartney
Leggings Adidas by Stella McCartney
Bottle Adidas



*From Left*

Head Accessories Nike
Bodysuit Nike
Shirt Nike
Socks Adidas
Football Shoes Nike
Ball Nike

Jacket Adidas
Top Nike
Short Nike
Socks Adidas
Flip-flops Adidas



Head Accessories Nike
Bodysuit Nike
Shirt Nike


Jacket Adidas
Top Nike
Short Nike
Socks Adidas


Head Accessories Nike
Bodysuit Nike
Football Shoes Nike
Shirt Nike
Socks Adidas
Ball Nike



*From Left*

Head Accessories Adidas
Dress Atelier Kikala
Bracelet Nike
Flip-flops Adidas

Shirt Adidas by Stella McCartney
Skirt George Keburia
Sneakers Adidas




Shirt Adidas by Stella McCartney
Skirt George Keburia
Shirt Adidas



Model Yara Ukraina, Mariam Gavasheli / Geomodels Agency
Hairstyle & Make-up Ekaterine Chanchibadze
Stylist Assistant Eka Shavoshvili
Head Accessories Adidas
Dress Atelier Kikala
Bracelet Nike
Flip-flops Adidas
CLUB
adidas
განსაკუთრებული მადლობა მაღაზიას "მსოფლიო ჩემპიონი"
თბილისი / რუსთაველის გამზ. 1 / ვაჟა-ფშაველას გამზ. 8

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL
TBILISI 2015

# თბილისი 2015 პირველი ქართული ოლიმპიადა

ტექსტი: ია ვეკუა



მიმდინარე წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად, სახელმწიფო საზღვარი ოლიმპიურმა ცეცხლმა გადმოკვეთა. ათენის „პანათინაიკოსის“ სტადიონზე დანთებული ცეცხლის ალმა ასობით კილომეტრი გამოიარა და ჩირაღდნად აელვარებული ბათუმში დაინთო. თუმცა, მხოლოდ დროებით – ორი თვის განმავლობაში ცეცხლი საქართველოს თითქმის ყველა ქალაქსა თუ სოფელს მოივლის, ყველა გზასა და ბილიკს გაივლის და საბოლოოდ თბილისში აგიზგიზდება, რადგან ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს წელს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი მასპინძლობს.

წინ არა მხოლოდ თანამედროვე, არამედ საქართველოს მთელ ისტორიაში ყველაზე სპორტული ზაფხული გველის: აგვისტოში თბილისი სუპერთასს მასპინძლობს, მანამდე კი – ევროპის სპორტული ახალგაზრდობის უზარმაზარ ფორუმს. ნებისმიერი მასშტაბის ოლიმპიადის მასპინძლობა ქვეყნისთვის უდიდესი პასუხისმგებლობა, პატივი და გამოცდაა. ერთი კვირის განმავლობაში ჩვენს ქალაქს 50 ქვეყნიდან ჩამოსული 3800 სტუმრის მასპინძლობა, გულშემატკივრობა და გამხნევება მოუწევს, რისთვისაც 2010 წლის 27 ნოემბრიდან ვემზადებით. სწორედ ამ დღეს ბელგრადში გამართულ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალურ ასამბლეაზე გაირკვა, რომ დელეგატთა უმეტესობამ ჩეხეთის ქალაქ ბრნოს თბილისი ამჯობინა და საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაამატა.

ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი 14-დან 18 წლამდე სპორტსმენებს უმასპინძლებს, სწორედ მათ, ვინც ძალიან მალე მთელ მსოფლიოში გაითქვამენ სახელს, ამიტომ თუ სპორტული შეჯიბრებებისთვის თვალის მიდევნებას აპირებთ, მათ მონაწილეებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ, რადგან, არ არის გამორიცხული, სპორტის მომავალი ვარსკვლავი სწორედ თბილისში გაბრწყინდეს. ოლიმპიადის მონაწილეები ცხრა სახეობაში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს: ძიუდო, ჩოგბურთი, სპორტული ტანვარჯიში, ველოსპორტი, მძლეოსნობა, ცურვა, ფრენბურთი, ხელბურთი და კალათბურთი. ცხადია, ყველა სახეობაში წარმატების მიღწევა შეუძლებელია, ძლიერი და სუსტი სპორტსმენები ყველა დისციპლინაში გვყავს, მაგრამ ეს მეორეხარისხოვანია, რადგან ახალგაზრდული ოლიმპიადის

ათენის „პანათინაიკოსის“ სტადიონზე დანთებული ცეცხლის ალმა ასობით კილომეტრი გამოიარა და ჩირაღდნად აელვარებული ბათუმში დაინთო.





შემთხვევაშიც მუშაობს პიერ დე-კუბერტენის სიტყვები: მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება!

თუმცა, როდესაც მასპინძელი ქვეყანა ხარ, მონაწილეობაზე მეტი მოგეთხოვება. პირველ რიგში, ეს სპორტული შეჯიბრებებისთვის გამართული თანამედროვე, უსაფრთხო და მოსახერხებელი არენებია. ამისთვის პარკ „მზიურში“ ჩოგბურთის 11 კორტი აშენდა, „ახალი თბილისის“ ტერიტორიაზე (დიღომი, აშშ-ის საელჩოსთან) – საცურაო აუზი და ტანვარჯიშის სასახლე, ფრენბურთის ორი დარბაზი, მძლეოსნობის სტადიონი და სხვა. უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ხელბურთის სტადიონი ააგეს, რამდენიმე არენას კი რეაბილიტაცია ჩაუტარეს.

ასევე ყველაზე მთავარი, ცხადია, ოლიმპიური სოფელია, სადაც ჩვენი მასპინძლობა საუკეთესო კუთხით უნდა წარმოჩინდეს. ის თბილისის ზღვის სანაპიროზე ჩინურმა კორპორაცია „ჰუალინგ ჯგუფმა“ ააგო და ფესტივალის ყველაზე მასშტაბური პროექტია. ოლიმპიური სოფელი მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში სპორტსმენების საცხოვრებელი არ არის – ის ქალაქის განაშენიანების გაზრდისკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯია. 50 ათას კვ. მეტრზე გაშენებული დასახლება სარეკრეაციო ზონას, სრულყოფილ ინფრასტრუქტურას, ტურისტულ და გასართობ

*ჩვენი მასპინძლობა საუკეთესო კუთხით უნდა წარმოჩინდეს.*

ცენტრებს მოიცავს, რასაც ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, კორტები და სხვა ობიექტები ემატება.

ფართო საზოგადოებისთვის საინტერესო ღონისძიებები ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის დღეებში გაიმართება (მიხეილ მესხის სახელობის სტადიონსა და ოლიმპიურ სოფელში). როგორც წესი, ოლიმპიადებს მასშტაბური, გრანდიოზული და მასპინძელი ქვეყნის კულტურის შესაფერისი სანახაობით ხსნიან და ხურავენ.

რაღაც მსგავსი მოხდება ჩვენთანაც, თუმცა ზუსტად რა გველის, ამის შესახებ მხოლოდ ცოტამ თუ იცის, მათ შორის, დევიდ ზოლკვერმა – ადამიანმა, რომელმაც თბილისის ოლიმპიადას სანახაობრივი ნაწილი შემატა, საკუთარი პროექტების ჩამონათვალს კი – მორიგი პუნქტი.

1997 წელს ჰონგ კონგის ჩინეთის მმართველობაში გადასვლის აღსანიშნავი, 2002 წლის თანამეგობრობის, 2004 წლის ათენის და 2008 წლის პეკინის ოლიმპიადების, 2009 წლის FIFA-ს კონფედერაციის თასის, 2010 წლის FIFA-ს მსოფლიო თასის გახსნის, დიდი ბრიტანეთის სამეფო ქორწილისა და სხვა უამრავი ღონისძიების რეჟისორი და შემოქმედებითი გუნდის კონსულტანტი ბოლო რამდენიმე თვეა თბილისში, ყველასთვის უცნობ ლაბორატორიაში მუშაობს და ჩვენი ქალაქისთვის ჯერარნახულ შოუს ამზადებს.

...ვიდრე გახსნის ცერემონიალში უკანასკნელი შტრიხები შეაქვთ, სპორტსმენები კი გამარჯვებისთვის ემზადებიან, ოლიმპიური ცეცხლი საქართველოს ქალაქებში განაგრძობს მოგზაურობას. ამ პროცესში 700-მდე მეჩირაღდნე იქნება ჩართული, ცეცხლს კი ქვეყნის თითქმის მთელი მოსახლეობა ნახავს – ეს ხომ ჩვენთვის პირველი ოლიმპიადაა, ხუთი ფერის რგოლი აქ პირველად შეიკვრება!





ADVERTISING COMPANY
OUtdooR.ge
www.outdoor.ge

# გოლფისთვის დაბადებული რიკ ბარილი

ინტერვიუ: ანანო ბაკურაძე





*მიყვარს ჩემი ოჯახი, ბევრს ვმოგზაურობ, ვარ გულახდილი, მიყვარს ახალი თავგადასავლები, ვაგროვებ გამოცდილებას, ვმუშაობ თავდაუზოგავად, გოლფი მიტაცებს და ამერიკელი ვარ*

**– ასე ახასიათებს საკუთარ თავს გოლფის მოედნების ერთ-ერთი საუკეთესო არქიტექტორი რიკ ბარილი, რომელიც რამდენიმე კვირის წინ საქართველოსთვის აქამდე უჩვეულო სივრცის დასაპროექტებლად ჩამოვიდა. თბილისის ერთ-ერთ ბორცვზე გოლფ-კლუბს აშენებენ, რომელიც, მწვანე მოედნის გარდა, მთელ კომპლექსს გააერთიანებს, ქალაქში კი არა მხოლოდ გასართობი, არამედ ბიზნესშეხვედრებისთვის საინტერესო ახალი გარემო გაჩნდება.**

რიკ ბარილზე საუბრისას ხშირად ამბობენ, რომ ის არის ადამიანი Born To Golf. ასეცაა – მისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი სწორედ ამ სპორტთანაა დაკავშირებული, ბავშვობიდან გამოყოლილი სიყვარული კი დიდი ხანია პროფესიად იქცა. გოლფის მოედნებს 1982 წლიდან აპროექტებს, ხოლო ნამუშევრების უმეტესობა პროფესიული ჯილდოებით არის აღნიშნული. შესაძლოა, ოდესმე ჯილდო თბილისში განხორციელებულმა პროექტმაც მიიღოს და თუ ასე მოხდება, ამის შესახებ პირველად სწორედ ჩვენგან შეიტყობთ, მანამდე კი რიკ ბარილსა მის თბილისურ ისტორიას გაგაცნობთ.

**გოლფი ერთობ თავისებური სახეობაა და ყველასთვის ერთნაირად საინტერესო არ არის. თავად თუ ხართ გოლფით გატაცებული?**

– რა თქმა უნდა, ვთამაშობ, მაგრამ ადრინდელივით ხშირად ვეღარ ვახერხებ. დედაჩემი შეპყრობილი იყო გოლფით, მამაჩემიც ჩინებულად თამაშობდა. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში სახლი შევიცვალეთ და იმ გოლფკლუბიდან, სადაც ჩემი მშობლები დადიოდნენ, 18 მილის მოშორებით გადავედით, მაგრამ მამას ყოველ შაბათ-კვირას დავყავდი იქ გოლფის სათამაშოდ. გოლფკლუბი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც მე და მამას განმარტოება შეგვეძლო და ეს შესანიშნავი იყო. დაოჯახების შემდეგ კი თითქმის ვეღარ ვთამაშობ. ეს ცუდია, რადგან ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სპორტისთვის საჭირო უნარებს კარგავ, გავიწყდება თამაშის ტექნიკა. თითქმის ათი წელია გოლფს მხოლოდ გასართობად ვთამაშობ.

**გოლფის მოედნების დაპროექტება საკმაოდ სპეციფიკური საქმიანობაა. რა არის მთავარი ამ საქმეში? რას ურჩევდით გოლფის მოედნების დამწყებ დამპროექტებლებს?**

– პირველ რიგში, კარგად უნდა იცნობდნენ ამ სპორტს, მის სპეციფიკასა და თავისებურებებს. თუ



გოლფი არასდროს გითამაშია, უამრავი დიდი თუ მცირე დეტალი გაგეპარება და ნამუშევარიც სრულყოფილი ვერ იქნება. მე გამიმართლა და გოლფთან ბავშვობიდან მქონდა შეხება, ასე რომ, ამ სამყაროს კარგად ვიცნობ. ჩემს საყვარელ საქმეს მთელი არსებით ვაკეთებ და თავს ბოლომდე ვუძღვნი. ყველას იმავეს ვურჩევდი – რასაც უნდა აკეთებდნენ, ბოლომდე დაიხარჯონ და საკუთარი თავის ინვესტიცია მთლიანად განახორციელონ. ასევე უნდა უყვარდეთ და აღტაცებული იყვნენ იმით, რასაც აკეთებენ, სიყვარული ყველა დეტალში უნდა ჩადონ.

**მათ, ვინც ვერ ერკვევა გოლფის კულტურაში, განსაკუთრებით, გოლფის მოედნების არქიტექტურაში, აუხსენით, რას მოიცავს თქვენი საქმე.**

– ამას ასე მარტივად ვერ ავხსნი, თუმცა შევეცდები: მე ვიგონებ და ვაპროექტებ გოლფის სათამაშოდ საინტერესო სივრცეს, ფაქტობრივად ახალ ლანდშაფტს ვქმნი, ვავითარებ და ახალ სახეს ვაძლევ. ეს პროცესი ძალიან მიყვარს, მაგრამ უფრო მეტად შედეგი მომწონს, როდესაც ვხედავ, რომ უკაცრიელ ადგილას ველურ ბუნებაში შეჭრის შედეგად აქაურობა სრულიად გადავასხვაფერე და გოლფის მოყვარულებს საუკეთესო გარემო შევუქმენი.

მთელი საქართველოს კლიმატი გოლფის სათამაშოდ იდეალურია.

**გაიხსენეთ თქვენი პირველი პროექტი.**

– პირველი პროექტი უნივერსიტეტის მეგობართან ერთად განვახორციელე და ის ნამდვილად ყველაზე რთული სამუშაო იყო. კვირაში 7 დღისა და 24 საათის განმავლობაში ვმუშაობდით. მაშინ დაოჯახებული არ ვიყავი და ამის დრო მქონდა. ეს იყო დაუჯერებელი, საოცარი გამოცდილების მომცემი სამუშაო. ორივეს გვეგონა, რომ მსოფლიოს გავაკვირვებდით, საოცარი ენთუზიაზმი გვქონდა. მას მერე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაახლოებით 45 პროექტზე ვიმუშავე.



**მოგვიყევით იმ პროექტის შესახებ, რომლის განხორციელებასაც საქართველოში გეგმავთ.**

– სიახლე ყოველთვის ამაღელვებელია, ამიტომ პოტენციურად ძლიერი პროექტი შევარჩიე, რომელიც აქაურ ლანდშაფტს საუკეთესოდ შეეფერება. ეს არის ულამაზესი შემაღლებული ადგილი, რომელიც თბილისს გადმოჰყურებს და ულამაზესი ხედი იშლება. ეს გოლფის მოთამაშეებისთვის დამატებითი ბონუსი იქნება, რადგან მათ უყვართ მშვიდ და მომხიბლავ გარემოში თამაში.

**თბილისი, მისი ლანდშაფტი და კლიმატი რამდენად შესაფერისი აღმოჩნდა გოლფისთვის?**

– მთელი საქართველოს კლიმატი გოლფის სათამაშოდ იდეალურია. რა თქმა უნდა, ყოველთვის არსებობს გამოწვევები, გადასალახავი ბარიერები, მაგრამ მთავარია იცოდე სად ეძებო პრობლემა, რათა მისი მოგვარება შეძლო.

**როგორ ფიქრობთ, ეს გოლფის მოედანი შეუწყობს ხელს ამ სპორტის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში?**

– აუცილებლად. გარდა იმისა, რომ აქ ივლიან გოლფის მოყვარულები, ამ სპორტს ახალბედებიც გაეცნობიან, იმუშავებს გოლფის სკოლა ბავშვებისთვის, სადაც 7 წლის ასაკიდან ივლიან და სამომავლოდ კარგ სპორტსმენებად ჩამოყალიბდებიან. ეს ხანგრძლივი პროექტია და, დროთა განმავლობაში, გოლფის კულტურა თქვენს ქვეყანაშიც განვითარდება. გარდა წმინდა სპორტული დატვირთვისა, ამ მოედანს ბიზნესშეხვედრების ფუნქციაც ექნება, რაც მთელ მსოფლიოში აპრობირებული წესია.

**რა გეგემები გაქვთ მას შემდეგ, რაც თბილისის გოლფკლუბის დაპროექტებას დაასარულებთ?**

– ამ ეტაპზე მთლიანად საქართველოთი ვარ დაკავებული, მაგრამ პარალელურად სხვა ქვეყნებში მდებარე გოლფის მოედნების განახლების პროცესსაც ვხელმძღვანელობ. ბოლო წლებში გოლფი ძალიან განვითარდა, ამიტომ ძველი მოედნები განახლებას საჭიროებს. ვფიქრობ, წლების შემდეგ კვლავ დავბრუნდები თბილისის გოლფის მოედნის გასაახლებლად და ახალი პროექტების განსახორციელებლად, რადგან, დარწმუნებული ვარ, გოლფის კულტურა საქართველოშიც განვითარდება.



... ახალ ლანდშაფტს ვქმნი, ვავითარებ და ახალ სახეს ვაძლევ




Jo Malone London-ის ბუტიკი Sloane Street-ზე

# სტუმრად კარგია...

Jo Malone London-ის სახლს ყოველთვის გამოარჩევდა ბრენდის ფილოსოფიაში მტკიცედ ჩადებული გულთბილი სტუმართმოყვარეობა. მე კიდევ ერთხელ მომიხდა დავრწმუნებულიყავი ამაში, როდესაც ვიმყოფებოდი „მარკის სახლში“ – ასე ეძახიან თანამშრომლები სათავო ოფისს ლონდონში. სწორედ აქ, ნუშისრძიან ფინჯან ჩაიზე, ვესაუბრები დები უაილდს, Jo Malone London-ის სტილის დირექტორს, ბრენდის ფენომენალურ წარმატებაზე, იმაზე, თუ როგორ უნდა ავარჩიოთ არომატი და მისი საშუალებით როგორ შევქმნათ სიმყუდროვე სახლში.

ᲚᲔᲘᲚᲐ ᲘᲛᲐᲜᲝᲕᲐᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ
JO MALONE LONDON-ᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲐᲠᲥᲘᲕᲘ



დები უაილდი, Jo Malone London-ის სტილის დირექტორი

**რა უსწრებდა წინ თქვენი ბრენდის აღმავლობას პარფიუმერიულ ოლიმპზე?**

დავიწყეთ 1994 წელს ძალიან პატარა ფირმით, რომელსაც ინგლისში ჰქონდა სულ სამი მაღაზია. აზერბაიჯანი გახდა 44-ე ქვეყანა, სადაც ჩვენ ვმუშაობთ. ჩვენი ყოველი არომატის უკან დგას მისი შექმნის ისტორია, დგას შთაგონება. არომატების შერწყმა და შერევა ჩვენი ნოუ-ჰაუს ნაწილია, ჩვენი ბუტიკები კი შეიძლება შეადარო გარდეროზს, რომელშიც შეგიძლია ამოარჩიო არომატი და სტილი, ან შექმნა შენი, საკუთარი.

**დები, შეგიძლიათ დაახასიათოთ ადამიანი მისი პარფიუმერიის მიხედვით?**

როდესაც ასე დიდხანს მუშაობ არომატზე, გამომუშავდება რაღაც ინტუიცია ამ მიმართულებით. მაგრამ, ამავე დროს, არომატი – ეს რაღაც ძალიან პირადულია. შეიძლება ისე შეგიყვარდეს ღრმა, პიკანტური მამაკაცის სურნელება, რომ ის ყოველთვის დაგაბრუნებს მოგონებებში. მაგრამ ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია არომატის მოსინჯვა და რეაქციის დანახვა, რომელსაც ის იწვევს. მინდა, რომ რეაქცია ყოველთვის იყოს ამაღელვებელი.

**არომატების შერწყმის თქვენეული კონცეფცია უნიკალურია? როგორ მოახერხეთ ეს?**

ეს იდეა ჩვენია ფირმის დაფუძნების დღიდან და ამის შემდეგ, წლების მანძილზე, ის გახდა ჩვენი მთავარი მონაპოვარი. ეს არის ბრენდის ერთგვარი დნმ, რომელიც გამოგვარჩევს პარფიუმერიის სხვა სახლებისგან.

**რა უნდა გავითვალისწინოთ არომატის არჩევისას და როგორ უნდა გავიგოთ, რამდენად გვიხდება ის?**

ჩვენს მაღაზიაში შესვლისთანავე, შეგიძლიათ მიმართოთ კონსულტანტს. პირველი, რასაც ის გკითხავთ, როგორია თქვენი ცხოვრების სტილი, მერე კი გაგაცნობთ არომატების ოჯახს, შემოგთავაზებთ შერწყმის სხვადასხვა ვარიანტს და, რაც მთავარია – აუცილებლად მიგაქცევინებთ ყურადღებას თქვენს რეაქციაზე. ასე ის გაიგებს, არომატების რომელ ტიპებს ანიჭებთ უპირატესობას, მერე კი შემოგთავაზებთ რაღაც განსაკუთრებულს, რაც უთუოდ გესიამოვნებათ.

**თქვენ ხმარობთ ბევრ სხვადასხვა ინგრედიენტს, მაგრამ მომხმარებელს უფლებას აძლევთ და ურჩევთ კიდეც, შეურიონ ისინი. თუ არის ისეთი ინგრედიენტები, რომლებიც არ შეესაბამება ერთმანეთს?**

მთავარი წესი – არავითარი წესი! შეგიძლიათ ითამაშოთ, გაერთოთ და შეურიოთ, შექმნათ 400-ზე მეტი სხვადასხვა კომბინაცია. იყავით თქვენ თვითონ პარფიუმერები! როცა გამოვიმუშავებთ არომატებს, ჩვენს პარფიუმერებს ვარწმუნებთ, გააკეთონ ისინი ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი შერწყმა ჰარმონიულად. მათგან ზოგიერთი ნამდვილად შედგენილია ისეთი კომპო-




შამპუნი და კონდიციონერი თმისთვის Lime Basil&Mandarin

Jo Malone London-ის ბუტიკი Sloane Street-ზე








Jo Malone London-ის “სახლი” ლონდონში



« მთავარი წესი - არავითარი წესი! შეგიძლიათ შექმნათ 400- ზე მეტი სხვადასხვა კომბინაცია. იყავით თქვენ თვითონ პარფიუმერები! »



Jo Malone London-ის "სახლი" ლონდონში

> ჩვენ ვეძახით ჩვენს პროდუქციას ოდეკოლონებს, რათა მათი გამოყენება ერთნაირად მსუბუქად და თავისუფლად შეძლონ მამაკაცებმაც და ქალებმაც!»





Массаж рук от Jo Malone London



ნენტებისგან, რომელიც მთლიანობაში „არ ჟღერს", მაგრამ ვიღაცას მოსწონს. თან აქ მნიშვნელოვანია არა იმდენად არომატი, რამდენადაც თქვენი კანი; როცა პარფიუმს დაიდებთ კანზე, ის უერთდება, ერწყმის თქვენს სურნელებას და თვითონ იცვლება. შეუძლებელია მოძებნო ორი ადამიანიც კი, რომ ერთი და იგივე არომატი ერთნაირად იგრძნობოდეს.

**რატომ ეძახით თქვენს პროდუქციას ოდეკოლონებს?**

იმიტომ რომ მათი გამოყენება ერთნაირად მსუბუქად და თავისუფლად შეძლონ მამაკაცებმაც და ქალებმაც.

**როგორ იქმნება არომატი?**

არომატში გამოვყოფთ ზედა, საშუალო და მთავარ ნოტებს. ზედა ნოტი – ეს არის პირველი შთაბეჭდილება, ყველაზე ხშირად რაღაც მსუბუქი – ციტრუსი. არომატის „გული"– რაც მას აძლევს ინდივიდუალურობას, მისი სახეა. აქ ხშირად იყენებენ სხვადასხვა ნოტებს: თეთრი ყვავილები, ჟასმინი, შროშანი. ხოლო მთავარი ანუ საბაზისო ნოტი – ეს არის ის, რაც რჩება აღქმაში. ის ხშირად მძიმეა, თითქოს ტყის სუნი აქვს. ნოტები, მათი თანხმობა – აი, რა ქმნის არომატს.

**ყველაზე კარგად როგორ უნდა დაისხა პარფიუმი?**

პრინციპში, შეგიძლიათ იპკუროთ სუნამო თქვენ წინ ან თავის გარშემო. მაგრამ უმჯობესია, ჯერ გამოიყენოთ კანის კრემი, მერე კი – პარფიუმი. აუცილებლია გაითვალისწინოთ, რომ ზამთარში სუნი სწრაფად „ქკნება". ასევე ხდება, თუ მშრალი კანი გაქვთ. უკეთესი იქნება, თუ კანს დაანოტივებთ. შეგიძლიათ პარფიუმი იპკუროთ მაჯებზე, ყელზე და ყურებზე – ასე დიდხანს გაიჩერებთ სუნს.

**თქვენს პროდუქციას აქვს რაღაც შარმი, წმინდა ინგლისური სახლის სიმყუდროვის შეგრძნება. როგორ შეიძლება შექმნა ასეთი მყუდრო ატმოსფერო შენს სახლში?**

ჩვენთვის სიმყუდროვე იქმნება განათებით. ამიტომ სანთლები სახლში არის სუსტი განათების და ასევე სუნის წყაროც, რომელსაც ჩვენ თვითონ ვქმნით. ინტერიერის დიზაინერები, ვისთანაც ვთანამშრომლობთ, ამბობენ, რომ აუცილებელია გქონდეს სინათლის ხუთი წყარო სხვადასხვა კომბინაციაში. როდესაც ჩვენ, ინგლისელები, დღის ბოლოს ვაწყობთ ჩაის სმის ცერემონიას, მაშინ ვანთებთ სანთლებს Sweet Alomond&Macaroon. ხოლო თუ გარეთ ცივი, სუსხიანი ზამთარია, შემიძლია გირჩიოთ Vanilla&Anise სანთლები, ანდა Pomegrante Noir, რომ შექმნათ უფრო თბილი ატმოსფერო. აირჩიეთ არომატი თქვენი ხასიათის გათვალისწინებით. ჩვენი კლიენტების უმეტესობა ამაზე არ დაფიქრებულა. ამიტომ ძალიან გვსიამოვნებს გავხსნათ მათთვის რაღაც ახალი. პირველ რიგში, ვთხოვთ აღწერონ თავიანთი საცხოვრებელი. თუ მასში ბევრი ხე და რკინაა, ვთავაზობთ რაღაც ფერადს, მაგალითად, English Pear&Fressia aromats. ახლა დიდ ქალაქებში ადამიანები ძირითადად ცხოვრობენ ბინებში, პატარა სივრცეში, ასე რომ, არომატი ოთახში უფრო მნიშვნელოვანი ხდება. მაგალითად, თუ არ არის ბუხარი, თქვენ შეგიძლიათ ის „შექმნათ" Incense &Embers არომატის დახმარებით; მას აქვს ცხელი ხის გემო.

**დები, როგორ მუშაობს Jo Malone London თქვენთან, სახლში?**

მე მაქვს ძველი მუხის კარი, რომელიც კარგად იწოვს და დიდხანს ინარჩუნებს არომატს. შობაზე მას ვასხურებ ცაცხვისა და ევკალიპტის Pine&Eucalyptus არომატს. და როდესაც ვიღაც შემოდის, ის მაშინვე გრძნობს ამ საშობაო სურნელს.

არომატიზებული სანთელი
English Pear&Fressia



# საზაფხულო მენიუ

## Total Charm - ისგან

### მეზოკოქტეილები, $CO_2$ და სხეულის რეაქცია



**ზაფხულის დადგომამ საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვა კიდევ უფრო აქტუალური გახადა. ქალბატონები (და ბატონებიც) ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ ზღვის სეზონს საუკეთესო ფორმაში შეხვდნენ. ვარჯიშთან და დიეტებთან ერთად სახისა და სხეულის მოვლაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი კოსმეტოლოგიას ეკისრება. თანამედროვე ესთეტიკური მედიცინა არაერთ სასიამოვნო სიახლეს გვთავაზობს, რომლის საშუალებით სრულიად მარტივად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე შეძლებთ სასურველი მიზნის მიღწევას. ამ მხრივ „ტოტალ შარმი" გამორჩეულია. კლინიკაში დანერგილი პროცედურები, რომელთაც მაღალკვალიფიციური პერსონალი ატარებს, მაქსიმალურ შედეგს უზრუნველყოფს. დღეს მოგითხრობთ რამდენიმე მათგანზე, რაც სწორი არჩევანის გაკეთებაში დაგეხმარებათ.**

ტექსტი: ნანა კობაიძე ფოტო: თინათინ კილურაძე

## PEU, RAREMENT AU BON ENDROIT

განვითარების გარკვეულ ეტაპზე კოსმეტოლოგია კონკრეტულ პრობლემას შეეჯახა: აღმოჩნდა, რომ კრემებსა და ნიღბებში შემავალი სასარგებლო ნივთიერებები მხოლოდ კანის ზედაპირზე მოქმედებდნენ. ამ პრობლემის გადაჭრა მეზოთერაპიამ იტვირთა. მეთოდი, რომელიც ორგანიზმში ინიექციის გზით ვიტამინებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შეყვანას ეფუძნება, კოსმეტოლოგიაში მედიცინიდან შემოვიდა, სადაც დიდი ხანია წარმატებით გამოიყენება. მის დამფუძნებლად ითვლება ფრანგი ექიმი მიშელ პისტორი (1958 წ). სწორედ მას ეკუთვნის განსაზღვრება, რომელიც შემდგომში მეზოთერაპიის დევიზად იქცა: „Peu, rarement au bon endroit", რაც თარგმანში ასე ჟღერს: „ცოტა, იშვიათად და სწორ ადგილზე". „ცოტა" – ნიშნავს, რომ ეს ნივთიერებები მცირე დოზით შედის კანში, „იშვიათად" – პროცედურები რამდენიმე დღეში (7-10) ერთხელ ტარდება, „სწორი ადგილი" კი სხეულის კონკრეტულ მონაკვეთს გულისხმობს, რომელსაც დახმარება სჭირდება. სწორედ ამ ადგილზე ან მასთან მაქსიმალურად ახლოს კეთდება ინიექცია.

## მეზოკოქტეილის მენიუ

კულინარიული სახელწოდების მიუხედავად, მეზოკოქტეილებს ამ სფეროსთან საერთო არაფერი აქვს. ის ვიტამინების, მინერალური მარილებისა და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა მიქსია, რაც კანს კვებავს და სხვადასხვა პრობლემასთან გამკლავებაში ეხმარება. კოქტეილების შემადგენლობას კონკრეტული პრობლემიდან გამომდინარე არჩევენ. მათთვის, ვისაც დიდი რაოდენობით წვრილი ნაოჭი აქვს, ჰიალურონის მჟავის შემცველი ნაერთი მზადდება, პიგმენტაციადარღვეული პაციენტებისთვის, რომლებიც ყავისფერ ლაქებს უჩივიან – ე.წ. მათეთრებელი კოქტეილი; კანის დაჭიმვისა და ლიფტინგისთვის დიმეთილეთანოლის შემცველ ნაზავს იყენებენ, პროფილაქტიკის მიზნით – ანტიოქსიდანტურს და ა.შ. ყველა მათგანის ფუნქცია კანის კვება, სიბერესთან ბრძოლა და ახალგაზრდობის გახანგრძლივებაა.

## მითები და რეალობა

უკვე წლებია, რაც ესთეტიკურ მედიცინაში აქტიურად მიმართავენ მეზოთერაპიას. მისი მოქმედების პრინციპი ელასტინისა და კოლაგენის სინთეზის გაძლიერებას, კერატინოციდების გააქტიურებას და კანის კარკასის „გამაგრებას" ეფუძნება, რაც უჯრედის სტრუქტურის აღდგენას და გაჯანსაღებას იწვევს. მეზოთერაპიის კურსი 4-6 პროცედურას მოიცავს, რომელიც ყოველ 10-12 დღეში მეორდება. ეფექტის შესანარჩუნებლად კარგია, თუ პაციენტი ამ პროცედურას რეგულარულად ჩაიტარებს (წელიწადში ერთხელ მაინც), თუმცა შედეგი ნებისმიერ შემთხვევაში საწყის სურათზე უკეთესი იქნება.



არსებობს მოსაზრება, რომ კოქტეილებით კვება კანის „გაზარმაცებას" იწვევს და ის თავად აღარ გამოიმუშავებს საჭირო ნივთიერებებს, მაგრამ სპეციალისტები ამ მითს ადვილად ამსხვრევენ:

**ნინო ნიშნიანიძე, ექიმი-დერმატოკოსმეტოლოგი:** *„30 წლის შემდეგ კანი ისედაც ზარმაცდება, მცირდება ჰორმონული აქტივობა, ვეღარ გამოყოფს შესაბამის ნივთიერებებს, რაც მის დაბერებას იწვევს. ეს განსაკუთრებით საგრძნობია სახეზე. მეზოთერაპია ეხმარება კანს სიბერესთან ბრძოლაში. წელიწადში ერთხელ ჩატარებული კურსიც კი უჯრედებს ძველი სტრუქტურის აღდგენაში ეხმარება, ასე რომ, მოსაზრება კანის გაზარმაცების შესახებ მითია. მეზოკოქტეილები არ შეიცავს ჰორმონებს, არ იწვევს შეჩვევას, ფაქტობრივად, ვიტამინების კომპლექსია. განსაკუთრებით აქტუალურია ეს პროცედურა ზაფხულში, როდესაც მზის სხივების მავნე ზემოქმედება აქტიურდება".*



## დაკარგული ჰიალურონის ძიებაში

ჰიალურონის მჟავა ძალიან საჭირო კომპონენტია, რომელიც მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა მეზოკოქტეილში შედის. ეს არის ნივთიერება, რომელიც ყველაზე კარგად ატენიანებს კანს. ჰიალურონის თითო მოლეკულას ათასობით წყლის მოლეკულის მიზიდვა შეუძლია. ასაკის მატებასთან ერთად, მისი რაოდენობა ორგანიზმში იკლებს, რაც კანის სიმშრალეს განაპირობებს. მისი გამომუშავება ბუნებრივი გზით არ ხდება. ერთადერთი საშუალება ხელოვნური გზით შეყვანაა. იყო მცდელობა, ჰიალურონის მჟავა კოსმეტიკურ საცხებში ჩაერთოთ, მაგრამ მისი მოლეკულა იმდენად დიდია, რომ კანის ზედაპირით არ შეიწოვება. მეზოთერაპია იდეალური ვარიანტია, რადგან ინიექციის საშუალებით ეს ნივთიერება კანის ღრმა შრეებში აღწევს.

ჰიალურონს თითქმის ყველა მეზოკოქტეილი შეიცავს, ოღონდ დაბალი პროცენტით. რაც უფრო მეტია ამ ნივთიერების პროცენტული შემცველობა, მით მეტად ტენიანდება კანი. მაღალპროცენტიანი (10, 12, 15%) ჰიალურონი გამოიყენება მეზოთერაპიის ერთ-ერთ სახეობაში – ბიორევიტალიზაციაში, რომელსაც ძირითადად 40 წლის შემდეგ მიმართავენ. ამ ასაკიდან მისი წარმოქმნა ორგანიზმში მნიშვნელოვნად იკლებს. 35 წლამდე კანი საჭირო რაოდენობას თავად გამოიმუშავებს, ამიტომაც შედის მცირე დოზით ახალგაზრდა ქალბატონებისთვის განკუთვნილ მეზოკოქტეილებში.

## მითი №2 - ხელოვნურობის შიში

კიდევ ერთი მითი ჰიალურონის წარმოშობას უკავშირდება. გაახალგაზრდავების მსურველთა ნაწილი ამ ნივთიერების გამოყენებისგან იმ მიზეზით იკავებს თავს, რომ არ იცის, რა ზემოქმედებას მოახდენს ორგანიზმზე ხელოვნურად მიღებული პრეპარატი.

**ნინო ნიშნიანიძე, ექიმი-დერმატოკოსმეტოლოგი**: *„თანამედროვე ესთეტიკური მედიცინა მართლაც მიმართავს ხელოვნურ ჰიალურონს, მაგრამ ეს სრულიად უსაფრთხო, არასინთეზური გზით მიღებული პრეპარატებია, რომლებიც უმაღლეს დონეზე სუფთავდება და იწმინდება ყოველგვარი ალერგენისგან. მას არა აქვს არავითარი გვერდითი მოვლენა, მათ შორის ალერგიული რეაქცია და არც ორგანიზმისთვის წარმოადგენს საფრთხეს. „ტოტალ შარმი" მაქსიმალურად ზრუნავს თავის პაციენტებზე, ამიტომაც ვიყენებთ მსოფლიოს საუკეთესო მწარმოებელთა პროდუქციას, მათ შორის, ამერიკულ, ფრანგულ, ავსტრიულ, იტალიურ, შვეიცარიულ პრეპარატებს. მათი ხარისხი გარანტირებულია და არავითარ ეჭვს არ იწვევს. სტერილურ შეფუთვას ექიმი პაციენტის თვალწინ ხსნის და სტერილური შპრიცითვე უკეთებს. პრეპარატები, რომლებიც მართლაც საშიშია და რომელთაც რეალურად შეიძლება ავნონ ადამიანის ჯანმრთელობას, სინთეზური გზით მიიღება. ძირითადად ეს ჩინური წარმოების იაფფასიანი პროდუქციაა, რომელიც ერთ დიდ ჭურჭელშია მოთავსებული, რამდენიმე პაციენტს უკეთდება და, ცხადია, სტერილურობაზე ლაპარაკიც ზედმეტია".*





## სიახლე ბიორევიტალიზაციაში

„ტოტალ შარმში" სიახლეა – ბიორევიტალიზაციის პროცედურას დაემატა ორი ახალი პრეპარატი – Mezo-Xanthin და Mezo-Wharton. ახალი თაობის ბიოპრეპარატები ამერიკელმა მეცნიერებმა შექმნეს. ჰიალურონის მჟავას გარდა, ისინი შეიცავს ამინომჟავებს, რომლებიც ორგანიზმში ღეროვანი უჯრედების გააქტიურებას იწვევს, რაც, თავის მხრივ, სასიცოცხლო პროცესებს აუმჯობესებს. მათი გამოყენება რეკომენდებულია 40 წლის შემდეგ, რადგან ამ ასაკში ნივთიერებათა ცვლა ფერხდება, ზემოხსენებული პრეპარატები კი ორგანიზმს „მეორე სუნთქვას" უხსნის. ბიორევიტალიზაციის ჩვეულებრივ პროცედურასთან შედარებით, მისი ეფექტი 2-3-ჯერ მაღალია. შედეგად, სწორდება ნაოჭები (მათ შორის, ღრმა), უფერულდება პიგმენტური ლაქები, კანი გაცილებით მკვრივი და დატენიანებული, სახის კონტური კი მკვეთრი ხდება. კურსი მოიცავს 3-4 პროცედურას, რომლებიც ერთთვიანი შუალედით ტარდება. ამ პროცესის, როგორც ზოგადად, ნებისმიერი სახის მეზოპროცედურის დროს, ტკივილი მინიმუმამდეა დაყვანილი. დასამუშავებელ მიდამოს სპეციალური გელით აყუჩებენ, 10-15 წუთში კი ინიექცია კეთდება. პროცედურის შემდეგ პაციენტს აქვს პაპულები – პატარა წითელი წერტილები, რომელიც მეორე დღეს თითქმის აღარ ჩანს. შედეგი ძალიან სწრაფად დგება, თუმცა მის შესანარჩუნებლად აუცილებელია კურსის სრულად გავლა – შექმნილ კარკასზე უნდა მოხდეს ახალი უჯრედების სინთეზი, რისთვისაც, სულ ცოტა, სამი ვიზიტია საჭირო.

## REACTION - სხეულის რეაქცია

ზაფხულში, საზღვაო სეზონის დაწყებამდე, არანაკლებ აქტუალურია ტანის პროცედურები. „ტოტალ შარმი" თავის პაციენტებს საუკეთესო არჩევანს სთავაზობს, მათ შორის, სხეულის მოვლასა და კორექტირებას Viora-ს (ისრაელი) ფირმის Reaction აპარატით. Viora მსოფლიოს სამედიცინო ესთეტიკურ სისტემებს შორის ერთ-ერთ წამყვან ბრენდად ითვლება, სწორედ ამიტომ შეაჩერეს „ტოტალ შარმში" მასზე ყურადღება.

Reaction-ს, რომელსაც უოპერაციო ლიპოსაქციის აპარატსაც უწოდებენ, სახისა და ტანის კორექციისთვის ცალ-ცალკე პროგრამა აქვს. სახის არეზე RF ტალღები გამოიყენება, რომელთა ზემოქმედება კოლაგენისა და ელასტინის სინთეზს ააქტიურებს. შედეგად კანი მკვრივდება და ვიზუალურად უფრო დახვეწილი ხდება. ეფექტურია ყელისა და დეკოლტეს მიდამოებისთვის, რომელთა მოვლა ჩვენთან რატომღაც ფუფუნებად ითვლება. არადა, ხელის მტევნებთან ერთად, ქალის ასაკს ყველაზე მეტად ეს ზონა გასცემს.



ტანზე და ფეხებზე აპარატი მექანიკურად რთავს RF-ლიფტინგისა და ვაკუუმის კომბინაციას, რაც პროცედურის ეფექტს კიდევ უფრო საგრძნობს ხდის.

**დალი ხორავა, ექიმი-კოსმეტოლოგი**: *„ეს აპარატი ძალიან კარგად ახდენს სხეულის სხვადასხვა ზონის კორექციას. არაჩვეულებრივია „ჩამოკიდებული" მკლავების ტონუსში მოსაყვანად, მოდუნებული კანის გასამკვრივებლად. ეს პრობლემა, დიეტით გატაცების ფონზე, ახალგაზრდებშიც შეინიშნება. ამ შემთხვევაში აპარატი ოთხ შრეზე მუშაობს – ვიწყებთ სხეულის ყველაზე ღრმა შრის გახურებით და ნელ-ნელა ამოვდივართ ზედაპირზე. შედეგი პირველივე ჯერზე აშკარაა, თუმცა მხოლოდ რამდენიმე დღეს გრძელდება. მაქსიმალური ეფექტისთვის საჭიროა სრული კურსის ჩატარება, რომელიც სახეზე 6, ტანზე კი 10-12 პროცედურას მოიცავს. ის არ მოითხოვს სპეციალურ მომზადებას, არა აქვს გვერდითი მოვლენები. ერთადერთი უკუჩვენება ვარიკოზისკენ მიდრეკილება. ამ შემთხვევაში პაციენტს არანაკლებ ეფექტურ ალტერნატივას ვთავაზობთ".*

## ალტერნატივა „სასწაულმოქმედი აირით"

კარბოქსითერაპიის სახელით ცნობილ პროცედურას მედიცინაში 60 წელია მიმართავენ, ესთეტიკური დანიშნულებით კი ბოლო 15 წელია იყენებენ. მისი მოქმედების პრინციპი ე.წ. „სასწაულმოქმედი აირის" – ნახშირბადის

დიოქსიდის ($CO_2$) კანქვეშ შეყვანას ეფუძნება, რომელსაც ამ მიზნისთვის სპეციალურად ამუშავებენ. როგორ მოქმედებს ორგანიზმზე ეს პროცედურა?

**დალი ხორავა, ექიმი-კოსმეტოლოგი**: *„$CO_2$ ორგანიზმში საგანგებო ვითარების იმიტაციას ახდენს. თავის ტვინს გადაეცემა SOS-სიგნალი, რომ სხეულის კონკრეტულ უბანს ჟანგბადი და საკვები ნივთიერებები არ მიეწოდება, რის შემდეგაც იწყება ადამიანის შინაგანი რესურსის მობილიზება ამ მიმართულებით. თავად აირი ორგანიზმიდან 24 საათის განმავლობაში მთლიანად გამოდის, სამაგიეროდ, ტოვებს გააქტიურებულ სასიცოცხლო პროცესებს, რაც პაციენტის გარეგნობაზე დადებითად აისახება".*

კარბოქსითერაპია არაერთი მიმართულებითაა საინტერესო – პირველ რიგში, არაჩვეულებრივად ებრძვის ცელულიტს, მათ შორის, შორს წასულ ფორმებს; იდეალურია სტრიებისთვის, რომელთაც, კანის გამკვრივების ხარჯზე, ფაქტობრივად, უხილავს ხდის; თამამად იყენებენ ვარიკოზისკენ მიდრეკილ პაციენტებთან, რადგან ამ დროს პროფილაქტიკის როლსაც ასრულებს; ძალიან კარგია ეს პროცედურები სახისთვისაც – ასწორებს ნაოჭებს, არაჩვეულებრივად ებრძვის „მეორე ღაბაბს". განსაკუთრებით ეფექტურია ჩაშავებული უპეების გასაღიავებლად, რაც დღეს უამრავი ადამიანის პრობლემაა. მისწრებაა პაციენტებისთვის, ვისაც ქუთუთოების თიაქარი აწუხებს – ბლეფაროპლასტიკას ვერ ცვლის, მაგრამ ოპერაციულ ჩარევას მაქსიმალურად გადაავადებს. ერთი სიტყვით, მრავალმხრივი მოქმედებით ხასიათდება. რაც მთავარია, ყოველგვარი გვერდითი მოვლენისა და უკუჩვენების გარეშე. ერთადერთი დისკომფორტი მცირე ზომის ლოკალური სილურჯეებია, რომელიც შესაძლოა ამისკენ მიდრეკილ პაციენტებს სხეულის კონკრეტულ ადგილზე განუვითარდეთ. რამდენიმე დღეში ისინი უკვალოდ ქრება. პროცედურის შემდეგ პაციენტი ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს ცხოვრებას.

**დალი ხორავა, ექიმი-კოსმეტოლოგი**: *„ჩემი პაციენტების უმეტესობა კმაყოფილი პაციენტის რჩევით არის მოსული, რაც ექიმისთვის საუკეთესო რეკლამაა. მათ ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივით. უბრალოდ, გვინდა, რომ ამ არაჩვეულებრივი პროცედურების შესახებ მეტმა ადამიანმა იცოდეს, რადგან ის პრობლემები, რომელსაც „ტოტალ შარმში" ადვილად ვაგვარებთ, შესაძლოა ბევრისთვის ფსიქოლოგიური დისკომფორტისა და სტრესის საბაბი, ზოგიერთ შემთხვევაში კი პიროვნული ტრაგედიის მიზეზიც გახდეს".*

ასე რომ, ქალბატონებო და ბატონებო, ნუ შეუშინდებით გარეგნობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მათზე ზრუნვა „ტოტალ შარმს" მიანდეთ. აქ თქვენ წრფელი გულით დაგეხმარებიან.


Total Charm

პლასტიკური,ესთეტიკური ქირურგიისა და კოსმეტოლოგიის კლინიკა

თბილისი, ვ.ორბელიანის ქ.18
ტელ: +995 322 18 18 14 / +995 322 92 30 71
facebook: Total Charm Tbilisi

ბათუმი, ვ.გორგასლის ქ.15
ტელ: +995 422 29 29 19 / +995 422 22 88 22
facebook: Total Charm Batumi








# Natural Beauty




2




1

ამ სეზონზე სადა და ნატურალური მაკიაჟი საკმაოდ ტენდენციურია.



3



Gucci Spring 2015 Backstage

# Purple Haze

თვალზე აქცენტი ყოველთვის აქტუალურია, თუმცა ამ სეზონზე დიზაინერები იასამნისფერ ტონალობაზე აკეთებენ აქცენტს.



Aquilano Rimondi Spring 2015 Backstage



Moschino Spring 2015 Backstage



Matthew Williamson Spring 2015 Backstage



5



6



7

# PinkLips

თუ გსურთ გამოიყურებოდეთ ლამაზად და მოდურად, აუცილებლად გამოიყენეთ ვარდისფერი ტუჩსაცხი



4

1. Bobby Brown 2.Clarins 3. MAC 4. NARS
5. Givenchy 6. Yves Saint Laurent
7. Christian Dior

# SUMMER, SEA, SUN and MAKE-UP



ტექსტი: თამარა ჯანელი




Fresh

Make-up Forever

როდესაც მიდიხართ ზღვის სანაპიროზე, ან თუნდაც საცურაო აუზზე გასარუჯად, მთლიანი სახის მაკიაჟი ნამდვილად არ არის სასურველი, მაგრამ საჭიროა გქონდეთ სწორი პროდუქცია და სახეს მისცეთ ნატურალური იერი, და არა ისეთი, რომ „ძალიან ეცადეთ“.

პირველი, რაც უმთავრესია ლამაზი რუჯისა და თქვენი კომფორტისთვის: მზისგან დამცავი ლოსიონი მთელი ტანისა და სახისთვის. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ტიპის კანისთვის. ბევრი თვლის, რომ თუ მზე კანს არ უწვავს და უფრო კარგად ირუჯება, არ არის საჭირო დამცავის გამოყენება, მაგრამ ყველამ უნდა იფიქროს იმაზე, თუ რა ზიანს აყენებს კანს, რაც მოგვიანებით, ასაკის მატებასთან ერთად იჩენს თავს. ეს აუცილებელია არა მარტო ზღვის სანაპიროზე, არამედ ყოველდღიურად.

რაც შეეხება მაკიაჟს: ტონალური უნდა იყოს ისეთი, რომელიც მთელი დღე ძლებს სახეზე და შეიცავს მზისგან დამცავს. გირჩევთ, ტონალური შეურიოთ თქვენს საყვარელ დამატენიანებელ კრემს და წაისვათ სახეზე თითებით (და არა ფუნჯით), რაც სახეს მისცემს ნატურალურ იერს.

მასკარა – აუცილებლად წყალგამძლე, რომელიც მთელი დღე რჩება თვალზე და შესანიშნავად გამოიყურება ცურვის თუ, უბრალოდ, აქტიური დღის შემდეგ. ასევე, თუ გინდათ, რომ თვალს ხიბლი შემატოთ, შეგიძლიათ წაისვათ თვალის ჩრდილები კრემის და არა პუდრის სახით. ყოველთვის შეარჩიეთ ნატურალური ფერები, მაგალითად, ღია ოქროსფერი, რომელიც ძალიან ლამაზია ზღვის სანაპიროზე და უხდება გარუჯულ კანს. სცადეთ Make up Forever-ის Aqua ხაზი, რომელიც შექმნილია სპეციალურად ცხელი ზაფხულის, ზღვის, აქტიური და მაკიაჟის მოყვარული ქალებისთვის.

ბრონზერი – შეარჩიეთ ისეთი, რომელიც თქვენს კანს ნატურალური რუჯის ფერს მისცემს, და არა ისეთი, რომელიც სტაფილოსფერს ან ტალახისფერს გაგხდით. შეურიეთ ბრონზერი თქვენს საყვარელ ჰაილაიტერს და გადაისვით ღაწვებზე, საფეთქლის მიდამოებში, ცოტა ცხვირზე და ნიკაპზე. ძალიან მომხიბვლელია. სცადეთ „Master Hi-Lighting Bronzer“ by Maybelline New York-ისგან, ულამაზესია.

რაც შეეხება ტუჩის საცხს: მოერიდეთ პიგმენტურ ფერებს (შეინახეთ საღამოს წვეულებისთვის). აუცილებელია წაისვათ ტუჩის დამატენიანებელი, რომელიც შეიცავს მზისგან დამცავს.

სულ ეს არის, რაც გჭირდებათ ლამაზი, მბზინავი, გარუჯული და არა ყოველდღიური მაკიაჟისთვის ზაფხულის ცხელ დღეებში. იმედია, გაითვალისწინებთ ჩემს რჩევებს, მოიმარაგებთ მზისგან დამცავ კრემებს და იგრძნობთ თავს კომფორტულად.




Maybelline



Victoria Beckham Spring 2015 Backstage



# რძიანა! რასთან გვაქვს საქმე?



რძიანა ანუ კანდიდოზური ინფექცია — ეს პრობლემა ყველაზე ხშირად ქალებს აწუხებს. სტატისტიკურად ირკვევა, რომ მათგან ყოველი მესამე სწორედ ამ დაავადების გამო მიმართავს გინეკოლოგს. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ პათოლოგიას ვერც მამაკაცები და ბავშვები გაურბიან შორს. ჯანმრთელ ორგანიზმში ყოველთვის არსებობს ამ პრობლემის გამომწვევი Candida-ს ჯგუფის სოკოები, მაგრამ როდესაც სხვადასხვა მიზეზის გამო იმუნიტეტი ქვეითდება, დაავადებაც სწორედ მაშინ იჩენს თავს.

## რატომ ვითარდება რძიანა?

რძიანას გამოვლენის ყველაზე ხშირი მიზეზი იმუნიტეტის დაქვეითებაა სხვადასხვა დაავადების, ნაწლავური მოწამვლისა თუ ინფექციების ფონზე. კანდიდოზით შეიძლება “დაგვაჯილდოვოს” ანტიბიოტიკების ხანგრძლივმა და უსისტემო მიღებამ, სხვადასხვა ჰორმონული პრეპარატების გამოყენებამ, მათ შორის, კონტრაცეპტივებმა და ზოგადად, ჰორმონულმა ძვრებმა ორგანიზმში. სწორედ ამიტომ რძიანა ხშირად ვითარდება მენსტრუაციის წინა პერიოდში ან მენსტრუალური ციკლის დარღვევის დროს, ორსულობის ფონზე ან შაქრიანი დიაბეტის არსებობისას. არც თუ ისე იშვიათად, ქალებს რძიანა მჭიდროდ მომდგარი სინთეტური საცვლების გამოყენებისას უვითარდებათ: ამ შემთხვევაში სოკოს გამრავლებისთვის, განსაკუთრებით სიცხეში, საუკეთესო გარემო იქმნება.

## როგორ გვამცნობს რძიანა თავისი არსებობის შესახებ?

ჩნდება საშოდან არასასიამოვნო სუნის მქონე მოთეთრო ფერის ხაჭოსებრი გამონადენი, ხშირად ადგილი აქვს გარეთა სასქესო ორგანოების ანთებასა და შეშუპებას. ამ მიდამოში აღინიშნება წვის, ქავილისა და სიმშრალის შეგრძნება, შარდვის დროს კი — ტკივილი. საყურადღებოა, რომ ამ დაავადების გადაცემა სქესობრივი გზითაც ხდება.

## როგორ ვუმკურნალოთ რძიანას?

დღესდღეობით კანდიდოზი საკმაოდ სწრაფად — 5-10 დღეში იკურნება. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მსუბუქ და უწყინარ პრობლემასთან გვაქვს საქმე. თუ სიტუაციას არ გავაკონტროლებთ, შეიძლება სერიოზული გართულებების წინაშე აღმოვჩნდეთ. სოკოვანი ინფექცია მეტად ვერაგია: იგი ადვილად ეჩვევა სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატებს და ამიტომაც ხშირად ვერ ხერხდება გამომწვევის სრული განადგურება, შედეგად კი დაავადება განმეორებით ვითარდება.

უნგრული წარმოების პრეპარატი ზალაინი პრობლემის მარტივ, მაგრამ მეტად ეფექტურ გადაწყვეტას გთავაზობთ. მისი უნიკალური ფორმულა სპეციალურად შეიქმნა მკურნალობისადმი გამძლე სოკოვან შტამებთან საბრძოლველად. ზალაინი, ერთადერთი პრეპარატია სამმაგი მოქმედებით, რომელც მხოლოდ ერთი სანთლის გამოყენებით სწრაფად სპობს სოკოს უჯრედებს და ხელს უშლის დაავადების ხელახალ განვითარებას. ზალაინი გამოდის კრემის სახითაც და თუ პროცესში გარეგანი სასქესო ორგანოებიცაა ჩართული, მიზანშეწონილია ზალაინის სანთლისა და კრემის ერთდროული გამოყენება. ზალაინი ადგილობრივად მოქმედებს, სისხლში არ შეიწოვება და ამიტომ იგი სრულიად უსაფრთხოა ორსულებშიც და ბავშვებშიც. ხანგრძლივი მოქმედების გამო 1 სანთელი მოქმედებს 7 დღის განმავლობაში და ხშირად სავსებით საკმარისია განსაკურნებლად, ხოლო უფრო რთულ შემთხვევაში შესაძლებელია 7 დღის შემდეგ კიდევ 1 სანთლის დამატება.

როგორც ვხედავთ, რძიანა მეტად გავრცელებული დაავადებაა, რომლის მკურნალობაც დღესდღეობით სირთულეს არ წარმოადგენს. ამიტომ იყავით ყურადღებით, არ მიუშვათ დაავადების სადავეები, რათა უეცრად არ აღმოჩნდეთ უკვე სერიოზული პრობლემების წინაშე.



# Wet Look Hair

## Simple Style

## Hair Up









ealthy HAIR CENTE

**თმის ცვენა, ქერტლი, თმის სხვა დაავადებები და თმის სხვადასხვა სახის დაზიანება ხშირი და მოუგვარებელი პრობლემაა.**

ამ პრობლემებით მივმართავთ ხოლმე სხვადასხვა პროფილის ექიმს, რომლებიც, თავიანთი სპეციალობიდან გამომდინარე, სიღრმისეულად არ იცნობენ თმის დაავადებებს, ამიტომ პრობლემის მოგვარება ჭიანურდება არათანმიმდევრული, ან არასწორი მკურნალობით.

ჯანსალი თმის ცენტრში მიგიღებთ ექიმი ტრიქოლოგი – სპეციალისტი, რომელიც ფლობს სრულყოფილ ცოდნას თმის დაავადებებზე და მათი მკურნალობის მეთოდებზე, შედეგად მის მიერ დანიშნული მკურნალობა მთავრდება შესაძლო საუკეთესო გამოსავლით.
თუმცა, ტრიქოლოგს ხშირად ჭირდება ენდოკრინოლოგის კონსულტაცია, რომლის მიღებაც შეიძლბა ჯანსალი თმის ცენტრში.

გარდა ამისა, თმის სიჯანსალე საჭიროებს სწორი კვებითი რეჟიმის შერჩევას და საკვები დანამატების მიღებას, რის შესახებაც კვალიფიციური რჩევის მიღება შეიძლება ჯანსალი თმის ცენტრში ექიმ დიეტოლოგთან.

და კიდევ, თმასთან დაკავშირებული პრობლემები ხშირად აისახება ჩვენს ფსიქიკურ მდგომარეობაზე და სწორედ ამ დროს და მაგიტომ ჯანსალი თმის ცენტრში დაგეხმარებათ ფსიქოლოგი.

და სულ ბოლოს, თმის ცვენის მკურნალობისას ზოგჯერ გამოიყენება საშუალებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ლიბიდოზე, ამიტომ ჯანსალი თმის ცენტრში შესაძლო პრობლემის მოგვარებაზე ზრუნავს ექიმი სექსოლოგი.

ჯანსალი თმის ცენტრში არამარტო მკურნალობენ, არამედ უვლიან თმას.
ამას აკეთებენ გამოცდილი სტილისტები თმისთვის ყველაზე უვნებელი საშუალებების გამოყენებით.

*მობრძანდით ჯანსალი თმის ცენტრში და მიიღეთ ერთ სივრცეში ყველაზე კვალიფიციური დახმარება და მოუარეთ თმას ყველაზე უვნებელი მეთოდებით.*

**ჩვენ არ ვნერგავთ თმას.**

**ჩვენ მას ვზრდით და ვაჯანსაღებთ!**

# სილამაზე, როგორც სულის მდგომარეობა



ნინო ელიავა, ონლიან-მაღაზიის MORE IS LOVE დამფუძნებელი და კრეატიული დირექტორი – სილამაზის აღქმაზე და თავის BEAUTY უპირატესობებზე.

შარმი ქართულად

ინტერვიუ: ლეილა იმანოვა ფოტო: კიკალა სტუდიო თმა და მაკიაჟი: ლადო ბოკუჩავა

## «მე ხშირად ვსარგებლობ ჩემი მამაკაცის სუნამოთი – ასე ის მთელი დღე ჩემთან არის»

**ნინო ელიავას აზრით, რას ნიშნავს „ლამაზი ქალი“?**

მე ცოტა სხვანაირად ვუყურებ სილამაზეს. მიმაჩნია, რომ ერთი შეხედვით უშნო ქალიც კი შეიძლება იყოს ლამაზი. ეს საკამათო თემაა და ჩემს შეხედულებას ბევრი არ ეთანხმება, რადგან სილამაზე ესმით პირდაპირ. ჩემთვის სილამაზე არის არა ნატიფი ნაკვთები ან მოხდენილი ფიგურა, არამედ ხასიათი, სულიერი მდგომარეობა, მანერები, ქცევა, ასევე ბევრი პატარა დეტალი, რომელიც ქმნის ადამიანის სახეს.

**თქვენი ბლოგი frivialisanity.com და ონლიან-მაღაზია moreislove.com გახასიათებთ, როგორც ჭეშმარიტ ესთეტს. იმავე წესებს მისდევთ საკუთარი გარეგნობის შესანარჩუნებლად?**

ჩემთვის ვიზუალური მხარე ძალიან მნიშვნელოვანია ყველაფერში. დიდ დროს ვხარჯავთ საიტის დიზაინსა და ფოტოებზე. რაც შეეხება გარეგნობას, გულწრფელად რომ გითხრათ, სახეზე დიდხანს არ ვფიქრობ. თავში ყველაფერი ხდება ძალიან სწრაფად. ასევე ჩქარა ვიცვამ, ხოლო მაკიაჟი ყოველთვის ერთნაირი მაქვს: ისრები, ტონი და ტუჩსაცხი.

**თქვენი ყველაზე გაბედული Beauty ექსპერიმენტი...**

დიდი ხანია არ ჩამიტარებია ექსპერიმენტი ჩემს გარეგნობაზე. ალბათ ეს იყო მაშინ, როცა ქერად შევიღებე თმა, თითქმის წითურადაც კი.

**სალონში რისთვის დადიხართ – შედეგისთვის თუ სიამოვნების მისაღებად?**

ორივესთვის.

**თქვენი საყვარელი კოსმეტიკის მარკები...**

MAC – როგორც დეკორატიული კოსმეტიკა, და La Prairie – სახის კანის მოსავლელად.



Charlotte Tilbury

**უკანასკნელად შეძენილი beauty-პროდუქტი.**

არაჩვეულებრივი ტუში Charlotte Tilbury.

**საყვარელი ნოტები არომატში... და რა მოგონებებთან გაკავშირებთ?**

ხშირად ვსარგებლობ ჩემი მამაკაცის სუნამოთი – ასე ის მთელი დღე ჩემთანაა. ძალიან მიყვარს ვარდის სუნი, ოღონდ მსუბუქი და არა ტკბილი არომატები.




სუნამო Tom Ford Champaca Absolute

**თქვენი სილამაზის წესი.**

ყველაზე მნიშვნელოვანი სილამაზეში ღიმილი და კარგი განწყობაა.




დამატენიანებელი კრემი La Prairie Cellufar Time Release Moisturizer

დამატენიანებელი შრატი La Prairie Cellufar Hydrating Serum

**გარდა იმისა, რომ გადაღებების სტილზე ზრუნავთ, ასევე პასუხს აგებთ თქვენი მოდელების მაკიაჟზე.**

დიახ, ძალიან მიყვარს მაკიაჟი. ამ საქმიანობას ჩემთვის სიამოვნება მოაქვს.

**კარგი ფორმა რისი შედეგია?**

სწორი კვების, რომელსაც არასდროს არ ვიცავ. ვჭამ ყველაფერს და თან ზედიზედ, თუმცა ჩემზე ვერ იტყვი...

**რა რიტუალებისგან შედგება თქვენი პირადი ყოველდღიური მოვლა?**

დილით, შხაპის შემდეგ, სახეს ვიწმენდ ლოსიონით, ვიდებ შრატს, მერე – კრემს და მსუბუქად ვიღებები.

**თქვენ არასოდეს...**

არ ვამბობ სიტყვას „არასოდეს“. ერთ დღეში იმდენი რამ იცვლება, რომ შეუძლებელია თქვა: „ამას არასდროს არ გავაკეთებ“.

**როგორ ფიქრობთ, რა აკლია სილამაზის ინდუსტრიას?**

ლამაზი ტონის მქრქალი ტუჩის საცხები. მათი უამრავი რაოდენობაა ბაზრობაზე, ასევე MAC-ში შეიძლება ნახო წითელის ტონები, მაგრამ ცოტაა აგურისფერი, გარდამავალი თიხისფერში.

**თქვენი სტილისტური გადაწყვეტა მომავალ ზაფხულზე...**

თვალის ჩრდილი ფერებში Nude და მაქსიმალურად ბუნებრივი თმის ვარცხნილობა.

# EVE•PEARL
## ვარსკვლავების ვიზაჟისტი

საქართველოდან ამერიკაში წასული Eve Pearl მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ვიზაჟისტია. მიღებული აქვს 5 Emmy და თავისი შთაგონების, 20-წლიანი გამოცდილებისა თუ, უბრალოდ, უშუალო ხასიათის მეშვეობით გავლენას ახდენს ბევრ დამწყებ თუ გამოცდილ პროფესიონალზე.




ტექსტი: თამარა ჯანელი ფოტო: ივი პიარლის პირადი არქივიდან

მისი წიგნი Plastic Surgery Without Surgery, The Miracle of Makeup Technique გახდა სილამაზის მოყვარულებისთვის აუცილებელი ნივთი. მისი საქმიანობა მოიცავს სატელევიზიო გადაცემებს NBS-ის „დღის შოუ“, ABC-ის The View, „დილა მშვიდობისა, ამერიკა“ და „აკადემიის დაჯილდოება“... აგრეთვე უმუშავია ჯასტინ ტიმბერლეიკთან, პრეზიდენტ ობამასთან, მიშელ ობამასთან და ბარბარა ვალტერსთან... ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება.

ის ასწავლის ქალებს, და არა მარტო მათ, თუ როგორ უნდა მიაღწიონ სასურველ შედეგს მისი პროდუქციის მეშვეობით. მისი კოსმეტიკა ყველანაირ კანს უხდება.

**ბავშვობაში ვინ გინდოდათ გამოსულიყავით?**

ყოველთვის მაინტერესებდა სპორტი. კალათბურთელობა მინდოდა და მოვახერხე კიდეც სკოლის წლებში, მაგრამ ვეღარ გავაგრძელე, რადგან სიმაღლე ხელს არ მიწყობდა...

**რამდენი წლის იყავით, როცა საქართველო დატოვეთ?**

საქართველოდან 5 წლის წამოვედი.

**როდის გააკეთეთ პირველი მაკიაჟი?**

პირველად სკოლაში ვცადე. ვსწავლობდი თეატრს, ვმონაწილეობდი მიუზიკლებში და სპექტაკლებში, მაგრამ ყოველთვის მეორეხარისხოვან როლებში, რადგან სიმღერა არ მეხერხება. პერსონაჟებს ყოველთვის სჭირდებოდათ დახმარება თმისა და მაკიაჟის მხრივ. გადავწყვიტე, რომ მე დავხმარებოდი. მალე გავხდი თმისა და მაკიაჟის არაოფიციალური უფროსი. სერიოზულად არასოდეს მიფიქრია ამ პროფესიაზე, რადგან სკოლაშიც და კოლეჯშიც ბიზნესს და მარკეტინგს ვსწავლობდი. ბიზნესი იყო ის, რაშიც მინდოდა ცოდნის მიღება, როგორც ემიგრანტს ამერიკაში...

**ვისგან ისწავლეთ მაკიაჟის გაკეთება?**

მაშინ ვერ ვხვდებოდი, რა დიდ გავლენას ახდენდა დედაჩემი (რივა ფიჩხაძე). ადრეც და ახლაც ბევრ რამეს ვსწავლობ მისგან. ამერიკაში დედაჩემი სტილისტად მუშაობდა. 9 წლიდან მატარებდა სალონებში. ხან თავს ვბანდი კლიენტებს, ხან იატაკს ვწმენდდი, ხან სტილისტებს ვეხმარებოდი. მინდოდა, რომ უქმეებზე სახლში ვყოფილიყავი, როგორც ჩემი მეგობრები, მეთამაშა ან ტელევიზორისთვის მეყურებინა, მაგრამ დედაჩემს უნდოდა, რომ გვერდით ვყოლოდი. მაშინ თმისა და მაკიაჟის ინდუსტრიაში ყოფნა არ მინდოდა. არ მინდოდა, იგივე მეკეთებინა, რითაც დედაჩემი იყო დაკავებული. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მიმეღო განათლება, მემუშავა ბიზნესის განხრით.

**რა იყო პირველი, ყველაზე დასამახსოვრებელი სამუშაო, როგორც არტისტისთვის?**

20 წლის ასაკში უკვე წარმატებული ვიყავი. დედაჩემი მუშაობდა ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერაში. ის იყო მთავარი ვიზაჟისტი, მოგვიანებით კი – თმისა და მაკიაჟის მთავარი არტისტი მიხეილ ბარიშნიკოვის ბალეტის კომპანიაში. 20 წელი იმუშავა და 73 წლის ასაკში წამოვიდა თეატრიდან... აქედან დაიწყო ჩემი პირველი დასამახსოვრებელი სამუშაო. ეს იყო ალ პაჩინო სპექტაკლისთვის „სალომე“.

დედაჩემმა დაარწმუნა პროდიუსერები, რომ მე ვიცოდი მაკიაჟის გაკეთება (სინამდვილეში არ ვიცოდი). სულ რაღაც ერთი კვირა გვქონდა დრო, რომ ესწავლებინა... მომცეს დავალება. ეს იყო ჩემი პირველი „პროფესიული“ მაკიაჟი და ის გავუკეთე, არც მეტი, არც ნაკლები, ალ პაჩინოს. ამის შემდეგ საკუთარი თავის მიმართ ნდობა გამიჩნდა და გადავწყვიტე, მიმეღო გაკვეთილები ოპერის მაკიაჟის ხელმძღვანელისგან, რომელთანაც შემდეგ დამხმარედ ვმუშაობდი...

**როდის მიხვდით, რომ მაკიაჟის ინდუსტრია იყო ის გარემო, სადაც გინდოდათ ყოფილიყავით?**

ვიყავი მარტოხელა დედა. დღის განმავლობაში ვმუშაობდი მდივნად, საღამოს კი თეატრში ვიღებდი სამუშაოებს. ჩემი 5 წლის შვილი სულ თან დამყავდა. მერე ტელევიზიაში დავიწყე მუშაობა და მივხვდი, რომ ჩემი გამოცდილებით უკვე შემეძლო მემუშავა სწრაფად, შემეცვალა და შემექმნა ლამაზი სახეები. მარტო მაკიაჟის კეთება აღარ მაკმაყოფილებდა – მინდოდა ერთ-ერთი საუკეთესო ვყოფილიყავი ამ საქმეში.





**როგორც ვიზაჟისტს, გიმუშავიათ და გიმოგზაურიათ ბევრ ცნობილ ადამიანთან ერთად. რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?**

საოცარია ეს ინდუსტრია. მიმუშავია პრეზიდენტებთან, სამეფო ქორწილებზე, ოლიმპიურ თამაშებზე, მუსიკოსებთან, სპორტსმენებთან, მსახიობებთან, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი შემთხვევა იყო Lady Gaga-ს გვერდით მუშაობა, როდესაც თავსხმა წვიმაში გამართა წარმოდგენა... შეუდარებელი იყო მუშაობა სელმა ჰაიეკთან და ანტონიო ბანდერასთან კანის ფესტივალზე. საუბრები ანჯელინა ჯოლისთან...

**როდის მიიღეთ პირველი Emmy?**

პირველად 2001 წელს მოვიგე, შემდეგ – 2002, 2003, 2006 და 2007 წლებში. ნომინირებული ვიყავი 1999, 2000, 2004 და 2005 წლებში. პირველი ორი ნომინაციის შემდეგ მიზნად დავისახე, რომ მესამე წელს უნდა მომეგო. ცერემონიალს ჩემი ოჯახიც დაესწრო. როგორც მაკიაჟის განყოფილების უფროსმა, მე მივიღე Emmy და წარმოვთქვი სამადლობელი სიტყვა ჩემი გუნდის, The View-ის სახელით.

**როგორია თქვენი მაკიაჟის სტილი?**

მიყვარს შევქმნა ისეთი წესები, რომ გავუადვილო ქალებს მაკიაჟის კეთების პროცესი. მე არ ვცვლი ქალებს, პირიქით, მინდა, რომ ჰგავდნენ თავის თავს. კლასიკური სილამაზე არის ის, რაც მე მომწონს და ვაკეთებ.

**რამ გადაგაწყვეტინათ, შეგექმნათ თქვენი, საკუთარი ბრენდი?**

როცა ტელევიზიაში ვმუშაობდი, შოუებისთვის ვაკეთებდი პატარა სეგმენტებს მაკიაჟის შესახებ. დავწერე წიგნი, რომელშიც იყო ინფორმაცია, თუ რას, როგორ და რისთვის ვიყენებდი. მინდოდა, რომ ქალებს დავხმარებოდი. ამის შემდეგ ინტერესი უფრო გაიზარდა და შევქმენი „სალმონის“ ფერის კორექტორი.

ეს იყო პირველი პროდუქტი. ამას მოჰყვა სხვადასხვა პროდუქციის შექმნა. 2008 წელს კი ნიუ იორკის შუაგულში გავხსენი სტუდია, სახელით Eve Pearl.

**რით გამოირჩევა Eve Pearl სხვა ბრენდებისგან?**

Eve Pearl-ის პროდუქცია ადვილი გამოსავალია სილამაზისთვის, რომელიც გამდიდრებულია სახის მოვლის საშუალებებით.

**რას უნდა ველოდოთ Eve Pearl-ის ბრენდისგან მომდევნო სეზონებზე?**

აქცენტს ვაკეთებთ კანის მოვლის საშუალებებზე. საცხები, კორექტორები, ტონალურები და ახლა უკვე თვალის ჩრდილებიც გამდიდრებულია კანისთვის სასარგებლო პროდუქციით.

**დაბოლოს, როგორც 5 ემის მფლობელი, წიგნის ავტორი, სილამაზის ექსპერტი და ქალი, რას ურჩევთ პროფესიონალებს და, უბრალოდ, მაკიაჟის მოყვარულებს?**

ჩემი „Pearls of Wisdom“(სიბრძნის მარგალიტები) იქნება ის, რომ არასოდეს მისცეთ თავს შეფერხების შანსი, იცოდეთ, რა გინდათ აკეთოთ მთელი გულით. არ იცხოვროთ წარსულში. არ იცხოვროთ მომავალში. იცხოვრეთ აწმყოთი, ახლა და ეცადეთ, გამოცადოთ ყველაფერი. ისარგებლეთ ყველა ხელსაყრელი შესაძლებლობით, რაც მოგეცემათ და არ შეგეშინდეთ. იყავით პროფესიონალი, დროზე გამოცხადდით სამსახურში... ღიმილიანი სახით. ეს არის ის, რასაც მე ახლაც ვიყენებ ჩემს საქმიანობაში... ყოველთვის ვირჩევ ისეთ ხალხს, ვისაც აქვს კარგი ხასიათი, პოზიტიური განწყობა, ენერგია და მზადაა მუშაობისთვის. არ არის საჭირო იყო „ზღაპრული“, იმიტომ რომ ვერ შეინარჩუნებ. მაგრამ როცა შეგიძლია იყო ყოველთვის კარგი და ხანდახან კიდევ უფრო უკეთესი, აუცილებლად იქნები წარმატებული.





# BACKSTAGE
# HAUTE HORLOGERIE

PHOTO ERIC GUILLEMAIN


Portofino Mare
Ristorante "DELFINO,,
Portofino Mare

# TIMELESS PORTOFINO

PHOTO PETER LINDBERGH © PETER LINDBERGH
MODELS ADRIANA LIMA, KAROLINA KURKOVA




l'affogato











# სამოთხე დედამიწაზე

ტექსტი და ფოტო: ლიკა კვარაცხელია

უდავოა, რომ მოგზაურობა ყოველთვის ერთგვარი თავგადასავალია, რომელიც ჩვენს ტვინს დადებითი ემოციებით კვებავს, თვალს ასვენებს და ახალი იდეებით შთაგვაგონებს, ხოლო როდესაც თუნდაც ერთკვირიანი არდადეგები ყოველდღიური რუტინიდან ამოვარდნის საშუალებად იქცევა, უფრო მეტად გრძნობ, რომ ეს ყველაფერი სწორედ ახლა, დროის ამ კონკრეტულ მონაკვეთში გჭირდებოდა.





> თითქოს ეოსმა გაირბინა ცაზე და საოცარი ფერებით მოხატა იგი, თითქოს ჰელიოსის მობრძანება გვაუწყა.

ადგილი, სადაც დიდი ხნის წინ ჩავიფიქრე გამგზავრება, ინტერნეტით გავიცანი და შევისწავლე, თუმცა ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ეს აღმოჩნდა რეალური და ზღაპრული სამყაროების შერწყმის ადგილი, სადაც მზის ჩასვლა და ამოსვლა წარმოუდგენლად შთამბეჭდავია. ამ დროს ცა დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში ზღაპრულ ფერებში იხატება და ირეალურ სურათს ქმნის. ამის სანახავად იქ უამრავი ტურისტი ჩადის და საგანგებო ადგილს იკავებს, რათა ეს სილამაზე მეხსიერებაში აღბეჭდოს.

გაგვიმართლა – იმ დროს ჩავფრინდით, რომ აეროპორტში მზის ამოსვლით დავტკბით. ეს იყო ენით აუწერელი სანახაობა – თითქოს ეოსმა გაირბინა ცაზე და საოცარი ფერებით მოხატა იგი, თითქოს ჰელიოსის მობრძანება გვაუწყა.

ჩასვლისთანავე სუნთქვა შემეკრა და მომდევნო შვიდი დღის განმავლობაში მგონი არც ამომისუნთქავს – ეს ნამდვილად ერთ-ერთი სამოთხეა დედამიწაზე!

კუნძული სანტორინი, რომლის ტურისტულ ცენტრად ქცევა სულ რაღაც 40 წლის წინ დაიწყეს, დღეს საბერძნეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კურორტია. აქაურ სასტუმროებში ჩურჩულით საუბრობენ, მომსახურე პერსონალი ერთი მოძრაობით ხვდება, რა გსურს, რათა შენი იდილია არავინ და არაფერმა არ დაარღვიოს. იდილიას კი ზღვის დონიდან 350 მეტრზე მდებარე აუზი, კომფორტული მოსასვენებელი კუთხე, გასაოცარი ხედი და გვერდით მყოფი საყვარელი ადამიანი ავსებს.

ეს ყველაფერი სოფელ იმეროვილიში ხდება. ამ იდილიას კი „ეგეოსის აივანი“ ჰქვია. Imerovigli-ის პირდაპირი თარგმანია „მაყურებელი“. როგორც ისტორია გვეუბნება, ამ სოფლის მცხოვრებლები მორიგეობით იდგნენ აქ არსებულ მაღალ კლდეზე და კუნძულს მეკობრეებისგან იცავდნენ. ეს ადგილი კუნძულის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა. კლდეზე უამრავი ადამიანი მიცოცავს, რომ ხედით დატკბეს ან სამახსოვრო ფოტო გადაიღოს. ფოტოს გამო სად არ აძვრები, მაგრამ მე მაინც სასტუმროდან ვამჯობინე მისი დათვალიერება.

სანტორინი ცნობილია დამახასიათებელი არქიტექტურით, თვალისმომჭრელი მზის ჩასვლით, მეღვინეობით, პატარა პომიდვრის კულტურით, რომლისგანაც ყველაზე გემრიელ ჩირს ამზადებენ და სალათებში იყენებენ, თეთრი ბადრიჯნითა და ზღვის პროდუქტებით. აქაური მიწა ძალიან ნოყიერია და პროდუქტიც, შესაბამისად, უგემრიელესი...

სასტუმროში რამდენიმე ცნო-



ბილი რესტორანი გვირჩიეს. ერთ-ერთი ამოუდის ყურეშია. ყურე ქალაქ იაში მდებარეობს, მაგრამ იქ მისასვლელად ზუსტად 300-საფეხურიანი კიბე უნდა ჩაიარო ან ვირი იქირაო და ისე იმგზავრო. საერთოდ, ვირი ამ კუნძულის სიმბოლოა და მას ბევრგან შეხვდებით. ის ყველაზე პოპულარული ტრანსპორტიცაა, რადგან კუნძული რელიეფურია, ბევრი აღმართი და უამრავი კიბეა. ჩვენ ქალაქ იაში მზის ჩასვლისას ჩავედით და კიბეზეც სიამოვნებით ჩავისეირნეთ.

> ზღვის პროდუქტი პირდაპირ თქვენს თეფშზე ხვდება და მალევე პირში დნება.



რაც შეეხება რესტორანს, საუკეთესო „Luis"-ი ქალაქ ფირაში აღმოვაჩინეთ. მისი დიასახლისი და შეფ-მზარეული ქართველი ქალბატონი ლოლაა. ეს ერთადერთი რესტორანია, რომელშიც ყოველ საღამოს მივდიოდით. უკვე ოცი წელია, რაც ლოლა სანტორინიზე ცხოვრობს და მეუღლესთან ერთად წარმატებით უძღვება სარესტორნო საქმეს. მაცივრისა და შენახვის სხვა წესების გვერდის ავლით, სულ რაღაც წამებში, ზღვის პროდუქტი პირდაპირ თქვენს თეფშზე ხვდება და მალევე პირში დნება.

ფირა სანტორინის დედაქალაქია. ვიწრო ქუჩები, სუვენირების მაღაზიები, ღამის კლუბები, რესტორნები – აქ ყველაფერია იმისთვის, რომ საღამო გაატაროთ ზუსტად ისე, როგორც გსურთ. იმეროვილიდან ფირამდე კლდის პირას მიმავალი პატარა ბილიკით ჩადიხარ, თვალწინ კი საოცარი პეიზაჟი იშლება. გამაოგნებელია არქიტექტურაც. შენობების ფასადები თეთრად და ცისფრადაა შეღებილი, რაც საოცარ სინთეზს ქმნის. აქვეა გამოქვაბულების მსგავსი შენობები, პატარ-პატარა ფერადი ჭიშკრები, რომლებიც უსასრულობისკენ იხსნება, ცას შეზრდილი ტაძრები ცისფერი გუმბათებით და ლურჯი ზღვა – ეს ერთმნიშვნელოვნად გიტოვებთ სამოთხეში ყოფნის შეგრძნებას.

სანტორინი უძველესი ვულკანური წარმოშობის კუნძულია, რომელიც მიწისძვრისა და ვულკანის ამოფრქვევის გამო არაერთხელ დანგრეულა. აქ მოსახლეობა ჩვ. წ. აღ.-მდე 3 ათასი წლის წინ გაჩნდა, ნასახლარები


































კი არქეოლოგებს 40 მეტრის სიღრმეში, გაქვავებული ლავის ქვეშ აღმოუჩენიათ. დაახლოებით 3500 წლის წინ აქ ვულკანი „სანტორი" ამოიფრქვა, რომელმაც კუნძულის ფორმაც შეცვალა და მისი კულტურული განვითარებაც. ვულკანის ამოფრქვევის გამო კუნძულის დაუსახლებელი ადგილები პემზის ქვითაა დაფარული. ამ ქვისგან ადგილობრივი მოსახლეობა სხვადასხვა ნაკეთობას ამზადებს და ყიდის. ამბობენ, რომ სანტორინის სახელწოდება იტალიური წარმოშობისაა და მას ადრე Saint Irene ერქვა, რადგან არსებობდა ამავე სახელწოდების ეკლესია. მოსახლეობა სულ 11 ათასია და მისი ნაწილიც ზამთარში, სიცივისა და ძლიერი ქარის გამო, კუნძულს ტოვებს. კუნძულზე კომფორტული პლაჟები, უამრავი ბუნგალო და ბარია. ნაპირზე ვულკანური წარმოშობის შავი ქვიშაა. არის წითელი პლაჟიც. უდავოდ საინტერესო ადგილებია, თუმცა, იმასთან შედარებით, რა ხედებიც ფირადან, იადან და იმეროვილიდან იშლება, პლაჟზე ჩასვლა, უბრალოდ, დროის დაკარგვაა, მით უმეტეს, რომ გზას 20-25 წუთი სჭირდება.

ყველაზე დასამახსოვრებელი საღამო ბერძნულ ტავერნაში გავატარეთ, სადაც პროფესიონალები სირტაკს ცეკვავენ, მერე კი ყველა სტუმარს იწვევენ საცეკვაოდ. ძალიან მიყვარს ამ დროს თეფშების მტვრევის პროცესი, რაც ემოციას კიდევ უფრო აძლიერებს და სანახაობას ფეიერვერკად აქცევს. ასეთი საღამო მხოლოდ პარასკეობით იმართება, ამიტომ მხოლოდ ერთხელ ჩავები ჩემი უსაყვარლესი ცეკვის ფერხულში.

როგორც უკვე ვთქვი, სანტორინი ულამაზესია, ამიტომ რა გასაკვირია, რომ მას სიყვარულის კუნძულს ეძახიან. აქ ყოველდღე შეხვდებით უამრავ წყვილს, საქორწინო ცერემონიალს და სიძეებს პატარძლის ფეხსაცმელით ხელში – ამ ვიწრო და ქვით მოკირწყლულ ქუჩებში ქუსლიანი ფეხსაცმლით სიარული შეუძლებელია.

ერთი კვირა მალე გავიდა და სამოთხესთან დამშვიდობების დრო დადგა. გადაწყვეტილი მქონდა, კუნძული გემით დამეტოვებინა. ეს გახლავთ რვასაათიანი გასეირნება ეგეოსის ზღვაში. სანტორინიდან ათენამდე რამდენიმე კუნძულს ჩაუვლი, რაც სანტორინიზე გატარებული კვირის ერთგვარი რეზიუმეა. ამ მშვიდი ცურვისას ხვდები, რომ ნელ-ნელა რეალურ სამყაროში ბრუნდები, რუტინა გეძახის, ამიტომ ვილებ კალამს და თავიდან ვიწყებ მოგზაურობას...



ამბობენ, რომ სანტორინის სახელწოდება იტალიური წარმოშობისაა და მას ადრე *Saint Irene* ერქვა



# წიგნები

ტექსტი: ნანა კობაიძე

## მიშელ უელბეკი, „კუნძულის შესაძლებლობა“

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“,
მთარგმნელი მერაბ ფიფია

ქართულ ენაზე სკანდალური ფრანგი ავტორის, მიშელ უელბეკის კიდევ ერთი წიგნი ითარგმნა. მერაბ ფიფიამ „კუნძულის შესაძლებლობა“ მისთვის ჩვეული ოსტატობით გადმოაქართულა. რომანი 2005 წელს დაიწერა და იმავე წელს პრესტიჟული ლიტერატურული პრიზი – „ინტერალიე“ მიიღო. უელბეკი მას თავის საუკეთესო წიგნად თვლის, თუმცა ამ მოსაზრებას ბევრი არ იზიარებს. იმაზე კი თანხმდებიან, რომ გასართობად და სალაღობოდ შექმნილ ნაწარმოებთა რიცხვს არ მიეკუთვნება. მასში წამოჭრილი თემები იმდენად მძიმეა, რომ თამამად შეიძლება ითქვას –„კუნძულის შესაძლებლობა“ ყველასთვის საკითხავი წიგნი არ არის.

რომანის მთავარი გმირი – დანიელი მაყურებელს თავისი სკეტჩებითართობს, მოგვიანებით ამ მიზნით პორნოფილმებსაც იღებს. სექსი და ძალადობა – აი ის, რაც თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე კარგად იყიდება. სიკეთე და სიყვარული არავის სჭირდება, თუმცა წიგნი მაინც სიყვარულზეა. სიყვარულსა და ადამიანის მისწრაფებაზე, გახდეს მარადიული. სწორედ ეს თემა განსაზღვრავს რომანის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან, ფანტასტიკურ ნაწილს, რომელიც ჰარმონიულად ერწყმის და აბალანსებს პირველის მკაცრ და გაუსაძლის რეალობას.




## მარგარეტ ეტვუდი, „მხევლის წიგნი“

გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“,
მთარგმნელი ანი კოპალიანი

თქვენ წინაშეა მხევლის ნაამბობი, რომელიც ამაზრზენ და სასტიკ სამყაროზე მოგვითხრობს. სამყაროზე, რომელშიც ქალები ყოველგვარ ადამიანურ უფლებას მოკლებულნი არიან. მონებად ქცეულებს, მხოლოდ სახელს კი არ ართმევენ, არამედ ქმარ-შვილსაც. მათ აღარა აქვთ პირადი ცხოვრება, სურვილები, ეკრძალებათ წერა, კითხვა, წვეულებებზე სიარული, სეირნობა. რელიგიის სახელს ამოფარებულმა ტირანმა მმართველებმა მათ მხოლოდ ერთი ფუნქცია დაუტოვეს – ბავშვების გაჩენა, თუმცა ეს არ არის საკუთარი შვილის ქვეყნად მოვლინების სიხარულით ტკბობა. ისინი ერთგვარი „ჭურჭლის“ როლს ასრულებენ და მხოლოდ ახალი სიცოცხლის გარკვეულ დრომდე ტარება ევალებათ. მიუხედავად ამისა, წითელ ბალახონში გამოწყობილი მხევლები მხოლოდ ერთ რამეზე ოცნებობენ: რაც შეიძლება სწრაფად დაორსულდნენ თავიანთი მეთაურებისგან, რათა კიდევ უფრო საშინელი ხვედრი




არ ერგოთ – ხვედრი უნაყოფო ქალისა, რომელთაც ყველაზე მძიმე სამუშაოს შესრულება უწევთ და, ფაქტობრივად, სიკვდილისთვის არიან განწირულნი.

ამ სულისშემძვრელი ნაწარმოების ავტორი კანადელი მწერალი მარგარეტ ეტვუდია. რომანი-ანტიუტოპია, როგორც მას უწოდეს, გასულ საუკუნეში ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტექსტად მოგვევლინა. წიგნი ძალიან სწრაფად გახდა პოპულარული და დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას იმ იმედით, რომ მასში აღწერილი ამბები რეალურად არასოდეს მოხდება.

## მილორად პავიჩი, „სხვა სხეული“

გამომცემლობა „ინტელექტი“,
მთარგმნელი სალომე ბენიძე

მილორად პავიჩის მოყვარულებს „ინტელექტმა“ მშვენიერი საჩუქარი მოუმზადა: ცოტა ხნის წინ სერიით – „პავიჩი ქართულად“ ცნობილი სერბი მწერლის 6 წიგნი შემოგვთავაზა. მათ შორის ავტორის ერთ-ერთი ბოლო ქმნილება – „სხვა სხეული“. სხვა წიგნებისგან განსხვავებით, რომელთა კითხვისას ტექსტის თანმიმდევრობას ხშირად მკითხველი განსაზღვრავს, პავიჩი სიუჟეტს ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად ავითარებს და გვაიძულებს ფეხდაფეხ მივყვეთ.

ხატკეთილი ანა თავის მიჯნურთან ერთად XVIII საუკუნის ვენეციაში ცხოვრობს. ისინი ფერისმცვალებელი ქვის ბეჭდისა და ფეხიანი სასმისის ძირზე წარწერილი საიდუმლოს ამოხსნას ცდილობენ, თუმცა უშედეგოდ. სამასი წლის შემდეგ ეს უცნაური გამოცანა ლიზა სვიფტისა და მისი მწერალი მეუღლის გონებას აფორიაქებს. ქვის ბეჭედი საოცარი უნარით, პატრონის განწყობის მიხედვით იცვალოს ფერი, ღვთისმშობლის წყაროს წყალი და სასწაულმოქმედი სიტყვები საიდუმლოს ერთგვარი გასაღებია. საბოლოოდ ამ ყველაფერს ბიბლიამდე და ქრისტეს აღდგომის სცენამდე მივყავართ. ადამიანის მარადიული სურვილი, გაიგოს, რა ელის მომავალში, რომანში სხვა სხეულის (სულის სხეულის) არსებობის ვერსიას ეჯაჭვება, რაც გარკვეულ ეტაპზე შესაძლოა თითოეული ჩვენგანის წილხვედრი გახდეს.









## 75 YEARS OF MARVEL COMICS. FROM THE GOLDEN AGE TO THE SILVER SCREEN

გამომცემლობა TASCHEN

თანამედროვე მსოფლიოში ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელსაც ადამიანი-ობობას, კაპიტან ამერიკას, ჰალკის, ფანტასტიკური ოთხეულის, იქს-მენისა და მათი „მეგობრების“ შესახებ არ სმენია. მათი უმეტესობა ერთ დიდ რეალობაში არსებობს, რომელსაც Marvel Comics ჰქვია. 1936 წელს მარტინ გუდმენის მიერ დაარსებული საგამომცემლო სახლი დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას. შარშან მას 75 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით Taschen-მა დიდი საიუბილეო გამოცემა მოამზადა.

„75 Years of Marvel Comics“ ილუსტრირებულ ისტორიათა კრებულია, რომელიც Marvel-ის მიერ მთელი თავისი არსებობის მანძილზე შექმნილ ყველა სახელგანთქმულ გმირს ეძღვნება. მკითხველი არაერთ მნიშვნელოვან დეტალს შეიტყობს ჰალკის, რკინის კაცის, ადამიანი-ობობას, სუპერმენისა და სხვა ცნობილი პერსონაჟების შესახებ; უფრო ახლოს გაიცნობს მათ შემქმნელ მწერლებსა და მხატვრებს, მათ შორის, სტენ ლის, ჯეკ კირბის, სტივ დიტკოსა და სხვებს. ყველა ისტორიას ახლავს Marvel-ის ყოფილი მთავარი რედაქტორის, როი ტომასის კომენტარები, რაც ამ ყველაფერს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

## THE ROLLING STONES

გამომცემლობა TASCHEN

„ამ წიგნმა ამერიკული მთების მსგავსად ჩაუქროლა მთელ ჩვენს 50-წლიან ისტორიას“, – განაცხადა ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა კიტ რიჩარდსმა ამ არაჩვეულებრივი ფოტოალბომის წარდგენისას. უნიკალური 600-გვერდიანი გამოცემა Taschen-ის რედაქტორებმა ჯგუფის წევრებთან მჭიდრო თანამშრომლობით შეადგინეს. მასში არაერთი იშვიათი ფოტო და ილუსტრაცია შევიდა, რომელთა უმეტესობა მანამდე არსად გამოქვეყნებულა. შეზღუდულია ტირაჟიც – 1150 ეგზემპლარი. ღირებულება 100 ფუნტია. გაცილებით ძვირი ღირს ეგზემპლარი ოთხივე მონაწილის ხელმოწერით – მისი ფასი 3500 ფუნტია.

„გვქონდა ბედნიერება, მსოფლიოს საუკეთესო ფოტოგრაფებთან გვემუშავა, რომელთაც ჩვენი კარიერის არაერთი ოქროს წამი აღბეჭდეს



ფირზე“, – სიამაყით აღნიშნავს მიკ ჯაგერი. გამოცემაში, რომელსაც ჯგუფის წევრები თავიანთ ოფიციალურ „ფოტოალბომად“ მოიხსენიებენ, ისეთ ცნობილ ფოტოხელოვანთა ნამუშევრები შევიდა, როგორიცაა ენი ლეიბოვიცი, ჰელმუტ ნიუტონი, ანტონ კორბაინი, ნორმან პარკინსონი და სხვები. შესავალი აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს, ბილ კლინტონს ეკუთვნის, ჯგუფის შემოქმედებითი გზის შესახებ დაწერილი სამი ესე კი მწერლებს – დევიდ დალტონს, ვოლდემარ იანუშჩაკს და ლუკ სანტეს.

# გრძნობების შემნახველი საკანი

## მურთაზ შველიძის მხატვრობა



…ქალაქებს ზემოდან თუ გადმოხედავ, შეამჩნევ, რომ სტადიონები მფრინავი თეფშებივით ჩანან…

ტექსტი: თეონა ჯაფარიძე ფოტო: თინათინ კილურაძე



„ქალაქებს ზემოდან თუ გადმოხედავ, შეამჩნევ, რომ სტადიონები მფრინავი თეფშებივით, უცხო სხეულებივით ჩანან ურბანულ ლანდშაფტში...” – მიხსნის მხატვარი. მის მიერ ზემოდან დანახული და ტილოზე გადატანილი სტადიონებისა თუ საცურაო აუზების მწვანე და ცისფერი ლაქები საბოლოოდ საინტერესო ფერწერად იქცევა. სპორტული ლანდშაფტური პეიზაჟები, ჯანსაღი და ლამაზი სხეულები მურთაზ შველიძის მხატვრობის მნიშვნელოვანი თემატიკაა. თემატიკა, რომელიც სრულყოფილებამდე მიიყვანეს ანტიკური ხანის არტისტებმა და რომელიც სახვითი ხელოვნების სახელმძღვანელოს ფუნდამენტია, სხვადასხვა ეპოქაში უამრავი მხატვრის ინსპირაცია გახდა და სხვადასხვა მედიასა თუ მიმდინარეობაში მრავალნაირი რეინკარნაცია პოვა. მურთაზ შველიძის ნამუშევრებში ეს თემატიკა, სრულიად გარდასახული – ნათელი, მკვეთრი ფერებითა და პლაკატური მანერულობით მოგვევლინა.

„შესაძლოა, ეს ჩემეული რეპლიკაცაა ანტიკური ხანის ოსტატების, სპორტისა თუ სხეულის სილამაზის მიმართ, თუმცა კიდევ უამრავი ნიუანსი და კულტურული გავლენაა, რაც ჩემს ნამუშევრებში იკითხება”, – ამბობს ის.

…ნათელი, მკვეთრი ფერებითა და პლაკატური მანერულობით მოგვევლინა





პირველი დიდი ინსპირაცია, რამაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა მისი მხატვრობა ისეთი სახით, როგორსაც დღეს ვხედავთ, 90-იანების დასაწყისში მისი და მხატვარ მამუკა ცეცხლაძის ვოიაჟია დასავლეთში – ბერლინში.

„ეს იყო დიდი მოგზაურობა. ახალი ჩამოსული ვიყავი საბჭოთა ჯარიდან და, წარმოიდგინე, პირდაპირ „რკინის ფარდის“ მიღმა, ბერლინში ამოვყავი თავი, რომელიც სულ რაღაც ერთი წლის გაერთიანებული იყო. პირველად მაშინ მოვუსმინე ტომ ვეიტსს და ნიკ ქეივს. ბერლინში ორი თვე დავრჩით, იქ გამოფენა გვქონდა. უკან მანქანით დავბრუნდით, მთელი ევროპა გადავსერეთ მუზეუმებისა და გამოფენების გავლით. დასავლეთი ერთბაშად და დიდი დოზით შემოიჭრა ჩვენში. ინფორმაციის ასეთი დიდი ნაკადის შემდეგ მივხვდი, რომ კლასიკური პალიტრითა და ნახატის სტანდარტით 80x60-ზე ვეღარ მოვახდენდი საკუთარი თავის რეალიზებას. ასე მოვიდა ის ფორმა, რომელიც ჩემს ტილოებზეა“, – ამბობს მხატვარი.



უკან დაბრუნებულმა, საკუთარი თავის პირველი და ახალი ფორმით რეალიზება მარჯანიშვილის თეატრის სახელოსნოში სცადა, სადაც ახალი თაობის ქართველი მხატვრები, ცნობილი „მე-10 სართულის“ ჯგუფის წევრებთან ერთად, ექსპერიმენტებს მიმართავდნენ. სწორედ აქ შეიქმნა მისი პირველი რეალისტური, ექსპრესიული და მასშტაბური ტილოები, რომლებიც ძალიან გვაგონებენ ფრაგმენტულ კინოს 70-იანებიდან. პირადად მე მისი ნახატების შეხედვისას სტენლი კრამერის კინოგმირების ესთეტიკა და ძველი, ხელით შესრულებული კინოს ფერადი აფიშები წარმომიდგება ხოლმე თვალწინ.

„კინოს სული ნამდვილად დევს ჩემს ნამუშევრებში. ეს ბავშვობიდან გამოყოლილი ცნობილი კინოთეატრის – „გაზაფხულისა“ და იქ ნანახი კინოკლასიკის ასოციაციები და მოგონებებია, რომლებიც ჩემს თითქმის ყველა ნამუშევარში იგრძნობა“, – ამბობს ის.

სწორედ კინოკადრებით ინსპირირებული ფერწერული ნამუშევრები და ბავშვობის მოგონებები „გაზაფხულში“ ნანახი კინოშედევრებიდან მხატვარმა გააერთიანა სერიაში „დიდი თამაშები“, რომელიც 2010 წელს „გალა-გალერეაში“ გამოფინა.

„გალა-გალერეამ“ ბოლო ორი წლის მანძილზე მურთაზ შველიძის კიდევ ორი მნიშვნელოვანი პერსონალური გამოფენა შემოგვთავაზა. გამოფენა სახელწოდებით „Jump“ 2013 წელს მეტად შთამბეჭდავი გახლდათ. ეს იყო 12 ფერწერული ნამუშევარი – ფრაგმენტულად გამოსახული ფეხსაცმელების თასმების შეკვრის პროცესით. თასმების შეკვრა მხატვარმა კონცეპტუალურად იმ ჩარჩოებთან და საზღვრებთან გააიგივა, რასაც ხელოვნურად ქმნიან ადამიანები და სისტემები. ეს კონცეპტუალური სერია გვირგვინდებოდა ერთი საკვანძო ნახატით „ნახტომი“, რომელიც მეტად უჩვეულო რაკურსით იყო გამოსახული. „ნახტომი“ იმდენად დინამიკური და ექსპრესიულია, რომ გამოფენისთანავე მურთაზ შველიძის ბოლო პერიოდის სავიზიტო ბარათად იქცა.

მისი მეორე დიდი პერსო-



ნალური გამოფენა გასულ ზამთარს იხილა საზოგადოებამ, რომელიც „გალა-გალერეამ“ „ოპერა დიზაინის“ სივრცეში წარმოადგინა პროექტ „სახლის“ ფარგლებში. ეს პროექტი ხელოვნების ნიმუშისა და სახლის ინტერიერის დიალოგს გულისხმობს. ძნელია მსგავს ინტერიერში ნამუშევრების ისე გამოფენა, რომ

ხმაური და დინამიზმი მის ადრეული პერიოდის ინსტალაციებშიც იგრძნობა





სივრცემ ისინი არ „შეჭამოს“. მურთაზის ფერწერამ პირიქით – დინამიზმი შემატა ინტერიერს და გამოაცოცხლა გარემო. მკვეთრი ფერებით, ფრაგმენტულობითა და ფოტოგრაფიული რეპროდუქციის ასოციაციით როი ლიხტენშტეინიც გაგვახსენა. თემატიკა აქაც ძლიერი, ლამაზი ქალები და სპორტული, ურბანული არქიტექტურა იყო თავისი მწვანე, მფრინავი თეფშების მსგავსი სტადიონებით.

– მურთაზ შველიძის ნამუშევრები, დინამიკურთან ერთად, ხმაურიანიც კია, თუ შეიძლება ნახატზე ეს ვთქვათ.

„გერმანიაში რომ ვნახე მიუნხენის „ოლიმპიკის“ სტადიონი და 80 000 მაყურებლის გუგუნი და ენერგია შევიგრძენი, ამ გრანდიოზულობის განცდა, როგორც ჩანს, ფერწერაშიც გადმომყვა", – ელიმება მას.

ხმაური და დინამიზმი მის ადრეული პერიოდის ინსტალაციებშიც იგრძნობა. მაგალითად, ძველი ტელევიზორის ეკრანზე სასიყვარულო სცენა – „კატერინას პორტრეტია“ გამოსახული (ბერლინური სერიიდან), რასაც თან ახლავს ამინდის პროგნოზისა და 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალის აუდიოჩანაწერი.

ადრეული, ექსპერიმენტების პერიოდიდან კი საინტერესოა მისი ცნობილი სერია „გრძნობების შემნახველი საკანი“.

„ეს კოლაჟის ტექნიკით შესრულებული ნამუშევრებია, სადაც მითითებული მაქვს, რომ კოდის ნომერი ნულოვანია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველას შეუძლია „დაგათვალიეროს“ და ყველასთვის ღიაა შენი გრძნობები", – მეუბნება ის.

საუბრის დროს, რა თქმა უნდა, გვერდი ვერ ავუარეთ ბნელ 90-იანებს.

„იმ პერიოდში ვიდეოარტი გავაკეთე. საღამოობით ნუცუბიძიდან გულსაკლავად ჩანდა ჩაბნელებული თბილისი. შუქი საღამოს 9 საათზე მოდიოდა. კამერა შტატივზე დავამაგრე და ეს „ჯადოსნური“ პროცესი გადავიღე. საერთოდ, ის პერიოდი ხატვამ გადამატანინა. მახსოვს, თბილისის ომის დროს, როცა ნახევარი ქალაქი შეიარაღებული დარბოდა ქუჩაში, ძველი დიდი ტილო ვიპოვე და, ჩემდა უნებურად, მასშტაბური პისტოლეტი დავხატე. ეს ნამუშევარი წლების განმავლობაში სახელოსნოში მქონდა. ამ ცოტა ხნის წინ გაიყიდა. ახლა ის, როგორც ვიცი, ვერაზე, სასტუმრო „რუმსშია“. ძალიან მაინტერესებს, როგორ გამოიყურება ახალ სივრცეში", – ამბობს მურთაზი.

P.S. ინტერვიუს ჩაწერიდან ზუსტად ნახევარ საათში ჩვენ, ორივე, ყოფილი ბელინსკის ქუჩაზე, სასტუმრო „რუმსში“ ვართ. ირგვლივ ყავის სურნელია, ხმადაბალი მუსიკა და უცხოელების საუბარი ისმის. კედლებზე სწორედ 90-იანელთა საუკეთესო კოლექცია კიდია, სადღაც კუთხეში კი მურთაზ შველიძის მასშტაბური „პისტოლეტის“ თეთრი სილუეტი მშვიდად და გრაციოზულად გჭრის თვალს. მურთაზი ნახატს უახლოვდება და კიდევ ერთხელ მიამბობს ფუნჯის ყოველ მონასმსა და იმ წლების უამრავ ნიუანსზე...







# გამოფენა

ტექსტი: თეონა ჯაფარიძე

## „ტკბილი შხამი“ გალა-გალერეაში

ყარამან ქუთათელაძემ, რომელიც უკვე ათ წელიწადზე მეტია, თავის მიერ დაფუძნებულ არტ-რეზიდენციაში ყოველი წლის შემოდგომაზე უამრავ არტისტს საერთაშორისო ფესტივალ „ფესტინოვაზე“ მასპინძლობს და შემოქმედებისთვის მათ ბოლგარსკების უძველესი სასახლის ჯადოსნურ სივრცეს უთმობს, ამჯერად თავად წარმოგვიდგინა საკუთარი ნამუშევრები. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, თბილისში მის გამოფენას დიდი ინტერესით ელოდნენ სახელოვნებო წრეები. სწორედ ამიტომ გამოფენის გახსნაზე, რომელსაც „ტკბილი შხამი“ ერქვა, „გალა-გალერეაში“ უამრავი დამთვალიერებელი მივიდა. ექსპოზიციაზე სულ ექვსი თუ შვიდი მასშტაბური ფერწერული ნამუშევარი იყო



გამოფენილი და თითოეულმა მათგანმა მონუსხა დამთვალიერებელი. გამოყენებული იყო შერეული ტექნიკა (ხე, მინა, ქვიშა). ავტორის თქმით, მთლიანობაში ნამუშევრები ერთ მთლიან არტ-ობიექტს – ოთახს ქმნიდა:

„ოთახი დაკავშირებულია ჩემს შინაგან განცდებთან, ბავშვობასთან, პაპაჩემთან... ემოციური ფრაგმენტებია. დღე, ღამე, დილა... დროის შეგრძნების ემოცია, ინტიმური მოგონებების იმიჯი, ემოციური ნაზავი...“ – ამბობს მხატვარი.

## „იკითხეთ ART-ის შესახებ“

მიშა გოგრიჭიანის სოციალურად აქტუალური, სტილისტურად ხშირად კომიქსური მანერის ნამუშევრები „ბაია გალერეაში“ გამოიფინა.

„იკითხეთ Art-ის შესახებ“ – ასე ჰქვია მის მორიგ სერიას, რომელიც მხატვარმა ძველი არტ-გამოცემების ინსპირაციით შექმნა. ძველი ალმანახები, ჟურნალები, ბუკლეტები, „მხატვრის სახლში“ გამოცემული კატალოგები ჩემში ერთგვარ ნოსტალგიას იწვევს და ეს სერიაც მას მივუძღვენი“, – ამბობს მხატვარი. სერია კინოკადრებივით ცოცხლად და სადად ასახავს ადამიანების ხელოვნებასთან ყოველდღიური, ბუნებრივი შეხების პროცესს. ნამუშევრები აკრილით არის შესრულებული.



## კოტე ჭინჭარაძის „პრეროგატივა“

„გალა-გალერეისა“ და „ოპერა დიზაინის“ ერთობლივ პროექტს „სახლში“ ამჯერად მხატვარი კოტე ჭინჭარაძე შეუერთდა პერსონალური გამოფენით „პრეროგატივა“ (კურატორები – დედიკა ბულია, ნინო დარასელი; კოორდინატორები – ირინა არსენიშვილი, ნუცი კირცხალია). კოტე კონცეპტუალისტი მხატვარია, უმეტესად ინსტალაციები და აქციებია მისი გამოსახვის საშუალებები. გამოფენა „პრეროგატივა“ ერთგვარი ვიზუალური გაგრძელებაა მისი ადრეული აქციისა „დუმილი თევზების



პრეროგატივაა“. ამ რამდენიმე წლის წინ, დაძაბული პოლიტიკურ-სოციალური მდგომარეობის ფონზე, როცა დიალოგი ერთადერთი გამოსავალი იყო, მხატვარმა ანკესით მიკროფონი გადაუგდო თევზებს მტკვარში – მათთან „დიალოგის“ იმედით.

ამჯერად წყლისა და თევზების თემამ „ოპერა დიზაინის“ ინტერიერში გადაინაცვლა. დახვეწილი ფერწერული ნამუშევრები მშვენივრად შეერწყა პირობითად „სახლის“ სივრცეს.

## ფოტოგრაფიის დღე გალერეა „კონტეინერში“

„კონტეინერი“ ჯერჯერობით პირველი და ერთადერთი ფოტოგრაფიის გალერეაა თბილისში და, ბუნებრივია, სწორედ აქ გაკეთდა 25 მაისს სასიამოვნო განაცხადი – ეს დღე ქართული ფოტოგრაფიის დღედ გამოცხადდა. გალერეას იმ დღეს თითქმის ყველა თაობის ფოტოგრაფი თუ ფოტოგრაფიის მოყვარული ესტუმრა. გამოფენაზე 33 ავტორის ნამუშევარი იყო წარმოდგენილი პორტრეტის ჟანრში.

იდეა ფოტომცოდნე ნადია წულუკიძეს ეკუთვნის: 1907 წლის აპრილის მიწურულს, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, ქართ-



ველი ფოტოგრაფების გამოფენა გახსნილა. გახსნის თარიღი უცნობია, მაგრამ ცნობილია, რომ გამოფენა 25 მაისს დახურულა. ამიტომ სწორედ 25 მაისი აირჩიეს ქართული ფოტოგრაფიის დღედ „კონტეინერში“.

ქართული ფოტოგრაფიის დღის ოფიციალურ გამოცხადებასთან დაკავშირებით კულტურის სამინისტროში უკვე შესულია განცხადება, თუმცა 25 მაისი უკვე ლეგიტიმურად ითვლება, რადგან მის სადღესასწაულოდ გამოცხადებას იმ დღეს „კონტეინერში“ ათამდე ფოტოგრაფმა დაუჭირა მხარი.

## ვენეციის 56-ე ბიენალე

მსოფლიო ხელოვანთა ყურადღების ცენტრში ტრადიციულად ვენეციის რიგით 56-ე ბიენალე აღმოჩნდა. ბიენალეს წლევანდელი თემაა „მომავალი სამყაროს მრავალფეროვნება“ (All the world's futures), რაც, როგორც ხელოვნებათმცოდნეები ამბობენ, გულისხმობს იმას, რომ ვენეციის ბიენალემ წელს უნდა უპასუხოს პრობლემებს, რომლებიც მსოფლიოს ყველაზე მეტად აწუხებს – კლიმატის ცვლილებებით დაწყებული, ომებითა და ადამიანის უფლებების დაცვით დამთავრებული. „დღეს არ არის ის დრო, რომ აღვფრთოვანდეთ ხელოვნების ობიექტებით!..“, – აღნიშნავენ ისინი.

საქართველოს პავილიონი წელს ბიენალეზე წარდგა პროექტით „მცოცავი საზღვარი“.

ყურადღების ცენტრში მოექცა ბრიუს ნაუმანის (Bruce Nauman) ნეონები და Adel Abdessemed-ის სკულპტურები, ბრიტ-არტის ცნობილი წამომადგენლის – სარა ლუკასის (Sarah Lucas) ინსტალაციები, ხოლო შვეიცარიელი არტისტის Christoph Buchel-ის ნამუშევარი „დროებითი ოცნება“ (ისლანდიის პავილიონი), რომელიც კათოლიკური ეკლესიის მეჩეთად ტრანსფორმაციას წარმოადგენდა, ბიენალეს ადმინისტრაციამ 22 მაისს – გახსნიდან ორ კვირაში ცენზურის გამო დახურა.

ვენეციის 56-ე ბიენალე 22 ნოემბერს დაიხურება.

## აუქციონები და შედევრები

**ნიუ იორკის „კრისტის“** აუქციონზე პიკასოს „ალჟირელი ქალები“ რეკორდულ ფასად – 179 400 000 დოლარად გაიყიდა. ეს ტილო ნაწილია ციკლისა, რომელიც 15 ნახატისგან შედგება. ის 1955 წელს შექმნა პიკასომ დელაკრუას „ალჟირელი ქალები საკუთარ ბინაში“ გავლენით, რომელიც ლუვრში ინახება. პიკასოს ტილო იმითაცაა აღსანიშნავი, რომ მასზე გამოსახულია მხატვრის მუზა – ჟაკლინ როგო, რომელიც მოგვიანებით მისი მეუღლე გახდა. ნახატის საწყისი ფასი 149 მილიონი დოლარი იყო. ტილო ტელეფონით გაიყიდა. მყიდველის ვინაობა უცნობია.

**ნიუ იორკის „კრისტიზე“** რეკორდი მოხსნა მონდრიანის ცნობილმა ნამუშევარმა „კომპოზიცია №3 წითლით, ლურჯით, ყვითლითა და შავით“ (Composition with Red, Blue, Yellow and Bleack. 1929. ) ეს ლეგენდარული გეომეტრიული ტილო ორჯერ უფრო ძვირად – 50,6 მილიონ დოლარად გაიყიდა წინა გაყიდვასთან შედარებით. ახალი მეპატრონის ვინაობა უცნობია.

**საქართველოში** ემოციურ ფონზე მიმდინარეობდა ლონდონის „კრისტის“ აუქციონზე ფიროსმანის ცნობილი ტილოს – „არსენალის მთა ღამით“ გაყიდვა.



ტილო 1907-1908 წლებშია შექმნილი. 1957 წელს ის საბჭოთა მთავრობამ საჩუქრად გადასცა ფრანგ პოეტს – ლუის არაგონს 60 წლის იუბილეზე. 1969 წელს „არსენალის მთა ღამით“, ფიროსმანის სხვა ნახატებთან ერთად, პარიზში, ლუვრში იყო გამოფენილი.

2007 წლის აპრილში ის ანონიმურმა მყიდველმა შეიძინა ნიუ იორკის „სოტბის“ აუქციონზე და შემდეგ ტილო ევროპაში, კერძო კოლექციაში ინახებოდა.

2010 წელს „არსენალის მთა ღამით“ MacDougall's London-ის აუქციონზე გაიყიდა. მფლობელის ვინაობა კვლავაც უცნობი იყო.

საბოლოოდ ტილო ლონდონის „კრისტის“ აუქციონზე საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა 1,5 მილიონ დოლარად და ის საქართველოს ხელოვნების მუზეუმს გადასცა.

„კრისტის“ აუქციონზე ტილო რუსულ სექციაში იყო წარმოდგენილი. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ქართველი მხატვრები (დავით კაკაბაძე, გიგო გაბაშვილი, ლადო გუდიაშვილი) რუსული სექციის სახელით გააქვთ ცნობილ სააუქციონო სახლებს გასაყიდად. ქართულ საზოგადოებას და არტ-წრეებს მიაჩნიათ, რომ დროა საერთაშორისო აუქციონებზე ქართული სექციაც გაჩნდეს.













## ერეკლე დეისაძე, „იარე“

მწერალმა და მუსიკოსმა პირველი ალბომი „იარე“ ჩაწერა. „ეს ალბომი ჩემთვის განსაკუთრებულია, რადგან პირველია და მასში შესული რამდენიმე სიმღერა მსმენელს ძალიან უყვარს. მიზეზი, თუ რატომ უნდა მოუსმინონ ამ ალბომს, ალბათ ის არის, რომ დღეს ქართველი მუსიკოსების ალბომებით განებივრებული არ ვართ, თანაც, მათთვის, ვისაც მუსიკა უყვარს, ეს ალბომი ახალი ემოციების ნაკრები იქნება“, – ამბობს ეკო დეისაძე.




## FAITH NO MORE SOL INVICTUS

18-წლიანი პაუზის შემდეგ 90-იანი წლების ერთ-ერთმა საუკეთესო ალტერნატიულმა ბენდმა ახალი ალბომი ჩაწერა. კომპოზიციები Superhero და Motherfucker ინტერნეტსივრცეში რამდენიმე თვის წინ გამოჩნდა და მაშინვე დადასტურდა, რომ მაიკლ პეტონი და კომპანია ჩინებულ ფორმაში არიან. მთლიანი ალბომი იდეალურად იმეორებს Faith No More-ის სტილს და, ამავდროულად, საოცრად თანამედროვედ ჟღერს.




## სნუპ დოგი, BUSH

წლევანდელი შავი ზღვის ჯაზფესტივალის ერთ-ერთი ჰედლაინერი სნუპ დოგი იქნება. ის აუცილებლად შეასრულებს ახალ ალბომში შესულ კომპოზიციებს, მათ შორის, California Roll-ს, რომელიც სტივ უანდერთან ერთად ჩაწერა. ალბომის პროდიუსერია ფარელ უილიამსი, მან კი არაჩვეულებრივად იცის, როგორ შექმნას ხარისხიანი და დახვეწილი პროდუქტი. Bush სნუპ დოგის მე-13 სტუდიური ალბომია. კრიტიკა მას მუსიკოსის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევრად ასახელებს.




## ჯეიმი ფოქსი, HOLLYWOOD: A STORY OF A DOZEN ROSES

რეი ჩარლზის როლისთვის „ოსკარის“ მფლობელმა მსახიობმა და მუსიკოსმა ჯეიმი ფოქსმა მეხუთე სტუდიური ალბომი გამოუშვა. ალბომი არ'ენ'ბის ჟანრს განეკუთვნება და 15 კომპოზიციას აერთიანებს. სიმღერა Tease-ის ავტორი და თანაშემსრულებელი ისევ და ისევ ფარელ უილიამსია, რომლის გარეშეც სტუდიაში ფაქტობრივად აღარავინ მუშაობს.

## ნატალი იმბრულია, MALE

ექვსწლიანი პაუზის შემდეგ ავსტრალიელი მომღერალი ახალი ჩანაწერითა და ამბიციით ბრუნდება, თუმცა ალბომი შეიცავს არა ახალ კომპოზიციებს, არამედ ქავერებს. ნატალი იმბრულია მხოლოდ იმ სიმღერებს გვიმღერის, რომლებიც თავის დროზე მამაკაცი მუსიკოსების შესრულებით გაჰიტდა. აქ არის ტომ პეტის The Waiting, ნილ იანგის Only Love Can Break Your Heart, Daft Punk-ის Instant Crush და სხვა.









## MUSE, DRONES

ბრწყინვალე ბრიტანულმა ტრიომ ივნისის დასაწყისში მორიგი ჩანაწერი შემოგვთავაზა, რომელზე საუბარსაც ალბომის ყდის დიზაინით იწყებენ. მისი ავტორია ცნობილი ილუსტრატორი მეტ მაურინი, რომელმაც ჩანაწერის შინაარსი ერთ ნახატში მოაქცია. მეტიუ ბელამი აცხადებს, რომ მთელი ალბომი ეკოლოგიასა და მესამე მსოფლიო ომის მიმართ შიშს ეძღვნება. ანტიმილიტარისტული განწყობა კომპოზიცია Psycho-ს ვიდეოშიც ჩანს.



*Bodysuit* Svetlana Kushnerova
*Top Guess* by Marciano
*Shoes* Versus Versace

# I will survive

Photo Igor Pavlov
Style Olga Bobrova


*Dress* Hugo Boss


*Dress* Yakubowitch



*Dress* Pirosmani



*Dress* Escada Sport



*Bodysuit* N'Kolykhalova
*Shoes* Void Shoes



*Dress* Christian Dior

*Makeup & Hairstyle*
Yulia Timonina

*Models*
Katya Pokrovskaya @ Avant
Aleksandr Mizer

*Style Assistant*
Elena Ushakova



# ბევრი ცოტა არ არის

**რთულია იმის განსაზღვრა, სად გადის ზღვარი გულწრფელ სიყვარულსა და შეპყრობილობას შორის, სად მთავრდება ჭეშმარიტი ინტერესი და იწყება ფანატიზმი**

მაგა უმხაევის ტექსტი / პრეს-მასალების ფოტო





რა თქმა უნდა, როდესაც ადრეული ბავშვობიდან Vogue-ის საარქივო ნომრებს ფურცლავ და ოცნებობ, ხელი ჩამოართვა ანა ვინტურს, უეცრად პირად ბლოგში რამდენიმე, თითქოსდა დილეტანტური პოსტის შემდეგ შენთვის ხელმისაწვდომი ხდება დიადი ფრანგული მარკის არქივები და სრულიად სხვა მოდის სახლი არანაკლებ მდიდრული ისტორიით გთავაზობს გამოუშვას შენი სახელობის ჩანთა, ძალიან ადვილია დაკარგო კავშირი რეალობასთან და ვეღარ გაარჩიო ნამდვილი ხელოვნება მოხერხებულად დადგმული PR-სვლებისაგან.





იზაბელა თავისი მოფსით, სახელად ალფი, 1993 წელი

„მე შლაპებს იმისთვის ვატარებ, რომ ხალხი დისტანციაზე მყავდეს. მეკითხებიან: „შეიძლება გაკოცო?“, მე კი ვპასუხობ: „არა, დიდი მადლობა. ამიტომაც ვატარებ შლაპას. ნახვამდის“. არ მინდა, ყველა მკოცნიდეს. მინდა, მხოლოდ იმან მაკოცოს, ვინც მიყვარს“.

იზაბელა ბლოუ ისე იყო შეპყრობილი ლი ალექსანდრე მაკქუინის შემოქმედებით, რომ ეს უკანასკნელი საკუთარი კოლექციის ნივთებს მას ნაგვის პაკეტებში ჩადებულს ჰყიდდა, და შეშლილსაც კი უწოდებდა. შეშლილი მართლაც იყო, საკუთარი გარდერობი უნიკალური ნივთებით გაავსო, რომელთა დიდ ნაწილს შეადგენდა ლის კუტურიეს კოლექციის ეგზემპლარები, მათ შორის ისეთებიც, Givenchy-ს სახლისთვის რომ ქმნიდა. გასულ წელს ლონდონის Somerset House-ში ჩატარდა მისი გარდერობის უნიკალური ნივთების გამოფენა: ფილიპ ტრეისის მიერ მისთვის შექმნილი ურიცხვი რაოდენობის ქუდებიდ დაწყებული და მისი სავიზიტო ბარათებითა და ფეხსაცმლისა და Chanel-ის წითელი პომადის კოლექციით დამთავრებული. ყველაფერი ეს აუქციონზე შეიძინა დაფნა გინესმა.



იზაბელა გლოსტერის ტაძარში დეტმარ ბლოუსთან ქორწინების დღეს. მას ეცვა ხავერდის კაბა ყელსაბამისებური ნაქარგით, ეხურა შუა საუკუნეების მუზარადის სტილის ქუდი, 1989 წელი.

გამოფენა - Isabella Blow: Fashion Galorel, Somerst House, ლონდონი, 2013 წელი. Peter MacDiamid / Somerset House-ისთვის



იზაბელა ბლოუ დარწმუნებული იყო საკუთარ სიმახინჯეში და ამტკიცებდა, რომ ჰგავს "პლანტაგენეტების პორტრეტს".



გამოფენა - **Isabella Blow: Fashion Galorel, Somerst House**, ლონდონი, 2013 წელი. **Peter MacDiamid / Somerset House**-ისთვის



ანა პიაჯი და კარლ ლაგერფელდი, 1977 წელი



ანა პიაჯი, მილანი, 2010 წელი

„იმედი მაქვს, ოთხმოცი რომ შემისრულდება, საღ გონებაზე ვიქნები და გავაცნობიერებ, რისი ჩაცმა არ შეიძლება, რათა სასაცილო არ გამოვჩნდე“.

ჯერ კიდევ ორი წლის წინ ნამდვილი „მოდური გადარეულობის“ ნიმუშად ანა პიაჯი ითვლებოდა – მოდის კრიტიკოსი და ჟურნალისტი, რომელიც იტალიური Vogue-სა და Vanity Fair-ის სათავეებთან იდგა. კარლ ლაგერფელდის მუზა, რომელიც ცნობილი იყო ქუდების სიყვარულითა და გარდერობის საგნების კოლექციონერობის ვნებით (2006 წელს ვიქტორიისა და ალბერტის ლონდონის მუზეუმმა შეაგროვა ანას 2865 კაბა და 265 წყვილი ფეხსაცმელი გამოფენისთვის, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა მოდისა და ხელოვნების დამფასებლებში). სამწუხაროდ, 2012 წელს ანა გარდაიცვალა და ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ გამოჩენილა fashion-ხატი, რომელიც თუნდაც მეასედით შეედრებოდა მის ინდივიდუალურობას: რადგანაც ატარო ზურმუხტისებრი მზის ჩასვლის მაკიაჟი და იმავდროულად არ ჰგავდე შეშლილს Trocadero-დან არცთუ ისე ადვილია, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. დღეს ანა პიაჯის სამართლიანად ჩათვლიდენ შეშლილად და street style-ის ფოტოგრაფები განუწყვეტლივ გადაუღებდნენ. გავიხსენოთ თუნდაც მისი გამოჩენა მტრედების „ყელსაბამით“. „ერთხელ კარლ ლაგერფელდმა მოაწყო მეჯლისი, რომლის თემა გახლდათ ვენეცია. „ყველამ ვენეციელი დოჟების მსგავსად ჩაიცვა, მე კი თევზის გამყიდველივით გამოვეწყვე, – იხსენებდა ანა, – თავზე დაწნული კალათი დავიმაგრე, რომელიც სავსე იყო წყლის მცენარეებითა და კიბორჩხალებით, ყელზე ყასაბთან ნაყიდი ორი მტრედი დავიკიდე. შუაღამისას მტრედებიდან სისხლმა დენა დაიწყო და იძულებული გავხდი კონკიასავით გავმქრალიყავი”.



ანა პიაჯი და მანოლო ბლანიკი, 1973 წელი

დღემდე იზაბელას და ანას მოდისადმი ჭეშმარიტი სიყვარული შთაგონებით ავსებს ბევრ სტილისტს, დიზაინერს (მარკ ჯეიკობსმა მიუძღვნა პიაჯის კოლექცია შემოდგომა-ზამთარი 2012 და თავისი მთავარი მუზა უწოდა) და მილიონობით ბიჭუნასა და გოგონას, რომლებმაც მოულოდნელად საკუთარი მოდური ბლოგის შექმნა გადაწყვიტეს. და აი, ამ მილიონ ბიჭუნასა და გოგონას გვინდა მარტივი რჩევა მივცეთ: do the math, ანუ მათემატიკური ნაწილიც შეისწავლეთ. ზოგჯერ უმჯობესია, ხელიდან გაუშვათ რამდენიმე ათასი წყლის ნიშნის გამომუშავების შანსი უაზრო პოსტზე მორიგი რეკლამის განმთავსებელის მხარდასაჭერად ანდა არ განათავსოთ საკუთარ ბლოგზე ჩიტის მსგავსი ქუდის ფოტო, სწორედ ისეთის, როგორიც ეხურა სარა ჯესიკა პარკერის გმირს – კერი ბრედშოუს არცთუ  უცნობი სერიალიდან, რათა მოაგროვოთ მეტ-ნაკლებად გულწრფელი ასიათასობით „ლაიქი“. ზოგჯერ გაცილებით სასარგებლოა, მორიგი მულტიბრენდის ფასდაკლების ბარათის ნაცვლად ბიბლიოთეკის აბონემენტი შეიძინოთ, შარვლის შორტად გადაქცევის თანმიმდევრობა ზეპირად დაისწავლოთ და სამუდამოდ დაიზუთხოთ, ზუსტად როდის შეწყვიტა ამ კომბინაციამ ქვედა საცვლის ფუნქციის შესრულება და როდის გახდა კაბა. რადგანაც გაცილებით საინტერესოა იკითხოთ პირადი მოდის ბლოგი, როდესაც იქ საუბარია რაღაც სიახლეზე და გთავაზობენ ალტერნატიულ თვალსაზრისს, ვიდრე კიდევ და კიდევ მიაშტერდეთ „სელფს“ ბუმბულებში, რომელიც შეიქმნა მხოლოდ მორიგი ათასი „ლაიქის“ მოსაგროვებლად და საკამათო fashion victim-ის წოდების მოსაპოვებლად. და სულაც არაა აუცილებელი ვუწოდოთ street style-ს ქრონიკის საეჭვო გმირებს „სტილის ხატები“ – მათ ჯერ კიდევ ბევრი აკლიათ ამ წოდებამდე. ხოლო ზოგიერთი ბრენდის ისტერიული ერთგულება მხოლოდ და მხოლოდ არაჯანსაღი ფანატიზმია.





# გამარჯვების ფსიქოლოგიის საიდუმლო

ტექსტი: ნანა კობაიძე



*ფსიქოლოგი მარინა გოქსაძე*

**თანამედროვე სამყარო საკუთარ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოვლენის საშუალებას იძლევა. თეორიულად ნებისმიერ ადამიანს აქვს შანსი გახდეს ჩემპიონი – სპორტში, ბიზნესში, ხელოვნებაში... მიუხედავად ამისა, კვარცხლბეკამდე ერთეულები აღწევენ. მაშ, რაშია საქმე, სად იმალება გამარჯვების რეალური საიდუმლო? რა განაპირობებს მავანთა წარმატებას, რომლებიც რაღაც ეტაპზე ამის არანაირ ნიშანს არ ავლენდნენ? როგორც ირკვევა, პირველი და უმთავრესია იპოვო საქმიანობის სფერო, რომელიც თავად მოგწონს. არანაკლებ მნიშვნელოვანია – გქონდეს ჯანსაღი ამბიცია, მიზანდასახული ბრძოლის უნარი და რწმენა, რომ პირველობას იმსახურებ. გამარჯვებისკენ სავალ გზებზე უფრო დაწვრილებით ფსიქოლოგი მარინა გოქსაძე გვესაუბრება.**

ნებისმიერი წაგება გამოცდილებაა.
შეცდომების გაანალიზება შემდგომი გამარჯვების წინაპირობაა.

გამარჯვების ფსიქოლოგია, პირველ რიგში, კვარცხლბეკზე ასვლას გულისხმობს, იქნება ეს მსოფლიო ჩემპიონის, ოლიმპიური ჩემპიონის თუ წარმატებული ბიზნესმენის ამპლუაში. აღმოჩნდა, რომ მისი მექანიზმი სპორტსმენებსა და ბიზნესმენებში ერთნაირად მუშაობს. ფსიქოლოგები ერთ საინტერესო ფაქტორზე ამახვილებენ ყურადღებას, რომელიც თითქმის ყველა წარმატებული სპორტსმენისა და ბიზნესმენის ბავშვობაში ფიგურირებს – როგორც წესი, ამ ასაკში მათ ვერ ამჩნევდნენ, რის გამოც მთელი რიგი კომპლექსები უვითარდებოდათ. ფიქრობენ, რომ კომპლექსი, რომელიც რაღაც ეტაპზე ზღუდავს ადამიანს, ხშირად დიდი წარმატების საწინდარია. ერთგვარი ენერგიის წყარო, საწვავი, რომელიც გამარჯვების წინაპირობას ქმნის; მეორე მსგავსება პირველობის ამბიციაა და ამ ადამიანის სურვილი, დაუმტკიცოს საკუთარ თავს და სამყაროს, რომ ამას იმსახურებს.



**რამდენიმე რჩევა მათთვის, ვისაც სურს, რომ გაიმარჯვოს:**

1) პირველი და აუცილებელი პირობაა თავად აირჩიო და გიყვარდეს ის საქმე, რასაც აკეთებ.

2) ემზადო ნებისმიერი გამოცდისა და განსაცდელისთვის როგორც სხეულით, ასევე გონებითაც. უფრო მარტივად ეს სულიერ და ფიზიკურ სიჯანსაღეს გულისხმობს.

3) ისწავლო სიამოვნების მიღება სირთულეებისგან – ეს საკუთარ თავში ახალი შესაძლებლობების აღმოჩენის საშუალებას იძლევა.

4) შეეცადო პოზიტიური განწყობის შენარჩუნებას – სტრესი საკუთარ თავში დაურწმუნებლობის შედეგია.

5) ძალიან მნიშვნელოვანია აწმყოთი ცხოვრების უნარი. გადამწყვეტ მომენტში წარსულზე ან მომავალზე ფიქრი წაგების წინაპირობაა.

6) აუცილებელია საკუთარი აზრების მართვა, რადგან აზრს მატერიალიზება შეუძლია. გონების სიმშვიდე სხეულის სიმშვიდეს განაპირობებს, ფიზიკური დაძაბულობა კი შინაგანი ფსიქოლოგიური კონფლიქტის ნიშანია.

7) თუ ვითარების შეცვლა არ შეგიძლია, უნდა შეცვალო შენი მიდგომა მის მიმართ. საჭიროა დროულად შეჩერება უფრო დიდ მიზანთან შესაჭიდებლად.

8) მნიშვნელოვანია კონცენტრირება იმაზე, რისი გაკეთებაც შეგიძლია და არა იმაზე, რაც არ გამოგდის.

9) ნებისმიერი წაგება გამოცდილებაა. შეცდომების გაანალიზება შემდგომი გამარჯვების წინაპირობაა.

თეორიულ ცოდნასთან ერთად, მნიშვნელოვანია, ჩემპიონს ჰყავდეს კარგი ფსიქოლოგი, რომელიც მის მორალურ მდგრადობაზე იზრუნებს. ცნობილია, რომ თანაბარი ფიზიკური შესაძლებლობების მქონე სპორტსმენებიდან იმარჯვებს ის, ვინც ფსიქოლოგიურად უკეთაა მომზადებული. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, თუ ვინ უდგას გვერდში მომავალ ჩემპიონს. აუცილებელია ეს იყოს ადამიანი, რომელმაც იცის გამარჯვების ფასი და გამარჯვების ენერგეტიკას ფლობს. ამ ფუნქციას ძირითადად მწვრთნელი ითავსებს, რომლის ყვირილი და ხმამაღალი შეძახილები კრიტიკულ მომენტში სწორედ ამ მუხტის გადაცემას ისახავს მიზნად.

ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია აგრესია. ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ადამიანი, რომელსაც გაბრაზება არ შეუძლია, ვერასოდეს მიაღწევს წარმატებას. აგრესია იგივე მრისხანებაა, სრულიად ბუნებრივი ემოცია, რომლითაც ნებისმიერი ჩვენგანი იბადება. გააჩნია, რა მიმართულებით განვავითარებთ მას. დადებითი გზით წარმართული აგრესია სპორტსმენს გზის გაკაფვასა და პირველობისკენ სწრაფვაში ეხმარება, უარყოფითად მიმართულმა კი შეიძლება გაანადგუროს. ძალიან მნიშვნელოვანია, ვისწავლოთ ამ გრძნობის მართვა. ადამიანი, რომელსაც საკუთარი მრისხანების კონტროლი შეუძლია, რეალურად უკვე გამარჯვებულია. ეს განსაკუთრებით აქტუალური ხდება კონკრეტულ ვითარებაში, როდესაც უკან დახევაა საჭირო, ბრძოლის წაგება იმისთვის, რომ ომი მოიგო. სხვათა შორის, ფიზიკურზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მარცხის გააზრებაა. მარცხდები მაშინ, როდესაც თავს გრძნობ დამარცხებულად, სხვა შემთხვევაში ეს არის ფაქტი, რომელიც სპორტსმენისთვის ერთგვარი გამოცდილებაა, გამოცდილება შემდგომი წარმატების მოსაპოვებლად.

გამარჯვების ფსიქოლოგიაში ძალიან მნიშვნელოვანია სპორტსმენის ურთიერთობა საკუთარ თავთან, კერძოდ, მისი დამოკიდებულება თავის შესაძლებლობათა საზღვრებისა და შეზღუდვების მიმართ. სასურველია, აქცენტი შეზღუდვებზე კი არ გაკეთდეს, არამედ შესაძლებლობებსა და მათ განვითარებაზე ვიზრუნოთ. გვახსოვდეს, რომ სრულყოფილება არ არსებობს. ყველაფერი საჭიროებს დახვეწასა და გაუმჯობესებას.

ხშირად სპორტსმენები, რომელთაც ადრეულ ასაკში მიაღწიეს წარმატებას – გახდნენ ქვეყნის, მსოფლიოს თუ ოლიმპიური ჩემპიონები – გარკვეულ ეტაპზე ერთ ადგილზე იყინებიან. საკუთარი სტატუსის ტყვეობაში აღმოჩენილნი, სხვებს ზემოდან უყურებენ, მერე და მერე აგრესიითაც იმსჭვალებიან. მოდიან ახალი ჩემპიონები, ისინი კი „ყოფილები" ხდებიან და ასეთ რეალობასთან შეგუება უჭირთ. მათგან განსხვავებით, არსებობენ გმირები, რომელნიც მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. ჩემპიონობა, თუნდაც მსოფლიო ან ოლიმპიური, მათთვის ბოლო გაჩერება არ არის. ერთ მწვერვალზე ასულთ თვალწინ სხვა რეალობა ეშლებათ, სხვა მწვერვალებს ხედავენ და მიდიან წინ, ახალ-ახალი გამარჯვებებისკენ. აუცილებელი არაა ეს სპორტი იყოს. ასპარეზი ფართოა, მთავარია სურვილი და მონდომება, დასაპყრობი მწვერვალი კი ყოველთვის გამოჩნდება.

ყველაფერი ჩვენს ხელშია – აი, გამარჯვების ფსიქოლოგიის საიდუმლო.

we have a
WINNER

# WEEKEND

## MaxMara


თაკო ჩხეიძე


მაია მერედოვა, ეკა კვანტრიშვილი, მირანდა მირიანაშვილი


ეკა კვანტრიშვილი, ქეთი ბოჭორიშვილი


თიკა ფაცაცია, ლელა მებურიშვილი


თიკა ფაცაცია, ლელა წურწუმია


მაია მერედოვა, ფედერიკა ფავი, ეკა კვანტრიშვილი

პრემიუმ კლასის იტალიურმა ბრენდმა Max Mara-მ პირველი ოფიციალური მაღაზია Weekend Max Mara თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. #50-ში გახსნა.

Weekend Max Mara წარმოადგენს Max Mara Group-ის ხაზს – „ცხოვრების სტილი", რომელიც 1984 წელს შეიქმნა და მომხმარებელს ყოველდღიურად მოსახმარ ტანისამოსს სთავაზობს, ასევე იდეალურ სამოსს weekend-ისთვის.

Max Mara-ს ეს ხაზი სწრაფად განვითარდა და დიდი პოპულარობა მოიპოვა მოდის სამყაროში.





# N-DUO-CONCEPT

## COCKTAIL


ჯანი პუჩი, პაოლო პუჩი


ნატუკა ქარქაშაძე მეგობრებთან ერთად


დარია შაპოვალოვა, ნატუკა ქარქაშაძე


ანკა ციციშვილი


ნათია ბუკია, ნინი წილოსანი, ნატუკა ქარქაშაძე


ბასა ფოცხიშვილი


ნინი წილოსანი, რუსა მარგველაშვილი, ლელა ელოშვილი


ნატუკა ქარქაშაძე, მარია კოლოსოვა

ქართულმა ონლაინ მაღაზია N-Duo-Concept-მა თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში კოქტეილ მიღება მოაწყო. საიტის დამფუძნებლებმა ნატუკა ქარქაშაძემ და ნინო წილოსანმა ყვავილებით მორთულ გარემოში თავისივე ბრენდის N-Duo-ს ახალი კოლექციაც წარმოადგინეს.

# NARGIS
Georgia

თბილისის მოდის კვირეულის დახურვის საღამოს ჟურნალმა NARGIS საქართველომ უმასპინძლა მოძრაობის თეატრში.

საღამო განსაკუთრებული და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა მოწვეული სტუმრებისთვის. მსახიობებმა დაუვიწყარი პერფორმანსი შემოგვთავაზეს.


მარიკა უტარაშვილი, ქეთი ბოჭორიშვილი, ჯამალა ეზიზოვა, ეკა კვანტრიშვილი, მაია მერედოვა


ეკა სკოროხოდოვა, ნაზი გოშაძე, თეკლა მიქაბერიძე




ლიკა კვარაცხელია, მაკა ყუბუსიძე, გიორგი შალაშვილი, თაკო ჩხეიძე


ვახა ბაკურაძე თეატრის მსახიობთან ერთად


თაკო ჩხეიძე, მაკა ყუბუსიძე, ლიკა კვარაცხელია, თიკა თინიკაშვილი


თამუნა გვალია, თაკო ჩხეიძე





მოძრაობის თეატრის მსახიობი


თეონა დოლიძე, ეკა სკოროხოდოვა


ლიკა კვარაცხელია, მაკა კვიციანი, თაკო ჩხეიძე

# MORE IS LOVE

## Candy Land Party

ონლაინ მაღაზია More Is Love-მა თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში წვეულება მოაწყო. მოწვეულ სტუმრებს ფერადი კანფეტებითა და ბამბის ნაყინით გაუმასპინძლდნენ, რაც საღამოს იდეა იყო.



ადამ კაც სინდინგ

დარია შაპოვალოვა, ნინა ვასაძე

ნინო ელიავა

ანი ჩიხლაძე, ელენე მახარაშვილი





# LETTERS

## by IRMA SHARIKADZE



ირმა შარიქაძე

ირმა შარიქაძის ცნობილი პროექტი „წერილები" კიევის არტ სცენაზე.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ირმა შარიქაძის ცნობილ პროექტს „წერილები" 27 მაისიდან 9 ივნისამდე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, კიევის თანამედროვე ხელოვნების ცენტრმა „M17"-მა უმასპინძლა. გამოფენა გახსნა საქართველოს საელჩოს წარმომადგენელმა კულტურის საკითხებში ზურაბ თოფურიამ და კიევის თანამედროვე ხელოვნების ცენტრ „M17"-ის დირექტორმა ვლადო როგლევმა.

# RIXOS BORJOMI

## Grand Opening Ceremony




მოწვეულ სტუმრებს „რიქსოსმა'' დაუვიწყარი საღამო მოუწყო, ღონისძიება გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

ბორჯომის სასტუმრო „რიქსოსში" დამსვენებლებს გამორჩეული კომფორტი ელით. აქ თანამედროვე დიზაინის სტილში მოწყობილი ყველა ოთახი სიმშვიდის მომგვრელ, მომნუსხველ, წიწვოვანი ხეებით დაფარულ მთებს გადაჰყურებს. სამკურნალო თვისებების მქონე წყალი კი ამ ადგილის მთავარი ღირსშესანიშნაობაა, თუმცა, ჯანმრთელობის ცენტრის მომსახურების გარდა, სასტუმრო თავის სტუმრებს სთავაზობს სპა მასაჟს, თურქულ აბანოს, საუნას, ფიტნესის ოთახს, „რიქსი კლუბს" და „წყლის თაღს" ბუნებრივი მინერალური წყლით.



**კომპლექსი „საპარტნიორო ფონდის" და ყაზახური კომპანია „ყაზმუნაიგაზის" ერთობლივი ინვესტიციით აშენდა და მისი ჯამური ღირებულება 38,5 მილიონი აშშ დოლარია. საპარტნიორო ფონდის მონაწილეობა პროექტში კაპიტალის 50%-ია.**
















TBILISI
FASHION
WEEK R

8 -11 Oct.
S/S 2016

www.tbilisifashionweek.com

# ჰოროსკოპი

ასტროლოგიური პროგნოზი
ივლისი–აგვისტო–სექტემბერი

მოამზადა ასტროლოგმა რამაზ გიგაურმა

2015 წლის მესამე კვარტალში ცხოვრების ტემპი უფრო ენერგიული და აქტიური გახდება. წარმატებას მოიტანს გაბედული და მიზანსწრაფული მოქმედებები. კარგი პერიოდი იქნება სპორტსმენებისთვის, სამხედრო და ძალოვან სამსახურში მომუშავე ადამიანებისთვის და მათთვის, ვისი ყოველდღიურობაც ფიზიკურ საქმიანობას უკავშირდება. არ არის სასურველი ახალი საქმეების დაწყება და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება 16 და 31 ივლისს, 14 და 29 აგვისტოს, 13 და 28 სექტემბერს.

## ვერძი

ივლისი – თქვენი ენერგიულობა შედარებით დაიკლებს, ამიტომ ფიზიკურად ნუ გადაიღლებით. შეეცადეთ, ახლის მიღწევის ნაცვლად, მიღწეული შედეგების შენარჩუნებაზე იზრუნოთ. გარკვეულწილად გაიზრდება ტრავმის მიღების ალბათობა, განსაკუთრებით თუ სპორტის აქტიურ სახეობას მისდევთ ან თქვენი სამსახური ექსტრემალურ სიტუაციებს გულისხმობს. ასე რომ, სიფრთხილე გამოიჩინეთ.

აგვისტო – განვითარებული მოვლენები გაიძულებთ სწრაფად იმოქმედოთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მოკლე დროში მიიღოთ. არ არის გამორიცხული, მოგიწიოთ მოგზაურობამ, ლაშქრობამ, სადაც სასიამოვნო შთაბეჭდილებებს მიიღებთ. იზრუნეთ ჯანმრთელობის გაკაჟებაზე. დაისვენეთ და გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარებაც არ დაგავიწყდეთ.

სექტემბერი – როგორც პირად, ისე საქმიან ცხოვრებაში ჰარმონიული პერიოდი გელით. ოპონენტებთან და პარტნიორებთან საერთო ენას გამონახავთ და შეძლებთ მნიშვნელოვანი საკითხები თქვენთვის სასარგებლოდ გადაწყვიტოთ. თამამად აიღეთ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე და ლიდერის თვისებებიც გამოავლინეთ. ასე არა მხოლოდ წარმატებას მიაღწევთ, არამედ სიამოვნებასაც მიიღებთ.

## კურო

ივლისი – მოიმატებს თქვენი თავდაჯერებულობა და მიზანსწრაფულობა. ეს დაგეხმარებათ წარმატებით გააგრძელოთ ადრე დაწყებული პროექტები და განახორციელოთ საჭირო ცვლილებები. წარმატებას ნელი, მაგრამ სტაბილური მოქმედებებით მიაღწევთ. ასე არა მხოლოდ ლიდერობას მოიპოვებთ და კონკურენტებს ჩამოიტოვებთ უკან, არამედ შესაძლოა გარკვეული ჯილდოც მიიღოთ.

აგვისტო – თქვენში გაძლიერდება ინდივიდუალიზმი და თავის გამოჩენის მძაფრი სურვილი, რაც გაბედული მოქმედებებისკენ გიბიძგებთ. ხშირად დაესწარით სპორტულ ღონისძიებებს, მიიღეთ მონაწილეობა შეჯიბრებებში და ლაშქრობებში, იარეთ ფეხით, იმოგზაურეთ. ეს არა მხოლოდ თქვენს ჯანმრთელობას წაადგება სასიკეთოდ, არამედ ამ დროს საინტერესო ადამიანებსაც გაიცნობთ.

სექტემბერი – შემოდგომის პირველი თვე წარმატებას მოგიტანთ როგორც საქმეში, ისე პირად ცხოვრებაში. მთავარია, რომ ადვილად მოახერხოთ დასვენებიდან აქტიურ რეჟიმზე გადართვა. ნუ გადაუხვევთ ძირითადი გზიდან და ნუ გაფლანგავთ დროსა და ენერგიას. კონცენტრაცია მთავარზე გააკეთეთ. ასე უფრო იოლად მიაღწევთ წარმატებას.

## ტყუპი

ივლისი – მოსალოდნელია, რომ თქვენს ცხოვრებაში მოვლენები დინამიკურად, მაგრამ საინტერესოდ განვითარდეს. მოგიწევთ სწრაფი მოქმედება და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. შეეცადეთ, თქვენი ყველა ჩანაფიქრი მკაფიო გეგმების დახმარებით განახორციელოთ. არ არის გამორიცხული, შეძლოთ სარფიანი გარიგების ან ხელშეკრულების გაფორმება.

აგვისტო – მიუხედავად იმისა, რომ დასვენების დროა, ნუ დაკარგავთ კონცენტრაციას, ნუ გაზარმაცდებით და მართვის სადავეებს ხელიდან ნუ გაუშვებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია არა მარტო დაკარგოთ მიღწეული პოზიცია, არამედ პარტნიორებთანაც გარკვეული პრობლემები გაჩნდეს. პირად ცხოვრებაში მოერიდეთ აგრესიის გამოვლენას, იყავით მშვიდი და მომთმენი. ასე თქვენს ცხოვრებაში ჰარმონია დაისადგურებს.

სექტემბერი – ამ პერიოდში უფრო მეტად საქმიან ცხოვრებაში გაგიმართლებთ, ვიდრე სიყვარულში. დაგეგმეთ საქმიანი შეხვედრები, მოლაპარაკებები, მოაგვარეთ სამსახურებრივი საკითხები, მით უმეტეს, თუ თქვენი საქმიანობა ინფორმაციას, ურთიერთობებს, უცხოეთს ან ფინანსებს ეხება. პირად ცხოვრებასთან და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ცვლილებების განხორციელება კი მომავლისთვის გადადეთ.

## კირჩხიბი

ივლისი – ეს თქვენი აქტივობის ზრდის პერიოდი იქნება. გაგიჩნდებათ შანსი მიაღწიოთ წარმატებას, წაიწიოთ წინ და დაიკავოთ უკეთესი პოზიცია. მაგრამ მოერიდეთ მეტისმეტად თავდაჯერებულ მოქმედებებს. წარმატებას გუნდური პრინციპის გამოყენებით მიაღწევთ. აქტიურად დაიხმარეთ მეგობრები, თანამოაზრეები და კოლეგები.

აგვისტო – ეს თქვენთვის ჰარმონიული თვე იქნება. ამიტომ ნუ ჩაიკეტებით საკუთარ თავში, ცხოვრებასთან მიმართებაში კი აქტიური პოზიცია დაიკავეთ. აკეთეთ ის საქმე, რომელიც გიყვართ, გაერთეთ და დატკბით ცხოვრებით. არ არის გამორიცხული, ამ პერიოდში გააქტიურდეს თქვენი სასიყვარულო-რომანტიკული ურთიერთობები. მოიმატებს ქორწინების ალბათობაც.

სექტემბერი – მიუხედავად იმისა, რომ გექნებათ სურვილი, სამსახურთან, ბიზნესთან და საქმიან ურთიერთობებთან დაკავშირებით სწრაფად განახორციელოთ ცვლილებები, მოსალოდნელია, რომ გარკვეულ სიძნელეებს მაინც წააწყდეთ. მოერიდეთ ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღებას. საჭირო დროს დაიხმარეთ ოჯახის წევრები, მეგობრები და პარტნიორები.

## ლომი

ივლისი – ეს თქვენთვის არცთუ იოლი თვე იქნება. დაგიქვეითდებათ ტონუსი. შესაძლოა თქვენი გადაწყვეტილებები გარშემომყოფებს არასწორად და გაუგებრად მოეჩვენოთ. ამიტომ მაქსიმალურად მოერიდეთ რისკზე წასვლას. ფრთხილად წარმართეთ მოლაპარაკებები და შეეცადეთ ჩიხში არ შეხვიდეთ. მოაწესრიგეთ ურთიერთობები, განსაკუთრებით ხელმძღვანელობასთან

აგვისტო – ეს „თქვენი პერიოდია". დაისახეთ ამბიციური მიზნები და მათი მიღწევისთვის ყველაფერი გააკეთეთ. წარმატებით შეძლებთ თქვენი ძველი რეკორდების გაუმჯობესებას (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით). ასევე წარმატება გელით პირად ცხოვრებაში. გაიზრდება სასიყვარულო ურთიერთობის დაწყების, რომანტიკული შეხვედრებისა და ქორწინების ალბათობა.

სექტემბერი – თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი საკმაოდ მაღალი იქნება, რაც დაგეხმარებათ იოლად გაართვათ თავი თქვენზე დაკისრებულ მოვალეობებს. თუმცა, ეს პერიოდი ახალი და განსაკუთრებით სარისკო პროექტების დაწყებისთვის მაინცდამაინც კარგი დრო არ არის. შეეცადეთ გადადებული საქმეები დაასრულოთ.

## ქალწული

ივლისი – ნუ დაიწყებთ მასშტაბური პროექტების განხორციელებას. შეეცადეთ მოაგვაროთ ის წვრილმანი საკითხები, რომლებზეც რეალურად დამოკიდებულია თქვენი წარმატება. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. სასიკეთო იქნება დიეტის დაცვა და ვარჯიშის დაწყება. თუ სპორტს მისდევთ, შესაძლოა მნიშვნელოვან გამარჯვებასაც კი მიაღწიოთ.

აგვისტო – თქვენი ცხოვრების ბევრი რთული საკითხი თქვენი აქტიური ჩარევის გარეშე მოგვარდება. ამიტომ დაუსრულებელი საქმეები და მოულოდნელად შექმნილი პრობლემები მდგომარეობიდან ნუ გამოგიყვანთ. შეეცადეთ მოახერხოთ დასვენება, თუნდაც მცირე ხნით. ეს არა მხოლოდ ფიზიკური ძალების აღდგენაში დაგეხმარებათ, არამედ დაგიმშვიდებთ ემოციურ და ნერვულ სისტემას.

სექტემბერი – წარმატება გელით პროფესიულ საქმესა და კარიერაში. სავარაუდოდ, ეს შეიძლება იყოს სამსახურებრივი ცვლილება, დაწინაურება, პრემიის მიღება, მივლინება. არ არის გამორიცხული, გაიცნოთ საინტერესო ადამიანები და მოგიწიოთ ახალი საქმეების დაწყებამ. სიახლეები მოსალოდნელია სასიყვარულო სფეროშიც, მით უმეტეს, რომ თქვენი მომხიბვლელობა და სექსუალურობა მკვეთრად მოიმატებს.

## სასწორი

ივლისი – მოსალოდნელია მოგიწიოთ კრიზისული სიტუაციების მოგვარებამ და ამის გამო შფოთვის ან შიშის განცდა დაგეუფლოთ. შეეცადეთ დაძაბულ სიტუაციებში გაწონასწორებულად და მშვიდად იმოქმედოთ. მოერიდეთ საიდუმლოებების გამჟღავნებას. საქმეში ძალიან ნუ გარისკავთ და „რეკორდების დამყარებას" ნუ მოინდომებთ – ამან შესაძლოა მარცხი მოგიტანოთ.

აგვისტო – ეს თქვენთვის აქტიური პერიოდი იქნება. ამიტომ გაბედულად დაიწყეთ ჩანაფიქრის განხორციელება. წარმატებას მიაღწევთ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე სამსახურთან დაკავშირებულ საკითხებში. შეეცადეთ, გაამართლოთ თქვენზე გაცემული ნდობა. იზრუნეთ, რომ შეასრულოთ მიცემული დაპირებები. ეს თქვენს მომავალზე სასიკეთოდ აისახება.

სექტემბერი – ეს ახალი ცოდნის შეძენისა და ახალი კავშირების დამყარების პერიოდია. ხელსაყრელი იქნება ხელშეკრულებების გაფორმება და გარიგებების დადება. ამბიციურად შეუდექით დასახული ამოცანების შესრულებას, განსაკუთრებით თუ ეს ძველის განახლებას ან ახლის დაწყებას უკავშირდება. შეეცადეთ მიიღოთ სიამოვნება იმ საქმისგან, რომელსაც გააკეთებთ.

## მორიელი

ივლისი – წარმატების მიღწევისთვის მთავარი იქნება, როგორ სტარტს აიღებთ. თუ საქმეს დიდი ძალისხმევით და მონდომებით დაიწყებთ, წარმატება არ დააყოვნებს. მაქსიმალურად მოერიდეთ კრიტიკისა და ცინიზმის გამოვლენას. წინააღმდეგ შემთხვევაში სერიოზული კონფლიქტი გექნებათ. სასიკეთო პერიოდია მომავლის ფორმირებისა და გრძელვადიანი პროექტების დაწყებისთვის.

აგვისტო – გახდებით უფრო მეტად მობილიზებული და ორგანიზებული. თუ შეძლებთ თქვენი ენერგია და დრო ნაყოფიერად გამოიყენოთ, წარმატება არ დააყოვნებს. ნუ იქნებით გარშემომყოფების მიმართ კრიტიკული და ცინიკური. წარმატება გელით სპორტთან, მოგზაურობასთან, ფინანსებთან და ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებში.

სექტემბერი – ამ პერიოდში განვითარებული მოვლენები გაიძულებთ პრიორიტეტული საკითხები სწორად დაინახოთ და აქცენტი სწორედ მათზე გააკეთოთ. ეს საშუალებას მოგცემთ არა მხოლოდ სწრაფად მიაღწიოთ გამარჯვებას, არამედ მათზე ნაკლები ძალისხმევა, დრო და რესურსი დახარჯოთ. მოსალოდნელია გააქტიურდეს უცხოეთთან, მოგზაურობასთან და სწავლასთან დაკავშირებული პერსპექტივა.

## მშვილდოსანი

ივლისი – ეს წინააღმდეგობების გადალახვისა და პრობლემების დაძლევის პერიოდი იქნება. ამიტომ თქვენი ძალების მაქსიმალური მობილიზება უნდა მოახერხოთ. მოერიდეთ ტყუილით და კონკურენტების პროვოცირებით ფონს გასვლას. ამან შესაძლოა თქვენვე დაგაზიანოთ. იყავით სამართლიანი და „გახსნილი თამაში ითამაშეთ" – ასე უფრო იოლად მიაღწევთ წარმატებას.

აგვისტო – მთავარი იქნება ზუსტად ჩამოაყალიბოთ თქვენი სურვილები და სწორად დაინახოთ თქვენივე შესაძლებლობები. თუ საჭირო გახდება, დაიხმარეთ მეგობრები და ოჯახის წევრები, რათა თქვენზე დაკისრებულ მოვალეობებს თავი გაართვათ და წინსვლა შეძლოთ. ყურადღება მიაქციეთ ფინანსურ გასავლებს, რათა კრიზისის წინაშე არ აღმოჩნდეთ.

სექტემბერი – თქვენი უპირველესი საზრუნავი ურთიერთობების სწორად წარმართვა და პრობლემური კავშირების დარეგულირება იქნება. ეს ეხება იმ კოლექტივს, გუნდს თუ კომპანიას, რომელშიც გიხდებათ ყოფნა. თუ ინიციატივის გამოვლენა დაგჭირდებათ, გააკეთეთ ეს წინდახედულად და ტაქტიანად, რათა ფარული მტრები არ გაიჩინოთ.

## თხის რქა

ივლისი – მოსალოდნელია მოგიწიოთ საქმიანი თუ პირადი ცხოვრების ხელახლა შეფასებამ, ურთიერთობებში გარკვევამ ან შესწორებების შეტანამ. გააქტიურდება განათლებასთან, ცოდნის შეძენასთან, გამოცდებთან, კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე მოიმატებს მოგზაურობისა და უცხოელებთან ურთიერთობების ალბათობაც. რთული საკითხები მათი პრიორიტეტულობიდან გამომდინარე მოაგვარეთ.

აგვისტო – გაგიჩნდებათ შესაძლებლობა გაიმყაროთ სოციალური და მატერიალური მდგომარეობა და წარმატებას მიაღწიოთ პროფესიულ საქმეში. მთავარია ზუსტად განსაზღვროთ თქვენი საკეთებელი საქმე და კონკრეტული მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები გადადგათ. მოერიდეთ სესხის აღებას, საბანკო ვალდებულებების წინაშე კი მაქსიმალური ყურადღება და წინდახედულობა გამოიჩინეთ.

სექტემბერი – ეს მთლიანობაში პოზიტიური პერიოდი იქნება, მაგრამ მოგიწევთ შექმნილი წინაღობების გადალახვა და სირთულეების დაძლევა, რაც სერიოზულ ფსიქოლოგიურ დისკომფორტს შეგიქმნით. გაიზრდება ტრავმის ალბათობა. ამიტომ თუ თქვენი საქმიანობა სპორტს, სისწრაფეს, ბასრ საგნებს, ექსტრემალურ ან ძალოვან სამსახურს უკავშირდება, სიფრთხილე გამოიჩინეთ.

## მერწყული

ივლისი – თუ წარმატებას ვერ აღწევთ, შეეცადეთ თქვენს სტრატეგიასა და ტაქტიკაში ცვლილებები შეიტანოთ. გამოიყენეთ კრეატიულობა და ფანტაზია – ასე გაცილებით იოლი იქნება გამარჯვების მოპოვება. დასვენება-განტვირთვისთვის აქტიურ მეთოდებს მიმართეთ – გაისეირნეთ ბუნებაში, დაიწყეთ სირბილი ან ცურვა.

აგვისტო – ამ პერიოდში განვითარებული მოვლენები თქვენი მხრიდან მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვს. შეეცადეთ შექმნილი შესაძლებლობები სწრაფადვე შეამჩნიოთ და მათი გამოყენებისთვის ყველაფერი გააკეთოთ. მთავარია რამდენად თავდაჯერებულად და ზუსტად იმოქმედებთ. წარსულს მეტისმეტად ნუ ჩაებღაუჭებით, რადგან ეს აწმყოში შეცდომების დაშვების ალბათობას გაზრდის.

სექტემბერი – შეეცადეთ საქმიანი და პირადი ცხოვრება ერთმანეთში არ აგერიოთ, განსაკუთრებით თუ რომელიმე მიმართულებით კონფლიქტის ალბათობა არსებობს. მაქსიმალურად შეიკავეთ თავი გარშემომყოფებთან დაპირისპირებისგან. თქვენი პოზიცია სხვებს გასაგები ენით გააცანით. ეს საშუალებას მოგცემთ ყველაზე რთულ მოწინააღმდეგეებთანაც კი საერთო ენა გამონახოთ.

## თევზები

ივლისი – ეს საკმაოდ არასტაბილური და მერყევი პერიოდი იქნება. მოსალოდნელია როგორც აღმასვლა, ისე დაცემაც, როგორც მნიშვნელოვანი გამარჯვების მიღწევა, ისე მარცხიც. წარუმატებლობა ნუ შეგაშინებთ. ნურც წარმატებით გაყოყოჩდებით. მთავარია არჩეული გზიდან არ გადაუხვიოთ.

აგვისტო – თქვენი მოქმედებები წინასწარ კარგად დაგეგმეთ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას ნუ იჩქარებთ, იმოქმედეთ ნელა, მაგრამ სრულად გააცნობიერეთ ყველაფერი. თქვენ მიერ მიღწეული შედეგები კანონზომიერი იქნება. ასე რომ, მარცხის შემთხვევაში სხვაგან ნუ დაიწყებთ დამნაშავის ძებნას. უფრო მეტ წარმატებას მიაღწევთ პარტნიორულ საქმიანობასა და კოლექტიურ ურთიერთობებში.

სექტემბერი – მიუხედავად იმისა, რომ იარსებებს ფარული დაპირისპირების ალბათობა, ეს მაინც აქტიური პერიოდი იქნება, ბევრი მიმართულებით შეძლებთ ბალანსის დაცვას და ჰარმონიის დამყარებას. განსაკუთრებით გაგიმართლებთ, თუ თქვენი საქმიანობა ხელოვნებას უკავშირდება. უფრო მეტი გულისყურით მოუსმინეთ თქვენს ინტუიციას, რადგან შინაგანი ხმა ამ პერიოდში ფასდაუდებელ სამსახურს გაგიწევთ.

# Kseniya Sobchak:

## " I love open hearted people with a good sense of humour"



*IRMA KAKHURASHVILI*

Kseniya Sobchak is a chief editor of Russian L'Officiel, one of the most prestigious jounrals in fashion industry. Within the frames of Tbilisi Fashion Week, she arrived for just a day and before seeing impressive collections of Anouki and Dalood, she found a little time for us at Nino Eliava's showroom More is Love.

**Which Georgian designer's works do you like most?**

I will distinguish Jaba Diasamidze. I think, his creativity is a talent. I arrived in Georgia with the goal to get acquainted to new names. Such fashion weeks can reveal clearly how the fashion industry develops.

**Who could you distinguish from new generation of Russian fashion?**

I like Uliana Sergeenko and Victoria Gazinskaya very much; and not because I am their friend, but because they are really talented designers.

**Black is too much liked in Georgia. What colour is your favourite?**

I also like black, but of course I don't wear only black. Black is a base colour, it's elegant and plain.

**You have married recently. Has marriage changed you?**

I can't answer this question...ask this to those who have relations with me. Actually, I never change anything radically. Everything in my life follows evolutionary development.

**Several years ago you appeared on a political stage. It seemed that your life style had changed as well...**

I am a journalist. Sometimes people see me from different angle. But in fact all these don't have any connections with me. I have been a journalist for a long time but people are interested in one or the other thing and remember something more and the other thing less according to their interests.

# Rick Baril – Born To Golf

*ANANO BAKURADZE*

Rick Baril, one of the best architects of golf courses, visited Georgia several weeks ago in order to project this unusual to Georgia space. A golf club is being built on one of the hills of Tbilisi, the club will unite a green field with the whole complex. While speaking about Rick Baril, he is often described as a person born to golf. The most part of his life is indeed dedicated to this sport and he has been designing golf course projects since 1982.

**Making golf course project is a specific job. What is the main thing in this job?**

First of all, you must be familiar with this sport, you should be aware of its specifications and peculiarities. If you have never played golf, some major or minor details can escape from you and the work won't be perfect.

**Tell us about the project you are planning to work out in Georgia.**

Novelty is always inspiring. That's why I have selected a potentially strong project which will perfectly fit the local landscape. This is a beautiful high location that overlooks Tbilisi and faces wonderful scenery. This will be an additional bonus to golf players as they usually enjoy playing in peaceful and attractive surrounding.

**How suitable is Tbilisi for golf?**

Georgian climate is ideal for playing golf. Of course, there are always a number of challenges, obstacles that need to be overcome, but the main thing is to know where you should look for a problem and solve it.

**Do you think that golf course will support development of this kind of sport in our country?**

Besides golf lovers, amateurs will get acquainted with the sport as well. And besides sport, this golf course will serve as a place for business meetings, that is a proven rule in the whole world.







# Young Talents



*IA VEKUA*

Alexander Akhalkatsishvili, Lika Chitaia, Giorgi Qeburia, Tiko Paqsashvili, and Lado Bokuchava – all five are active and employed young designers full of ideas and ambitions. They are aware of their desires and do the best to achieve their goals – work, study and are not afraid of experiments. Preparations for Tbilisi fashion week, that take place twice a year, are special for them – it is the most important arena for them at present.

They are designers of the same generation and similar interests, but they don't consider each other as competitors; and not for the reason of their friendship, but because all five of them are distinguished by their individuality, have different customers and that's why there is no room for competition.

When they talk about each other, they often use the words "talented", "hard working", "original", "individual". And finally all of them admit that they belong to the most interesting generation among Georgian designers, the generation, which is not limited, and doesn't suffer the complex of closed space. This is the generation that can proudly walk on the podium stretched from Tbilisi to any European city.

# Daria Shapovalova

*ANANO DOLABERIDZE*

**Do you think, that Georgian designers have developed and how would you estimate their collections?**

They have developed and first of all because they want to enter international market. Look at ANOUKI. She is so young and still she creates so wonderful collections. I can say the same about Atelier Kikala, its designer must be very gifted.

**Fashion industry has turned to business and art is reduced to minimal level. What is your opinion about this?**

Modern fashion is fully adjusted to demands of the customer. Customer doesn't want extraordinary, special clothing for everyday use. It's a big challenge for designers to create outfit for ordinary people, who could use it in real life.

**Which fashion week is more interesting for you?**

I never miss London Fashion Week. It's amazing. There are so many talented young designers. I remember clearly Christopher Kane's first collection. Now he is a very successful designer in international market. I wish Georgian and Ukrainian designers achieved such success. I think, our region has such potential.

**What do you think about Street Style, which is nowadays as important as fashion shows?**

Street fashion is a wonderful way to see how real people dress in their everyday life. Some of them don't even attend the show, but come to take photos. There is a group of professionals standing behind the icons of street fashion, for who this process is very serious. I like all these very much. We should think as if it is a kind of game, and we ourselves are participating in it.



# Oksana On

*LIKA KVARATSKHELIA*

One of the prominent guests at Tbilisi fashion week was Oxsana On, a famous blogger, stylist, and director of It-girl and journal SNC. She collaborates with famous designers and assists them in creating new collections, and alongside with this she is a favourite model for street photographers.

**Do you think that old Tbilisi architecture influences collections of Georgian designers?**

I dare to suggest that not only because of architecture, but because of many other things as well, collections of Georgian designers are absolutely authentic.

**How important seems Tbilisi Fashion Week to you?**

The original goal is not just development of fashion industry in Georgia, but developing tourism as well. As Tako Chkheidze, the founder of Tbilisi Fashion Week says, this event is a way to improve the image of the country.

**How different are Georgian designers?**

Some react on world fashion trends and some stay loyal to traditional elements and templates.

**Who did you like most?**

George Keburia, Anouki, Ria Keburia, Atelier Kikala, Atelier Materiel. These designers handled the process of styling perfectly.

**What would you change in styling of Georgian designers?**

Designers should work on accessories as well. Sometimes the unsuitable shoe spoils the whole image. Better attention must be drawn towards performance on stage, casting of models, and selection of suitable music. In these Ria Keburia and Atelier Kikala are beyond the competition.



# Saving Cell for Feelings
## (Murtaz Shvelidze's art )

*TEONA JAPARIDZE*



Sportstyle landscapes with healthy and beautiful bodies is a main theme in Murtaz Shvelidze's art. "If you look down from the height, you will notice that stadiums in urban paintings look like flying saucers." – explain the painter to me. Blue and green spots of stadiums and swimming pools seen from the height and depicted on the canvas make an interesting painting.

The first inspiration that developed his painting to the style which we can see now,was a voyage to Berlin, where the painter travelled in the early 90s together with an artist, Mamuka Tsetskhladze. This trip played a major role in the final development of his art. These are realistic, expressive and large scale canvases,that resemble the fragment movie of 70s.

Despite paintings the artist applies to techniques of installation and collage. A well-known series "Saving Cell for Feelings" created with the technique of collage belongs to early, experimental period. "I have indicated in this work that code number is a zero, that means that anyone can "study" me and that my feelings are open to everyone"– tells the painter.

# A Week in a Paradise

LIKA KVARATSKHELIA



The island of Santorini, being designed especially for tourists for the last 40 years, is one of the most popular islands in Greece. At local hotels everyone speaks in whisper and service staff can guess your desire from one gesture. The guest's idyll must not be disturbed by anything or anyone.

Santorini is famous for its architecture, eye-catching sunset, vine making and sea food. The land here is fertile and products, consequently, are delicious. We discovered the best restaurant Luis in Tira. Its host and chief is a Georgian lady Lolla. She has lived on the island for twenty years and has run successful restaurant business together with her husband.

Tira is a capital of Santorini. The narrow streets, souvenir shops, night clubs and restaurants, everything is designed for the purpose to provide you with desirable evening entertainment. Architecture of the place is stunning, houses are painted in blue and white, which is an interesting synthesis. Santorini is considered an island of love. You can see a lot of couples here, wedding ceremonies and brides and grooms with shoes in their hands – it's impossible to walk in these narrow cobblestoned streets with high heel shoes.

We left the island and took a bout on our way back. This was an 8 hour trip in Aegean Sea. There are several islands on the way from Santorini to Athens, which is a kind of resume of a week spent on Santorini. And during this quiet sail you realise that you are coming back to reality , so you take a pen and start your trip from the beginning...



# Tbilisi 2015 – the first Georgian Olympics

IA VEKUA

Olympic torch crossed Georgian border on May 26. For two coming months the torch will travel to each city and village of Georgia and finally will be lit in Tbilisi. This year Georgia is hosting junior Olympics.

For a week our capital will have to host 3800 visitors from 50 countries. Junior Olympics is going to host young sportsmen aged 14-18. Participants of the Olympics are going to compete in nine disciplines: Judo, tennis, acrobatics, cycling, racing, swimming, volleyball, and basketball.

Especially for this Olympics 11 tennis courts, a swimming pool, acrobatic palace, two volleyball courts, and racing stadium were constructed and several arenas were repaired. The Olympic village which consists of recreational zones, perfect infrastructure, entertaining centres, and includes 5star hotel, courts and other objects, was built by Chinese company "Hauling Group".

Interesting public events will be held at the opening and closing ceremonies of the Olympics (at Mikheil Meskhi stadium and at the Olympic village). The author of the ceremonies is David Zolkver, a specialist in this field.

Meanwhile the Olympic torch is making its way through Georgian villages and cities. 700 hundred torch carriers are involved in the event. Almost whole population of the country will have opportunity to see the Olympic fire – this is the first Olympics held in our country, five coloured rings will interlock here for the first time!

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL
TBILISI 2015



# SOCAR SPORT

IA VEKUA

Supporting Georgian sport is just a part of SOCAR's charitable activities. Sport is a public activity, that is available to everyone and it is able to unite multitudes in just few seconds. SOCAR is aware of this, that's why it distinguishes the most important segments: this is the company that is a general sponsor of chess and football federations and Olympic Comity of Georgia.

Oil Company has cooperated with Georgian Football Federation since 2010 and since then it is involved in its infrastructural projects. It is due to SOCAR's assistance that high quality lawn was laid on "Basa", a central technical field of Georgian national team, and on Mikheil Meskhi stadium and Boris Paichadze Stadium.

In April of this year Georgian sport achieved one more international success: Georgian women team won a championship held in Chengdu, China and returned home with honour. It was the first victory of our national team and in a tense competition Georgian national team of women chess players defeated the strongest Chinese team. Victory of Georgian team is SOCAR's victory as well. The company declares it with pride.

It is the third year, since Olympic comity of Georgia develops with the help of SOCAR. Within the frames of memorandum signed between the Oil Company and the Comity numerous projects have been financed, like different sport programs and projects, participation in different sport events under the auspices of the International Olympic Comity and European Olympic Comity, social assistance for sportsmen and trainers.

Intellectual game "Ra? Sad? Rodis?" (What? Where? When?) will never lose its urgency, and intellectuals of Georgian and Azerbaijan teams equally share success achieved in different tournaments. Mahir Mamedov, a director of Azeri state oil company representation, has cooperated with SOCAR since 2010 and reminds us again that " Ra? Sad? Rodis? " combines in itself universal means for exercising intellectual development and logical thinking. He says that, intellectual exercises are as vital, as physical ones – as comprehensive development is a basis for developing personality.



Sam Raan
Spa & Wellness Center
Our Oriental Hammam ritual
will leave your skin soft and silky



300 Aragveli Str. 24, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 215 77 15
Fax: (+995 32) 215 88 15
info@samraan.com
www.samraan.com


OMEGA
Ladymatic
NICOLE KIDMAN'S CHOICE
OMEGA
AVAILABLE AT
бутик ROYAL COLLECTION, ул. Ниязи, 5В, тел.: 492 76 56
Официальный дистрибьютор Italdizain Group